გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№161 (220) 13-20 მარტი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# “ნაციონალთა” არანაციონალური ბაკქანალია

ამას წინათ, მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ ერთიდაიგივე სახის მუდმივად ცქერა ძალიან ძნელია, ზოგჯერ ოჯახის წევრის ხანგრძლივად ცქერაც კი მობეზრდება ადამიანსო. ჩვენ როდისმე წავალთ, მაგრამ ჩვენი ადგილი ახალგაზრდა თაობამ უნდა დაიკავოს და არა შორეული წარსულის ბნელეთიდან მოსულმა ადამიანებმაო.

ჯერ ერთი, წესიერ ადამიანს არც ოჯახის წევრების ცქერა მობეზრდება და არც იმ ადამიანებისა ვინც მის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაგრამ ხალხს მობეზრდა მართლაც იმ შორეული წარსულის სიბნელიდან მოსული პოლიტიკოსების დაუსრულებლად ცქერა, რომლებიც უკვე თავხედურად ეძალავებიან მათ მიერ გაღატაკებულ მოსახლეობას და საკუთარი კეთილდღეობის დათმობას სრულებითაც არ აპირებენ. საუბარია სააკაშვილებზე, კუბლაშვილებზე, ცისკარიშვილებზე, მერაბიშვილებზე, თაქთაქიშვილებზე, გაბაშვილებზე, თარგამაძეებზე, თავხელიძეებზე, ნოდიებზე... (ძალიან ბევრნი არიან და ყველას ჩამოთვლას რამდენიმე საგაზეთო გვერდიც კი არ ეყოფა).

ისიც საკითხავია, ვინ არის შორეული ისტორიული ბნელეთის მოციქული, ესენი თუ ის პროგრესული ძალები, რომლებიც სუფთა გულითა და ხელებით მოდიან პოლიტიკურ საარჩევნო რინგზე. განა სწორედ ის საძრახისი მეთოდები არ არის შუა საუკუნეების სიბნელიდან კოპირებული, რითაც დღეს ნაციონალები ებრძვიან ამ პოლიტიკურ მეტოქეებს?

სხვა რა შეიძლება დაარქვა ქალაქის ცენტრში, დღისით მზისით, პოლიციელთა მიერ **“ქართუბანკის”** დაყაჩაღებას? სხვა რა უნდა უწოდო იმას, რომ საქართველოში დაბადებულ და აღზრდილ, სულით ხორცამდე ქართველ ივანიშვილს გადამთიელი სააკაშვილი რომ მოქალაქეობას ჩამოართმევს და ყოველი კანონის დარღვევით დღემდე ეწინააღმდეგება მისთვის მოქალაქობის აღდგენის საკითხს, და ეს მაშინ, როცა ბატონმა იური ვაზაგაშვილმა ხელისუფლებას წარუდგინა 300.000 ამომრჩევლის ხელმოწერა ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით!

სხვა რა შეიძლება უწოდო საქართველოს პარლამენტის საქციელს, რომელმაც კანონი კანონზე მიიღო მხოლოდ იმიტომ, რომ პრობლემები შეექმნა ერთადერთი ადამიანის – ბიძინა ივანიშვილისათვის!

გახსოვთ, შევარდნაძის გუნდში იყო პარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე, რომელიც მოქალაქეთა შავ ფერებზე თავხედური დამაჯერებლობით გვიმტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი თეთრი და თქვენს საკეთილდღეოდ შექმნილი პოლიტიკური პროდუქტიაო. სულ რამდენიმე ასეთი ხაზარაძე იყო მაშინ შევარდნაძის გუნდში.

არ გვეგონა, თუ შევარდნაძის პოლიტიკურ სანაგვეზე გასტუმრების შემდეგ ერთს კი არა, ათეულობით ვიტალი ხაზარაძეს მივიღებდით.

მაგრამ, როგორც ხედავთ, მივიღეთ, მაგრამ ხაზარაძეებზე ბევრად შუბლისძარღვგაწყვეტილი **“ნაციონალთა”** ყბაამოგდებული პროპაგანდისტები, რომლებიც ურცხვად გვიმტკიცებენ: დემოკრატიულ და ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ საქართველოში ცხოვრობთ ჩვენი წყალობით, მაგრამ ბრმები და ყრუები ხართ და ეს სიკეთე არ გსურთ დაინახოთო! ამ საძრახის საქმეში უდავოდ ლიდერობს ვიღაც მიხეილ თავხელიძე, რომლის ცინიზმი და ირონიული დამოკიდებულება ნაციონალთა ოპონენტების მიმართ, ეთიკის ყოველ დაშვებულ საზღვრებს აშკარად გადადის.

ამათ ირანის დემოკრატიაც კი სანატრელი და მიუწვდომელი გახადეს ჩვენთვის, იმ ირანისა, რომლის ხელისუფლებასაც მთელი მსოფლიო ტოტალიტარიზმში ადანაშაულებს.

არა და, ახლანდელ არჩევნებში აჰმედინეჯადის დამ, რომელიც დეპუტატად იყრიდა კენჭს, თავისი კანდიდატურა მოხსნა იმის შიშით, რომ დამარცხების შემთხვევაში ჩემი ძმის ავტორიტეტს ჩრდილს მივაყენებო.

ჩვენთან ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს ამგვარი რამ, თუ, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას სააკაშვილის ან სხვა ბობოლა ნაციონალის ოჯახის წევრი გადაწყვეტს? ხათუნა გოგორიშვილი ისეთ **“ფოკუსებს”** მოაწყობს, რომ ამგვარ კანდიდატს **120 პროცენტით** გაამარჯვებინებს!

ჩვენ კი კვლავ ენას ჩავიგდებთ მუცელში და ოვაციით შევეგებებით ამგვარ **“გამარჯვებას”!**

არა, და იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი საქმე არ არის, რაც ჩვენი ოჯახის მიღმა ხდება და კრინტს არ ვძრავთ, ვიდრე უბედურება პირადად არ მოგვიკაკუნებს კარზე!

მერეღა ვხვდებით, რომ უკვე გვიანია და დროზე რომ მიგვეერთებინა ჩვენი ხმა საპროტესტოდ განწყობილი დაქსაქსული, ამ ხელისუფლების მიერ დაჩაგრულებისა და გაუბედურებულების შეძახილისადმი, ამგვარი უბედურება არ გვეწვეოდა, ისევე, როგორც ეს დაემართა გირგვლიანების, ვაზაგაშვილების, რობაქიძეების, ქიმერიძეების ოჯახებს...

**“ნაციონალური მოძრაობა”** კი ჰქვიათ სახელად, მაგრამ რომელი ნაციის ინტერესებს ემსახურებიან ისინი, დღემდე ვერ გაგვიგია ქართველებს. ამაზე მოხდენილად იხუმრა ერთხელ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ავთანდილ მარგიანმა: **“ამ ვირიშვილების მოძრაობა ერევნული უფროა, ვიდრე ეროვნულიო”!**

არა და, დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს, რომ თითოეული მათი პროგრამა შენიღბულია და მისი შიგთავსი რეაქციონერი სომხების სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რასაც შემდეგ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა მოჰყვება, განა იმ რეაქციონერი სომეხის, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აღასი ხანჯიანის ანტიქართული გეგმა არ გახლდათ, რომელიც ამ თავის ავანტურისტულ ჩანაფიქრს შეეწირა კიდეც! ან რომელი ქართველი ადამიანი შეეჭიდება მოწინააღმდეგეს ისე მზაკვრულად და ყველა დაუშვებელი ხერხის გამოყენებით, როგორც ამას სააკაშვილი და მისი ბანდა აკეთებს?

**ქართველი ამას იზამს? არა!**

ამათ მთელი საქართველო ჯერ გაამათხოვრეს, შემდეგ კი უმწეო ხალხს უფასო სასადილოები გაუხსნეს და, როგორც იტყვიან, ერი ქამარზე გამოიბეს. შიმშილი ხომ საზოგადოებას სახეს აკარგვინებს და მისი იოლად ჩათრევის საშუალებას იძლევა ყოველგვარ ბინძურ ინტრიგაში. სწორედ ამ ინტრიგის მთავარ მომქმედ გმირებად აქციეს ამათ ქართველები, გაამანქურთეს ისინი. სხვა რა სახელი უნდა ვუწოდო იმ ქვიშხეთელ ლოყებღაჟღაჟა ყმაწვილს, საკუთარ თავს რომ **ჯარჯი გვათუა** უწოდა, რომელიც გაბარჯგული იდგა ეზოს კარებთან და პოლიციელთა მიერ მხეცურად მოკლული სოსო ქიმერიძის კუბოსთან არ უშვებდა მისასამძიმრებლად მისულ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს!

**ქართველი ამას იზამდა? არა!**

მე მეცოდება ეს **“ჯარჯი გოთუა”**, რადგან მან არ იცის, **“რასა იქმს”**, მაგრამ პასუხი მაინც მკაცრად მოეკითხება. მე მეცოდებიან ის ნოდიები, თავხელიძეები, პაიჭაძეები და ძმანი მათნი, რომელთაც ზნეობაზე ხელი აუღიათ და რაღაც სალაფავისა და ნაციონალთაგან ნაბოძები შედარებითი კეთილდღეობის სანაცვლოდ უზნეოდ ამტკიცებს შავზე, რომ იგი ქათქათა თეთრიაო.

მართლა **“საით მიდიხარ, საქართველო”?**

საით მიგაქანებს ის უბადრუკი საზოგადოება, რომელიც ფოჩიანი კამფეტის მოლოდინში მოწიწებით შესციცინებს თვალებში საქართველოს დამაქცევარ ხელისუფალს, რომელმაც ქვეყნიდან განდევნა რობერტ სტურუა, სდევნის ალექსანდრე ჭაჭიას, სხვა უამრავ ღირსეულ მამულიშვილს, ხელისუფალს, რომელიც ყოველნაირად უშლის ხელს ბიძინა ივანიშვილს სასიკეთო საქმეების ქმნაში, იმ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც მილიარდზე მეტი ლარი აქვს დახარჯული საქართველოს კეთილდღეობისათვის და რომლის დამსახურებაც გახლავთ ის, რომ (სააკაშვილის მიერ **“ჩარეცხილებად”** შერაცხული) უამრავი სახელოვანი ადამიანი დღეს შიმშილით არ კვდება!

**ქართველი ამგვარ ხალხს გადაემტერება? არა!**

ამათ ეთნიკურად და პოლიტიკურად **“თავისიანი”** ზურაბ ჟვანია არ დაინდეს და, ჩვენ რომ უარესს გაგვიკეთებენ, საინტერესოა, ამას რატომ არ უფიქრდება ქართული საზოგადოება?

მაინცა და მაინც იმის იმედზე უნდა ვიყოთ, რომ ამერიკელები ან რუსები მოგვაშორებენ სახადად ქცეულ ნაციონალებს? მაშ ჩვენ რას ვაკეთებთ? რა განწყობით მივდივართ საარჩევნო ურნებთან?

მათი ხელით უღვთოდ ჩახოცილი ადამიანების ხსოვნას ნუთუ სათანადო პატივს ვერ მივაგებთ საქართველოს უზნეობის, გარყვნილებისა და სიცრუის ჭაობიდან ამოთრევით, სადაც ნაციონალებმა ქვეყანა რვა წლის განმავლობაში ჩაძირეს?

აგვისტოს ომში რუსი სამხედროების იერიშებს ასამდე ადამიანი შეეწირა და ლამის მთელ მსოფლიოს მოვდეთ ეს ამბავი და ვაიძულეთ ყველანი, რომ რუსებისათვის ოკუპანტები ეწოდათ. იცით კი, რამდენი ქართველი მოკლეს ნაციონალებმა და მათმა ზონდერებმა ტყვიით, ცემით, ტანჯვით, წამებით, შიმშილით?

**ა-თ-ა-ს-ე-უ-ლ-ო-ბ-ი-თ!**

და დღემდე ვერ დაგვირქმევია მათთვის ღირსი სახელი, იმიტომ, რომ თავად ვერ ვიქცევით ღირსეულად!

ალბათ დაგვავიწყდა, ვისი გორისანი ვართ!

განა ვინმეს ეპარება დღეს ეჭვი იმაში, რომ ამათ ყველაფერი გააკეთეს, რათა საქართველოს ეს ორი ძირძველი კუთხე სამუდამოდ თუ არა, ხანგრძლივი ვადით მაინც მოწყვეტოდა. სხვას რას უნდა დავაბრალოთ 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოკაციაში ამათი ჩათრევა (თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევია, აგვისტოს ომი პროვოკაცია იყო თუ **“ვარდების რევოლუციის”** მსგავსი უნიჭოდ გათამაშებული სპექტაკლი). მაგრამ ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მოსახდენი უკვე მოხდა და ახლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოლოდინში მყოფები კვლავ რუსეთის კეთილი ნების იმედად უნდა ვიყოთ!

**ქართველი ამას იზამდა? არა!**

იმედი კი ნამდვილად არსებობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინმა რუსი პოლიტიკოსის ევგენი პრიმაკოვის დაბადების დღეზე საჯაროდ აღნიშნა: **“საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის საკითხის გადაწყვეტა სრულიადაც არ არის პრობლემატური, ოღონდ სააკაშვილის მმართველობის ჟამს ეს არ მოხდებაო”.** დღეს კი პუტინი კვლავ რუსეთის პრეზიდენტია და, ბატონ ბიძინა ივანიშვილის თქმისა არ იყოს: **“ეს რუსი ხალხის არჩევანია და ჩვენ ვალდებული ვართ პატივი ვცეთ რუსი ხალხის არჩევანს”!** იმედი გვაქვს, რომ ჩვენს შემთხვევაში ბატონი ვლადიმერ პუტინი საკუთარ დაპირებას არ გადავა.

ახლა ქართველმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო ძვირფასია მისთვის – სააკაშვილი და მისი ნაცბანდა თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო!

სწორედ ეს არის ასარჩევი და არა რომელიმე პარტია!

***P.S.** სააკაშვილის ხელისუფლება დღეს პირზე ქაფმოდებული ამტკიცებს, რომ მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საქართველოს მცხოვრებთა მატერიალური მდგომარეობა.*

***ხალხის რა მოგახსენოთ, მაგრამ პენსიონერებს ნამდვილად ლამის ორჯერ გაეზარდათ პენსიის რაოდენობა. მაგრამ, ვისაც ერთხელ მაინც გადაუვლია თვალი პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოსათვის, კარგად იცის, რომ არსებობს რეალური და ნომინალური ხელფასი. რეალურია ის ფულის ნიშანი, რომელსაც ადამიანი ხელზე იღებს, ნომინალური ხელფასი კი ნიშნავს ამ ფულის ნიშნის ყიდვისუნარიანობას.***

***2003 წლის ნოემბრამდე, ვიდრე შევარდნაძე “რევოლუციის” გზით გადააბარებდა ხელისუფლებას სააკაშვილს, ქართველ პენსიონერს ერთი თვის პენსიით 12 კილოგრამი ხორცპროდუქტის შეძენა შეეძლო, დღე კი მხოლოდ 7 კილოგრამი ხორცის შეძენა შეუძლია. და ამას ეძახიან ნაციონალები მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას!***

***სასურველია ეს წერილი დავაბოლოვო ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებით, რომელიც მან ნაციონალთა “მშობელ” მოქალაქეთა კავშირს მიუძღვნა ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში:***

**“მათ პოლიტიკას მე დავარქვი ხუთი “დ”-ს პოლიტიკა: დენაციონალიზაცია, დესტრუქცია, დეინდუსტრიალიზაცია, დეზინტეგრაცია, დეგრადაცია. გაგიკვირდება კიდეც, რანაირად აღმოჩნდა საქართველოში ამდენი გაუნათლებელი პროვინციელი სნობი, რა ოჯახში იზრდებოდნენ, რომელ სკოლაში დადიოდნენ... ყველას ხომ ბავშვობიდან ასწავლიდნენ სამშობლოს სიყვარულს, საკუთარი ხალხის, ისტორიის, კულტურის პატივისცემას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სნობთა უმრავლესობას საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები აქვს, რომლებიც, ჩემი აზრით, განაპირობებენ კიდევაც მათ ანტიეროვნულ საქმიანობას. ეს მათ წარმოშობას, პიროვნულ ჩამოყალიბებას, ინტელექტუალურ და ზნეობრივ განუვითარებლობას, ანომალიურ მიდრეკილებებსა და ფსიქიკურ გადახრებს ეხება და ამიტომ არასასიამოვნო და უხერხულია ამ თემაზე საუბარი... ნებისმიერ შემთხვევაში, მათ აგრესიულ, ნიჰილისტურ, სიძულვილით აღსავსე დამოკიდებულებას ქართველი ერის, ეროვნული კულტურის, ტრადიციების და ისტორიის მიმართ მხოლოდ დაქირავებულობით ვერ ავხსნით”.**

მკითხველმა თავად გადაწყვიტოს, ამ დროის განმავლობაში რაიმე თუ შეიცვალა ხელისუფალთა მენტალიტეტში.

# ქრისტიანები და მაჰმადიანები ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას ერთად აპროტესტებენ



ამა წლის 4 მარტს მართლმადიდებელმა და მაჰმადიანმა მრევლმა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აგება ერთად გააპროტესტეს. 10 საათზე, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრის, მეუფე დიმიტრის მიერ გენერალ მაზნიაშვილის მებრძოლების საფლავზე საყოველთაო წირვა-ლოცვა აღავლინა და რამდენიმე დღის წინ აღმართული ჯვრის საზეიმოდ კურთხევაც მოხდა.

მართალია, წირვა-ლოცვა დიდი მარხვის პირველი კვირის აღმნიშვნელი მართლმადიდებლობის ზეიმია, მაგრამ ეს საღმრთო ლიტურღია ერთგვარად ბათუმში დაგეგმილ აზიზიეს სახელობის მეჩეთის აშენების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო შეკრება იყო, რომელსაც აჭარის მუსლიმანური მრევლის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

**„კვირას ტარდება წირვა-ლოცვა და ის გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, აზიზიეს მეჩეთის აშენების წინააღმდეგ არსებულ პროტესტთან არის დაკავშირებული. ეს ის ადგილია, სადაც თავის დროზე აზიზიეს მეჩეთი იდგა და შეიძლება ახალი მეჩეთის ასაშენებელ ადგილადაც კი მოიაზრებოდა“,** – ამბობს მეუფე დიმიტრი.

პატრიარქის მდივნის, მამა მიქაელ ბოტკოველის თქმით, საქართველოს საპატრიარქომ უკვე გამოხატა თავისი აზრი, რომ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგია და ამ განცხადებზე პასუხიმგებლობასაც იღებს. კვირას ბათუმში წირვა-ლოცვა კი მეუფე გერასიმემ ჩაატარა. როგორც ყველა ადამიანს, მღვდელმთავარსაც აქვს უფლება საკუთარი პროტესტი ღიად გამოხატოს.

**„დაიცავი საქართველოს“** თავმჯდომარე, მურმან დუმბაძის თქმით, **„4 მარტის სამეუფეო წირვა გადამწყვეტი სიტყვა გახლდათ. სამეუფეო წირვა, ამავე დროს, ერთგვარი შემკრები ძალაა ყველა მათი, რომლებიც მომავალზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე წარსულში ჩარჩენას. მუსლიმანიც, ქრისტიანიც, ნეიტრალური ადამიანიც და ათეისტიც ერთიანია და ყველა ამბობს, რომ დამპყრობი აზიზიეს მეჩეთი ბათუმში არ უნდა აშენდეს“.**

მისი განმარტებით, **„სამთავრობო წრეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მეჩეთის აშენებაში წინააღმდეგობას მარტო ადგილობრივი მართლმადიდებლები უწევენ და ეს ასე არ არის. თავად მუსლიმანებიც წინააღმდეგნი არიან და 4 მარტს, ღია სამეუფეო წირვაზე ასობით მუსლიმანიც დაესწრო იმის აღსანიშნავად, რომ საქართველო-თურქეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებას ისინიც ეწინააღმდეგებიან“.**

ცნობისათვის, წირვის ჩატარების შესახებ სპეციალური განცხადება ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ გავრცელდა.

**„4 მარტს, დიდი მარხვის პირველ კვირას, მართმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს მართმადიდებლობის ზეიმს. ამ დღესთან დაკავშირებით მისი მაღალყოვლადუსამღვდელესობა ბათუმის, ლაზეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტი დიმიტრი წმინდა სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად ბათუმში, სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულ მამულიშვილთა საფლავთან, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე, ღია ცის ქვეშ აღავლენს საღმრთო ლიტურღიას სამშობლოს ერთიანობისა და დედა ეკლესიის სადიდებლად. ღვთისმსახურების დასაწყისი 10 საათი“,** – აღნიშნული იყო განცხადებაში.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ეს მიმართვა სოციალური ქსელი **„ფეისბუქის“** მეშვეობითაც გავრცელდა და ამის შემდეგ სოციალურ ქსელში საერთო მოწოდებები გაჩნდა: **„4 მარტს აჭარამ უნდა დაამტკიცოს მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა!.. ამ ღონისძიებას უერთდება ყველა, განურჩევლად რელიგიური განსხვავებებისა!.. მეუფის კურთხევაა, რომ ყოველი ქრისტიანი მოვიდეს და დაესწროს ამ წირვას... უამრავი ხალხი ჩამოდის სხვადასხვა ეპარქიებიდან, გთხოვთ გაავრცელოთ, რათა უფრო ბევრმა გაიგოს...“**

აღსანიშნავია, რომ **„აზიზიეს მეჩეთის“** მშენებლობას თვით აჭარის მუსლიმანური მრევლის წარმომადგენლებიც აპროტესტებენ.

ბათუმში, გაზეთ **„აჭარა zyTy“**-ს პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე აჭარის მუსლიმანური მრევლის გარკვეულმა წარმომადგენლებმა ბათუმში ე.წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით თავიანთი უარყოფითი პოზიცია გამოხატეს და მიხეილ სააკაშვილის სახელზე შედგენილი სპეციალური მიმართვის ტექსტი წაიკითხეს, რომელზეც 160 ადამიანი აწერდა ხელს.

მიმართვის ბოლოს აღნიშნულია, რომ მუსულმანი თანამემამულეები ერთხმად უერთდებიან სამეუფეო წირვას, რომელიც 4 მარტს ბათუმში, ღია ცის ქვეშ, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ დაღუპულ გმირთა საპატივცემულოდ აღავლინა ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, მეუფე დიმიტრიმ.

წერილში, რომელიც პირველად **„presage.tv“**-მ გაავრცელა, აღნიშნულია, რომ ბათუმში აზიზიეს სახელობის მეჩეთ-მუზეუმის მშენებლობა და მასთან დაკავშირებით რელიგიური საკითხებით მანიპულირება პროვოკაციების მცდელობის საბაბი გახდა და დღითი დღე რთულდება და იძაბება დამოკიდებულება ქრისტიან და მუსულმან ძმებს შორის.

**„ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელნი ქალაქ ბათუმში თურქეთის სახელმწიფოს მიერ აღნიშნული მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობას ამართლებენ, თითქოსდა ჩვენი აჭარის მუსლიმანი მოსახლეობის ინტერესების დაცვის დემონსტრირებით, რაც რელიგიით აშკარად სპეკულირებად უნდა შეფასდეს.**

**აქედან გამომდინარე, ჩვენ, აჭარის მკვიდრთ, მუსლიმანური აღმსარებლობის წარმომადგენლებს არ გვრჩება მორალური უფლება ვიყოთ გულგრილნი მიმდინარე მოვლენებისადმი.**

**თურქ ხალხთან მეზობლობა და მეგობრობა დიდად ძვირფასი და მისასალმებელია, მაგრამ აქვე, სამართლიანობის გულისთვის უნდა ითქვას, ქალაქ ბათუმში თურქეთის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, ჩვენი კუთხის ყველაზე სასტიკი ამაოხრებლის, სულთან აზიზიეს სახელობის მოქმედი მეჩეთის ან მუზეუმის მშენებლობა სრულიად მიუღებელია, იგი ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ღირსებას, დაუშვებლად მიგვაჩნია ეროვნული და სახელმწიფოებირვი თვალსაზრისით, რადგანაც მასში შორს გამიზნული მზაკვრული იდეოლოგიის სიმბოლო ჩანს, რომელიც შავბნელ ისტორიულ წარსულს გვახსენებს.**

**მეჩეთის მშენებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს აჭარის მუსლიმანი მრევლის მოთხოვნით და არა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებებით, რაც უდაოდ პოლიტიკური ხასიათისაა...**

**ჩვენთვის დიდად ძვირფასია ოშკი და იქ არსებული ისტორიული კულტურის ძეგლები, მაგრამ მათ სანცვლოდ ვერ დავაყენებთ ეჭვქვეშ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ ცნობიერებას, ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას. ამ გზაზე კი მთავარი პოზიცია უნდა იყოს ჩვენი ერთსულოვნება, რომლის წინაშეც ყოველგვარი პროვოკაცია უძლურია“,** – ნათქვამია განცხადებაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პრეს-სამსახურის უფროსი, ნათია მურაჩაშვილი ამბობს, რომ აზიზიეს მეჩეთის ასაშენებლად კონკრეტული ადგილი ჯერ შერჩეული არ არის, მაგრამ პროტესტის მიუხედავად ის აუცილებლად აშენდება.

**„კომენტარი არაერთხელ გაკეთდა. უბრალოდ ადგილი ჯერ შერჩეული არ არის, მაგრამ ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლები რომ უნდა გადარჩეს და ასევე, ქვეყანაში არსებული კულტურული მემკვიდრეობა რესტავრირებული უნდა იყოს, ამაში მე მგონი ორი აზრი არ არსებობს... რას ჰქვია პროტესტი? შეთანხმება მიღწეულია“ (სტილი დაცულია),** – ამბობს მურაჩაშვილი.

ბათუმი კი საპროტესტო წირვა-ლოცვისთვის მოემზადა. მურმან დუმბაძის განცხადებით, იქ საფლავზე, სადაც 1921 წლის 23 მარტს 50 ქართველი მებრძოლი დაკრძალეს, რამდენიმე დღის წინ ჯვარი აღიმართა და ამ ჯვარის კურთხევაც პროტესტის ერთგავრი სიმბოლო იქნება.

**მურმან დუმბაძე: „90-იან წლებში არქეოლოგიური გათხრების წარმოების გამო საფლავების ახლოს ადგილი შემოიღობა. სწორედ საფლავებთან ახლო პერიმეტრში იდგა აზიზიეს მეჩეთი, სადაც ახლა საცხოვრებელი სახლი დგას და კვირას აქ შეკრებილი მრევლი არა მარტო წირვას დაესწრება, ერთგვარად იმასაც გამოხატავს, რომ მეჩეთი არ უნდა აშენდეს. კვირას მოედანზე შეიკრიბება ის საპროტესტო ძალა, რომელიც თურქულ-ქართული პოლიტიკური ხელშეკრულების წინააღმდეგია“.**

მისი თქმით, იმ ადგილს, სადაც აზიზიეს მეჩეთი იდგა, ჯერ აზიზიეს მოედანი, შემდეგ ლენინის და ახლა თავისუფლების მოედანი ჰქვია. მეჩეთი გასული საუკუნის 30-იან წლებში დაინგრა.

დუმბაძის ცნობით, ქართველ ჯარისკაცთა სასაფლაოსთან არის 2 ათას კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი და როგორც მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, არსებობდა ჩანაფიქრი, რომ მეჩეთი ამ ადგილზე უნდა აგებულიყო, თუმცა, ხალხის დიდი წინააღმდეგობის გამო, გადაწყდა მეჩეთის მშენებლობა ბათუმის სხვა ადგილზე განხორციელდეს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მეჩეთის ნებისმიერ ადგილზე აგების წინაღმდეგია.

მღვდელმთავარი მეუფე დიმიტრი ამბობს, რომ წირვა-ლოცვის ჩასატარებელი ადგილი ის ტერიტორიაა, სადაც თავის დროზე აზიზიეს მეჩეთი იდგა და გარკვეულწილად შეიძლება ახალი მეჩეთის ასაშენებლად მოიაზრებოდა კიდეც.

**„ამ ადგილზე დასაფლავებული არიან მაზნიაშვილის ჯარისკაცები, თავდადებული ვაჟკაცები, რომლებმაც დედასამშობლოს თავისუფლების გამო თავი გაწირეს და მათ საფლავზე აღვმართეთ ჯვარი. იქ რამე გამოსვლა არ იქნება. მე კი არა, თავად აჭარის მუსლიმანურმა სამმართველომ გაავრცელა განცხადება და ამ დამოკიდებულებას და თანადგომას მივესალმებით“,** – ამბობს მეუფე დიმიტრი.

მეუფე დიმიტრი: **„აბდულა აზიზიეს ქართველმა დედამ აუშენა ეს მეჩეთი. ის აჭარის სისხლიანი დამპყრობელი იყო. რაც შაჰ-აბასია, თუმურ ლენგი ან მურმან ყრუა, მსგავსი ამაოხრებელი, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ოკუპანტი იყო აზიზიე. როგორც მემატიანე გვეუბნება, მდინარე ჭოროხი სისხლად მოედინებოდაო. სხვათა შორის, აჭარის მუფტიმ, ჯემალ პაქსაძემ პირდაპირ თქვა, რომ იმ მოწამეებში, რომლებსაც აბდულა აზიზიემ სიცოცხლე მოუსწრაფა, ჩემი წინაპრებიც იქნებოდნენო... როგორი მისაღებია, რომ შენი დამპყრობის მეჩეთი საგანგებოდ ააშენო?! ჩვენმა მწერალმა, შოთა ზოიძემ თქვა – წარმოიდგინეთ საქართველოს სახელმწიფოს მიერ საუკუნის შემდეგ პირსისხლიანი დამპყრობლების ძეგლები რომ დაიდგას საქართველოს ქალაქებშიო, ასეთივე ანალოგიაა და მე ვეთანხმები.**



კვირას გაიმართა წირვა, საღმრთო ლიტურგია და ხალხი მოვიდა იმისათვის, რომ ლოცვით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება. ქართველებს არ სურთ ყოველდღე უყურებდნენ იმ ადამიანის სახელობის რაღაც მუზეუმს თუ ძეგლს, რომელმაც სისხლის წვიმები აწვიმა აჭარას.

ერთი რამ მინდა დავამატო – ხელისუფლება კი ამბობს იმას, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე საპატრიარქოსთან მოლაპარაკება გვქონდაო. მე ვესწრებოდი ამ შეხვედრას და იქ პატრიარქმა ნიკა რურუას თურქეთის პრემიერ-მინისტრ, ერდოღანთან გაგზავნილი წერილის ასლი გადასცა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ვთხოვდით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების დაბრუნებაზე ეშუამდგომლათ.

თურქეთის ხელისუფლებამ ჩვენს გარდა ყველა კონფესიებს გადასცა ქონება. სომხებს, მაგალითად, 5 ეკლესია გადასცეს და არა მარტო რესტავრაცია ჩაუტარდათ ტაძრებს, იქ ღვთისმსახურებაც აღდგენილია. თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება იყო, რომ ყველა რელიგიური მიმდინარეობისთვის ქონება დაებრუნებინათ და ჩვენც ანალოგიურად მოვითხოვდით. როცა ოშკსა და იშხანზე მიდის საუბარი, ჩვენ სხვა ტაძრებიც გვადარდებს.

რურუა შეგვპირდა, რომ ამ საკითხს დააყენებდა და, სამწუხაროდ, სულ სხვანაირ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ასე რომ, თითქოს ეკლესია თურქეთში არსებულ ქართულ ტაძრებზე არ დარდობს, ეს სწორი არ არის. ოფიციალური პასუხი არ მოგვწერეს, მაგრამ არაოფიციალურად მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენ დავაკმაყოფილეთ გასული საუკუნის 30-იანი წლების მოთხოვნები და მაშინ თქვენ სახელმწიფო არ იყავითო. როგორ, სომხებს და ებრაელებს ჰქონდათ 30-იან წლებში სახელმწიფო და ჩვენ – არა?!“

ე. ბასილაია

## „ციტატა-შეხსენება

თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ დღეს უკვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომლის დროსაც საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის მინიმალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზეც კი სერიოზულად საუბარი, უბრალოდ, სასაცილოა. პირდაპირ ან ცრუმაგიერი პირებით ხდება მიწის, უძრავი ქონების, საწარმოო ობიექტების შესყიდვა. იხსნება ურიცხვი თურქული ფირმა, მაღაზია, მაგრამ იქ მუშაობენ არა ადგილობრივი მაცხოვრებლები, არამედ თურქები. ყველგან ფუნქციონირებენ თურქული სკოლები, ლიცეუმები, კოლეჯები; შენდება თურქული უნივერსიტეტი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელსაც, ბუნებრივია, ქართული უმაღლესი სასწავლებლები კონკურენციას ვერ გაუწევენ..

ალექსანდრე ჩაჩია,

1996 წლის დეკემბერი“.

პატივცემულო მკითხველო, როგორც ხედავთ, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ბატონი ალექსანდრე ჩაჩია ჯერ კიდევ 16 წლის წინათ გვაფრთხილებდა, რომ თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიას რელიგიური ექსპანსიაც მოჰყვებოდა, მაგრამ ჩვენ ეს არ შევისმინეთ.

შედეგი კი სახეზეა!

## ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

# მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა


(ანოტაცია)

რამდენად მეტი საერთო ნიშნებია დამახასიათებელი ადამიანებს (ხალხებს) შორის, მით უფრო ახლომონათესაობის მიმანიშნებელია იგი. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობისაა ენობრივი მსგავსება, ენობრივი მონათესავეობა.

ენობრივი მონათესავეობა ადამიანებისა მათი (ადამიანთა) გენეტიკური (წარმოშობითი, სისხლ-ხორცეული) მონათესავეობის განმსაზღვრელი ნიშანია.

ენათა ნათესაობის საკითხი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია ენათმეცნიერებისათვის და არა მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის. ამიტომაც მის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა.

მონათესავეობა, როგორც ასეთი, შეიძლება იყოს ახლო და შორეული. უტყუარია ახლო მონათესავეობა ქართველური ენებისა – საკუთრივ ქართულისა, სვანურისა, მეგრულისა და ჭანურისა, ასევე ახლო მონათესავენი არიან სლავური ენები (რუსული, უკრაინული, ბელორუსული...), ძველი ლათინურიდან მიღებული ენები: იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური და სხვ.

მაგრამ, მაგალითად, ქართული (ქართველური), რუსული, ინგლისური, ჩინური, არაბული ენების, ასევე ველურ ადამიანთა ენების ახლო მონათესავეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე ითქმის, თუნდაც უძველეს ქართველურ (პრექართულ თუ პროტოქართულ), ლათინურ, სლავურ და თუნდაც თანამედროვე ველურ ადამიანთა ენებზეც.

სულაც არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული და სხვა ენები სულ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში წარმოშობილი თავისთავადი ენები იყვნენ. სხვაგვარად, უდავოდ სავარაუდოა, რომ დედამიწის ზურგზე ადამიანთა და ენათა წარმოშობა სხვადასხვა ადგილას და თვით სხვადასხვა დროსაც არის მომხდარი (ეს თვალსაზრისი მოცემულია არნ. ჩიქობავასთან). სავარაუდოა ისიც, რომ თანამედროვე ველურ ადამიანთა ენები, რომლებიც ლექსიკის ესოდენი სიმცირით ხასიათდებიან, შედარებით ახალგაზრდა პირველყოფილი ენები იყვნენ.

ყველა შემთხვევაში, სადაც და რა დროსაც არ უნდა წარმოშობილიყო პირველყოფილი ენა (ენები), მისი (მათი) წარმოშობის საფუძველი უდავოდ ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმამიბაძვაა.

ამ თვალსაზრისით, პირველყოფილი მეტყველება ენა (ენები), ეს იყო, უდავოდ, მეტყველება ბუნების ენაზე. სხვაგვარად, პირველყოფილი ენა – ეს იყო ბუნების ენა.

განსხვავებული ვითარებაა, როცა საქმე გვაქვს, პირველყოფილი ენიდან (ენებიდან) წარმოშობილ სხვა ენებთან.

ჩვენი გამოკვლევის ძირითად ობიექტში, მეგრულ ენაში, რომელიც ერთ-ერთი თანამედროვე ქართველური ენათაგანია, განსაკუთრებით უხვადაა შემონახული არქაული ენობრივი ფორმები, პირველყოფილი თანხმოვნური ხმაბაძვითი ფორმების სახით. ამასთან, ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აშკარად ხმაბაძვითია, ან ასეთ საფუძველზე მიღებულად აშკარავდება.

რაც ფრიად საყურადღებოა, მეგრული ენის ლექსიკის ესოდენი სიმდიდრე უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ამ და სხვა ქართველური ენების წინამავალი პირველყოფილი ენა უშორეულეს წარსულშია წარმოშობილი.

და ბოლოს, აქვე დავასკვნით: რა დროს და რა ადგილასაც არ უნდა წარმოშობილიყო პირველყოფილი ენა (ან ენები) დედამიწაზე, ეს ენაც (ენებიც) და მისმიერი (მათმიერი) წარმომავლობის თანამედროვე ენები (ველურ ადამიანთა ენების ჩათვლით) უდავოდ მონათესავე ენებია, ოღონდ შორეული მონათესაობისა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანები დედამიწაზე, მიუხედავად მათი ენოვნებისა და ეროვნებისა, მონათესავენი არიან, იმდენად რამდენადაც ისინი წარმოადგენენ სწორედაც ადამიანებს, ანუ განვითარებულ, გონიერ, მოაზროვნე და მეტყველ არსებებს და არა რომელიმე სხვა სახის ცხოველებს, რომელთათვისაც ასეთი რამ უცხოა.

ბიოლოგიური, კერძოდ, გენეტიკური თვალსაზრისითაც ადამიანთა საყოველთაო მონათესავეობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ შთამომავლობა, ჩვეულებრივ, მიიღება ნებისმიერი ეროვნებისა და ენოვნების ადამიანების დაქორწინების პირობებში.

დ ა ვ ა ს კ ვ ნ ი თ:

თანამედროვე კაცობრიობის ენათა ესოდენი სიმრავლის მიუხედავად, ადამიანები თავდაპირველად ერთ ენაზე – ბუნების ენაზე – ამეტყველდნენ და კაცობრიობის მთელი მოდგმა დღეისათვის. გარკვეული გაგებით, ერთ ენაზე ლაპარაკობს.

ამიტობაც მართებთ ადამიანებს, დედამიწაზე, მიუხედავად მათი ეროვნებისა, კანის ფერისა, რელიგიური შეხედულებებისა თუ მრწამსისა და ენობრივი სხვადასხვაობისა, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ერთმანეთსაც და ერთმანეთის ენასაც, რამეთუ ერთიანი გენეტიკური საფუძველი და ენა მოსდგამთ და აერთიანებთ მათ დასაბამიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი საერთო დასკვნები:

1. ადამიანური მეტყველებისა და ენის წარმოშობის საფუძვლები სიტყვათწარმომავლობაში იძებნება.

2. სიტყვათწარმომავლობაში მისი ფონეტიკური თავდასაბამი იკითხება.

3. სიტყვათწარმომავლობის ფონეტიკურ თავდასაბამს ბუნებაში მოცემული ბგერები წარმოადგენენ.

4. სიტყვათწარმომავლობა, ისტორიულად, საგანთა სახელდების პრინციპით განისაზღვრება.

5. საგნის სახელდება, სიტყვისა და სამეტყველო ბგერების წარმოშობა ერთდროული და ურთიერთდაკავშირებული მოვლენაა, განპირობებულია ბუნებაში მოცემული (საგნის მიერ გაღებული) ბგერებისადმი ხმის მიბაძვით და წარმოადგენს საფუძველს ენის წარმოშობისა.

6. პირველყოფილ მეტყველებას სიტყვებით წინ უძღოდა მეტყველების ერთგვარი ჩანასახოვანი ფორმა – მეტყველება ხმაბაძვითი შორისდებულებით (მაგ., სისინის, შიშინის, ღრიალის, ჩხრიალის და სხვათა გამომხატველი ბგერათკომპლექსებით: სსს, შშშ, რრრ, ჩხრრრ და სხვა) რითაც ეხმიანებოდნენ ადამიანები ბუნების საგნებს. ეს იყო ადამიანური მეტყველებისათვის მოსამზადებელი პერიოდი.

7. პირველყოფილი მეტყველება – იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით, კერძოდ, ერთეული თანხმოვნებით, თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით ან მათი განაერთებით, მათთანვე ემფატიკური ნახევრადხმოვანი ჷ ბგერის, იგივე საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფციით ნეიტრალური ხმოვნის [C] თანხლებით. მეტყველების ამ დონისათვის დამახასიათებელი იყო მონოვოკალიზმი.

8. ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან ბუნების სახის (საგნის, ან სხვა ობიექტური მონაცემის) შესახებ კონკრეტული იდეამტარებლობით.

9. პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური მეტყველება იყო მეტყველება ერთ ენაზე – ბუნების ენაზე, რომლისთვისაც იმთავითვე იყო დამახასიათებელი დიალექტური მეტყველებანი, თვით ერთი და იმავე საგნის მიერ გაღებული ბგერების სხვადასხვა ადამიანის მხრივ განსხვავებულად აღქმა-გამოხატვის გამო (სასმენი ორგანოების აღქმადობის განსხვავებულობის შედეგად). ეს გახდა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი შემდგომში სხვადასხვა ენების წარმოშობისა (ამის დასტურია, მაგ., მეგრულ-ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანული შესატყვისობანი: გუგული-გუგული-კუკუშკა-ქუქუ-კუკუკ და სხვა); მისი მეორე ძირითადი საფუძველი კი გახდა საკუთრივ პირობითი („წმინდა წყლის" პირობითი) ნიშნების შემოღება, რაც მეორეული (გვიანდელი) მოვლენაა ენაში და რისთვისაც ადამიანი იყენებს მის განკარგულებაში უკვე არსებულ ბგერებს, მათგან შედგენილ ფორმებს (შდრ.: იგივე „გუგული" ქართ., „კუკუშკა" რუს. და სხვა, მაგრამ: „ზოზულია" უკრ., „ხოტოტოგისუ" იაპ., „დუძიუან" ჩინ. და სხვ.).

10. ბუნებაში მოცემული (მ. შ. თვით ერთი და იმავე საგნის მიერ გაღებული) ბგერებისადმი სხვადასხვა ადამიანის მიერ ხმის მიბაძვა და, მათი აღქმადობის შესაბამისად, სათანადო ბგერების გამოხატვის მრავალგზისი მცდელობა გახდა საფუძველი საარტიკულაციო ბაზისის (საწარმოთქმო ჩვევების) ჩამოყალიბებისა და ბგერითი შემადგენლობის სხვადასხვაობისა სხვადასხვა ენაში (შდრ.: „ჭიკჭიკი" ქართ., „ჩირიკანიე", ზედმიწ. „ჩიკჩიკი" რუს., „ჩიფინგ" ინგლ., „ცვიშჩენ" გერმან. და სხვ.).

11. პირველყოფილი ძირისეული თანხმოვნური ფორმების (სიტყვების) გახმოვა-ნება(გასრულხმოვნება)-აფიქსაცია-გრამატიზაცია მეორეული (გვიანდელი) მოვლენაა ენაში. იგი განპირობებულია ემფატიკური ნახევრადხმოვანი ჷ (იგივე [C]) ბგერის სწრაფვით ხმოვანი ბგერებისაკენ, საჭიროებისას – აგრეთვე თანხმოვანი (კერძოდ, სონორი) ბგერებისაკენ ანუ ასეთ ბგერებად მისი განვითარებით და სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნით, რომლებიც, თავიანთ მხრივ, მორფოლოგიზირდებიან (იქცევიან მორფოლოგიურ ოდენობად), მასთანავე, სემანტიზირდებიან და გვევლინებიან საკუთარი ფუნქციამტარებლობის მქონე საგრამატიკო საშუალებებად (აფიქსების, კერძოდ, – სუფიქსების, ინფიქსებისა და პრეფიქსების, აგრეთვე ზმნისწინების სახით). მეტიც, აღნიშნულ საფუძველზე ) ბგერის ფონეტიკური ტრანსკრიფციის, ანუ ნაირფეროვან ფორმებად, იგივე ფონეტიკურ ვარიანტებად გარდაქმნა-გარდასახვის შედეგად მიიღებიან, ძირითადად, ცალკეული მეტყველების ნაწილები, როგორიცაა: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, აგრეთვე შორისდებულები.

12. ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების გახმოვანება-აფიქსაცია-გრამატიზაციის საფუძველზე მიმდინარე ფონეტიკურ პროცესთა შედეგად, თვით ამგვარ ფორმათა მნიშვნელოვან ნაწილში ხდება ბუნებითობის, კერძოდ, ხმაბაძვითობისა და იკონურობის (გამომსახველობითობის) ვითარების მოშლა, წარმოდგენის ჩაქრობა და, ნაცვლად ადრინდელი ცოცხალი, მეტყველი, იდეამტარებელი ფუძეებისა, უტყვი პირობითი ნიშნების მიღება. ამას ემატება საკუთრივ პირობითი („წმინდა წყლის" პირობითი) ნიშნების შემოღება ენაში და იგი, საბოლოო ანგარიშით, იქცევა პირობით ნიშანთა სისტემად.

13. თანამედროვე ენა, პრაქტიკულად, წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმებისა და ჷ (იგივე Cჷ ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან (ისტორიული თვალსაზრისით) შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.

14. საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა და იკონურობა (გამომსახველობითობა); რაც შეეხება ენობრივი ნიშნის პირობითობას, (საკითხი ეხება „წმინდა წყლის" პირობით ნიშნებს), იგი მეორეული (გვიანდელი) მოვლენაა ენაში.

15. სამეტყველო ბგერები – თანხმოვნები და ხმოვნები – თავიანთი დანიშნულების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თანხმოვნები წარმოადგენენ იდეამტარებელ ბგერებს, ადგილისა და დროის განუსაზღვრელად; ხმოვნები კი, პირიქით, – წარმოადგენენ იდეის განმსაზღვრელებს ადგილისა და დროის მიხედვით.

16. თანხმოვნებისა და ხმოვნების დანიშნულებითი სხვადასხვაობა განპირობებულია მათი წარმომავლობითი (გენეზისური) სხვადასხვაობით. თანხმოვნები (იგულისხმება ხმაბაძვით ძირისეულ ფორმათა თანხმოვნები) წარმომავლობენ ბუნებაში მოცემული ბგერებიდან, წარმოადგენენ მათს ადამიანისეულ რეპროდუქციას; ხმოვნები, ისტორიულად, წარმოადგენენ უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ჷ (იგივე Cჷ ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს.

17. ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებთან წარმოდგენილი ჷ ბგერა, ენაში, ერთდროულად, მრავალი ფუნქციის მატარებელია. იგი, აქ, გვევლინება, – როგორც მარცვალწარმომქმნელი ბგერა, ფონემაწარმომქმნელი (იგივე, სამეტყველო ბგერათწარმომქმნელი) ბგერა, მორფემაწარმომქმნელი (იგულისხმება როგორც ძირისეული, ასევე გრამატიკული მორფემები) ბგერა, ფორმათა დეტერმინანტი ანუ იდეაგანმსაზღვრელი ბგერა, ამ საფუძველზე, – როგორც სიტყვათწარმომქმნელი ბგერა, და ბოლოს, ადამიანური აზროვნების ჩამოყალიბებაში, თვით ადამიანის – როგორც გონიერი არსების – წარმოშობაში ლომის წილის მქონე ბგერა, ვინაიდან ენისა და ადამიანის წარმოშობა ერთიანი, განუყოფელი პროცესია.

18. თანხმოვნური ფორმების გახმოვანება-აფიქსაციის ანუ თანხმოვნური მეტყველებიდან ხმოვნურ მეტყველებაზე გადასვლის პროცესში ჷ ბგერა თანდათანობით გადის არენიდან. მაგრამ იგი სავსებით კი არ ქრება, კი არ იკარგება, არამედ მარცვლის მახვილის სახით განსხეულდება იმავე ხმოვან ბგერაში, რომელსაც თავად დაუთმო ადგილი ანუ რომელ ბგერადაც განვითარდა (გასრულხმოვანდა) და მასვე გადასცემს საკუთარ ფუნქციებს, მათ შორის, მარცვალწარმომქმნელ და დეტერმინაციულ ფუნქციებს.

19. ენა შეიცავს რაციონალურ და ირაციონალურ საწყისებს, ბუნებრივ და პირობით („წმინდა წყლის" პირობით) საფუძვლებს.

20. ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებანი ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილის არამოტივირებულობის, შემთხვევითობისა და ნებისმიერობის, აღსანიშნსა (საგანსა) და აღმნიშნელს (ფონემას, სიტყვას) შორის მხოლოდ პირობითი კავშირის არსებობის, ენის წარმოშობის შესახებ მხოლოდ ვარაუდების (ჰიპოთეზების) წამოყენების შესაძლებლობისა და სხვათა შესახებ, მცდარია, საფუძველს მოკლებულია.

21. ენაში წარმოდგენილია მისი წარმოშობა-განვითარების მთელი ისტორია, თავგადასავალი; თანამედროვე ენაში სახეზეა, ასე შეიძლება ითქვას, პირველყოფილი მეტყველების კვალიც, ხნულიც, ნათესიც, აღმონაცენიც და ნაყოფიც; ენა, სინქრონიულთან ერთად, წარმოგვედგენს დიაქრონიულ ვითარებასაც.

22. ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი მოტივირებულია, თანაც ფონეტიკური დასაბამიდანვე, ანუ სამეტყველო ბგერების წარმოშობიდანვე.

23. ენის ძირითად (უთავდაპირველეს) კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს იკონურობა.

24. ენის წარმოშობის შესახებ არსებული (მაგრამ ენათმეცნიერების მიერ, პრაქტიკულად უარყოფილი), ყველა თეორია მართებულია, ოღონდ გარკვეული (თავთავიანთი) კუთხით და ხმაბაძვითობის თეორიის პრიორიტეტულობით.

25. ნებისმიერი ენის სიტყვათწარმომავლობის შესწავლას, როგორც წესი, მივყავართ არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ენის, არამედ საერთოდ (ზოგადად) ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლამდე, მისი საიდუმლოების ამოხსნამდე.

26. გამოკვლევის ობიექტი – მეგრული ენა – უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაა მსოფლიოს ენებს შორის. მისი ლექსიკა მილიონობით სიტყვას ითვლის და მასში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის (მოცემული ენის, ზოგადად ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობა-განვითარების მთელი ისტორია.

აღნიშნული და სხვა (გამოკვლევის ტექსტში წარმოდგენილი) დასკვნები ემყარება ცოცხალ ენობრივ მონაცემებს, სხვადასხვა სახის საბუთებსა და არგუმენტებს, მათს ანალიზსა და ლოგიკურ განსჯას, გამოკვლევის ობიექტის, ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენის – მეგრულის ენის მთელი ლექსიკის დაახლოებით 99,5 პროცენტის სიტყვათწარმომავლობის გამოკვლევის საფუძველზე, და დასტურდება სხვა, ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ენების შედარებითი ანალიზითაც.

წარმოდგენილ ნაშრომს არა აქვს პრეტენზია საკითხის ამოწურვისა და უხარვეზობისა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, მან გარკვეული სიცხადე შეიტანოს ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში, როგორიცაა ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა.



მამანტი ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.
ცირა ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

სხვათა შორის, დავუბრუნდეთ 26 ივნისის დღის მიწურულს. სუხომლინოვი წერს, რომ ბერია კრემლიდან გამოიყვანეს 17 საათსა და 30 წუთზე და ეს კარგად თანხვდება შექმნილი მდგომარეობის საერთო სურათს, როგორც ეს მე წარმომიდგენია. იგივე სუხომლინოვი გვამცნობს, რომ ლავრენტი ბერია ჯერ ალეშინსკის ყაზარმების გარნიზონის ჰაუპტვახტაში წაიყვანეს, 27 ივნისს კი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში გადაიყვანეს, რომელიც ოსიპენკოს ქუჩის №53-ში მდებარეობდა.

იმ შაბათს, საღამოს, მოსკოვის დიდ თეატრში გადიოდა იური შაპორინის განახლებული ოპერა **"დეკაბრისტები"**, რომელსაც უნდა დასწრებოდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება, ბერიას ჩათვლით. და ის, რომ ოპერის დამსწრეთა შორის არ ფიგურირებდა ბერიას გვარი, შეიძლება ზოგს ეჭვი აღუძრა, რომ რაღაც არაორდინალური ხდებოდა. მაგრამ... განა ცოტა რამ მიზეზი არსებობს, რის გამოც ხელისუფლების რომელიმე მაღალი **"გვამი"** გასართობ ღონისძიებას ვერ დაესწრება! აი, თუნდაც, უცებ შეუძლოდ გახდა ადამიანი და ვერ დაესწრო საინტერესო სპექტაკლს. სულ ეს არის და ეს...

სამწუხაროდ, ამ დროისათვის ბერია ოპერის საპატიო ლოჟაში კი არა, ციხის კამერაში იჯდა და, სისხლის სამართლის საქმისათვის, ფოტოგრაფი სურათს უღებდა პროფილსა და ანფასში. მაგრამ ციხის ფოტოგრაფი მაშინ ადგილზე არ აღმოჩნდა, არაპროფესიონალის მიერ გადაღებული ფოტო კი იყო მსხვილპლანიანი, რომელზეც გარკვევით მოჩანდა ლავრენტი ბერიას სახის ყოველივე ნაკვთი და, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდა მის თვალებში მოკიაფე ნაპერწკალი. სუხომლინოვს, ეს ფოტო, რატომღაც, კომიკურად მიაჩნია, მაგრამ იგი უდავოდ ტრაგიკულია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საპყრობილეშია გადაღებული, არამედ იმიტომაც, რომ ფოტოდან ჩვენ გვიმზერს უდავოდ ჭკვიანი, დაღლილი ადამიანი, რომლის გამომეტყველებაში იოტისოდენადაც კი არ გამოსჭვივის რაიმე სიბოროტე ან სისასტიკე.

მართლაც რომ ძლიერი ფოტოსურათია.

იგი გადაღებულია დაპატიმრებიდან მეორე დღეს და, როგორც ჩანს, ემოციურმა ტალღამ უკვე ჩაიარა. ემოციის მოზღვავება კი, ეჭვსგარეშეა, ნამდვილად იქნებოდა... ნამდვილად-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ, ვიმეორებ: ლავრენტი ბერიას ცხოვრების ხანმოკლე პერიოდის როგორც მთავარი ამბების, ასევე წვრილმანების დეტალურად აღდგენა, 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ, ალბათ პრაქტიკულად შეუძლებელია. თუნდაც ის ფაქტია მრავლისმეტყველი, რომ სუხომლინოვი აღგვიწერს ბერიას პირადი დაცვის უფროსის სარქისოვის დაპატიმრების ფაქტს, მაშინ, როცა ბერიას დაპატიმრების დროს სარქისოვი უკვე სამი კვირის წასული იყო ამ თანამდებობიდან და მუშაობდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ასევე ნაკლებ სარწმუნოა სუხომლინოვის მტკიცებულება ლავრენტი ბერიას დაპატიმრების პირველ დღეებთან დაკავშირებით. სუხომლინოვს ნამდვილად წარმოდგენა არ გააჩნია ბერიას მიერ უკანასკნელად ხელმოწერილ **"ატომურ"** დოკუმენტთან დაკავშირებით და კრემლში მისვლისთანავე ბერიას მალენკოვის კაბინეტში აგზავნის. სუხომლინოვი იმასაც არ ითვალისწინებს, რომ სწორედ ბერიას დაპატიმრების დღეს ყალიბდება სსრკ მსხვილი **"ატომური"** უწყება – საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო. არა და, სწორედ სუხომლინოვს ჰქონდა დაშვება საიდუმლო დოკუმენტებთან, რაც მას ბევრად უფრო ეფექტურად უნდა გამოეყენებინა.

მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც უნდა მივიჩნიოთ სარწმუნოდ. ეს უპირველესად გახლავთ ბერიას მიერ ბუნკერიდან გამოგზავნილი წერილები. ეს წერილები რომ ნამდვილია, მათი ფსიქოლოგიური სიზუსტე ადასტურებს. სუხომლინოვი ამავე დროს გვაუწყებს, რომ ძალოვანთა შორის მოქმედებდნენ ორი ტიპის გამომძიებლები – **"ძვლისმტვრეველები"** და **"მწერლები"**. და ეს **"მწერალი"** გამომძიებლები ისე იყვნენ გაწაფულები საკუთარ საქმეში და ისეთ ფანტაზიას აქსოვდნენ დაკითხვის ოქმების რუსულ ენაზე შედგენას, რომ მათი თვით გამოცდილ რედაქტორ-ლიტერატორებსაც კი შეშურდებოდათ. ეს ინფორმაცია ფასეულია იმითაც, რომ ამტკიცებს, თუ საიდან გაჩნდა ბერიას **"საქმის"** ამდენი ვერსია. მაგრამ საეჭვოა, რომ კრუგლოვ-იგნატიევ-კრუგლოვის შინაგან საქმეთა 1946-1953 წლების თარგის სამინისტროში ყოფილიყვნენ ახალი ლევ ტოლსტოები ან ანტონ ჩეხოვები. ადამიანმა შეთხზას ეჭვმიტანილის დამაჯერებელი **"აღიარება"**, სულ სხვა საქმეა... აი, ბუნკერში უდანაშაულოდ გამომწყვდეულმა ტუსაღმა რომ წერილი დაწეროს, საჭიროა ჰქონდეს გამორჩეული ლიტერატურული ტალანტი და ქვეყნის მართვის სისტემების წლებით დაგროვილი ღრმა ცოდნა... ან, უნდა იყო ლავრენტი ბერია!

სამხედრო-საჰაერო თავდაცვის შტაბში ბერიას იზოლაციაზე პასუხისმგებელი იყო გენერალი ბატიცკი. დოკუმენტთა კრებულში **"ლავრენტი ბერია. 1953"** მითითებულია, რომ არქივში ინახება ბატიცკის ჩანაწერები, რომელიც გენერლის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი პირველი წერილის საფუძველი გახდა: **"სრულიად საიდუმლოდ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. პირადად ამხ. გ.მ. მალენკოვს. 19-20-27.VI.53. გაიცა 4 ფურცელი ქაღალდი, 2 ფურცელი დავაბრუნე, ერთი ფურცელი დახეულია, ნახევარი ფურცელი გამოყენებულია, ნახევარი ფურცელი დარჩა ხელზე. ბატიცკი"**.

სულ კი, ბერიამ თითქოს სამი წერილი გამოგზავნა. მაგრამ, ბატიცკის ჩანაწერების მიხედვით მან ბერიასაგან პირველი ბარათი მიიღო 27 ივნისს 19 საათსა და 27 წუთზე, მაშინ, როცა მითითებულ კრებულში პირველი წერილი დათარიღებული 1953 წლის 28 ივნისით (იგივე თარიღია მითითებული სუხომლინოვის წიგნშიც). ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ სულ იყო ოთხი წერილი, მაგრამ პირველი წერილი განადგურებული იქნა. ეს ვერსია შეიძლება ჭეშმარიტებად იქნეს მიჩნეული ერთი გარემოების გამო – 27 ივნისს ლავრენტი ბერია ისეთ ფსიქოლოგიურ განწყობაზე შეიძლებოდა ყოფილიყო და ისეთი მამხილებელი ფაქტებით გაჯერებული რამ დაეწერა, რომ დიდი დისკომფორტი შეექმნა იმ ლიტერატორებისათვის, რომლებიც ლავრენტი ბერიასაგან **"სისხლიანი ჯალათისა"** და **"მონსტრის"** შთამბეჭდავ პორტრეტს ქმნიდნენ.

ასეა თუ ისე, ჩვენ ხელთ გვაქვს ლავრენტი ბერიას სამი გამოქვეყნებული წერილი – 1953 წლის 28 ივნისით, 1 ივლისით და, სავარაუდოდ, 2 ივლისით დათარიღებულები. 1 ივლისს ბერიას მიერ დაწერილი მეორე, ყველაზე ვრცელი წერილი მკითხველს, მე, ჯერ კიდევ ამ წიგნის დასაწყისში გავაცანი და მისი სათანადო ციტირებაც მოვახდინე.

რაც შეეხება პირველ წერილს, იგი ფრიად მოკლეა და საკმაოდ აუკანკალებელი ხელითაა დაწერილი, ყოველგვარი შეცდომების გარეშე, თანაბარი სტრიქონებით:

**"სკკპ ცენტრალურ კომიტეტს**
**ამხანაგ მალენკოვს**

**ძვირფასო გიორგი,**

**მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ცეკას პრეზიდიუმზე ჩემს მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს გავითვალისწინებდი და სასარგებლო ვიქნებოდი კოლექტივისათვის. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა სხვაგვარად გადაწყვიტა, რაც მე სწორად მიმაჩნია. ამასთანავე, აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ყოველთვის ვიყავი ლენინ-სტალინის პარტიისა და სამშობლოს ერთგული, ყოველთვის აქტიურად ვსაქმიანობდი. ვმუშაობდი რა საქართველოში, ამიერკავკასიაში, მოსკოვში შსს-ში, მინისტრთა საბჭოში და კვლავ შსს-ში, ძალღონეს არ ვიშურებდი საქმის გასაკეთებლად, ვარჩევდი პრინციპულ, პარტიისა და მეგობრების ერთგულ კადრებს მათი საქმიანი თვისებების მიხედვით. ეს ეხება სპეციალურ კომიტეტსაც, პირველ და მეორე მთავარ სამმართველოებს, რომლებიც მუშაობდნენ ატომური და მართული რაკეტების მშენებლობის დარგში. იგივე სისტემით ვმუშაობდი უმაღლეს თანამდებობებზე ცეკას სამდივნოსა და მინისტრთა საბჭოში. ვთხოვ ამხანაგებს გიორგი მალენკოვს, ვიაჩესლავ მოლოტოვს, კლიმენტი ვოროშილოვს, ნიკიტა ხრუშჩოვს, ლაზარ კაგანოვიჩს, ნიკოლოზ ბულგანინს, ანასტას მიქოიანს და სხვებს, მაპატიონ, თუ რამე დავუშავე მათ ამ ოცდაათწლიანი დაძაბული ერთობლივი მუშაობის პერიოდში. ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებას გისურვებთ ლენინ-სტალინის საქმისათვის შრომაში, ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და მონოლითურობისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.**

**გიორგი, თუ საჭიროდ ჩათვლი, გთხოვ ყურადღება მიაქციო ჩემს ოჯახს (მეუღლეს და მოხუცებულ დედას) და შვილს სერგოს, რომელთაც შენ ძალიან კარგად იცნობ.**

**ლავრენტი ბერია".**

ამ წერილის ტონი, როგორც ხედავთ, არც ცრემლითაა გაჯერებული და არც წუწუნით, ამასთან, ბერია თითქოს ემშვიდობება კიდეც კოლეგებს. მისი ფრაზები: **"გთხოვთ... მაპატიონ..."** – ეს არ გახლავთ სულით დაცემული და განადგურებული ადამიანის ხვეწნა. ეს უფრო ბიბლიური შეძახილია: **"მაპატიეთ, მე, რუსო ადამიანებო, და მეც გაპატიებთ თქვენ..."** სწორედ ბიბლიურია მისი უკანასკნელი სტრიქონები.

იური ეგნატეს ძე მუხინი, იმის საფუძველზე, რომ ბერია თავის წერილში მოიხსენიებს **"ცეკას"** და არა **"ცეკას პრეზიდიუმს"**, ეჭვის ქვეშ აყენებს იმის რეალობას, რომ ეს წერილები ბერიას მიერაა დაწერილი. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ მაშინ უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები კვეცდნენ ფრაზას და, ამიტომ, უეჭველია, რომ წერილები ნამდვილად ბერიას მიერაა დაწერილი.

ლავრენტის პასუხი არ მიუღია, ამიტომ, მან მეორე წერილი დაწერა, რომელშიც უკვე იგრძნობა მზარდი სტრესი, რადგან ბარათს იწყებს სიტყვებით: **"მთელი ამ დროის განმავლობაში..."** აი, აქ კი უნდა შევჩერდეთ!

დოკუმენტთა კრებულში **"ლავრენტი ბერია. 1953"** ტექსტი ასე გამოიყურება: **"ჩემთვის ამ მძიმე ოთხი დღის განმავლობაში მე საფუძვლიანად გავიაზრე ყოველივე, რაც მიკავშირდებოდა პირადად მე სკკპ ცეკას პლენუმის ჩატარებიდან დღემდე"**, და ა.შ.

მაგრამ ა. სუხომლინოვის წიგნში დაბეჭდილია სამივე წერილის ქსეროასლი, რომლის 29-ე გვერდზე ვკითხულობთ: **"ჩემთვის ამ მძიმე სამი დღის განმავლობაში მე საფუძვლიანად გავიაზრე ყოველივე..."** შემდეგ კი პირველ ვარიანტში იყო **"მთელი ჩემი ქმედებები, როგორც სამუშაოზე, ასევე ამხანაგების მიმართ..."**, შემდეგ ზემოდან აქვს წაწერილი **"პირადად შენ და ზოგიერთ ამხანაგს"** და **"ყველაფერი, რასაც ჩემის მხრიდან ჰქონდა ადგილი ბოლო თვეების განმავლობაში..."**, ასევე: **"...სკკპ ცეკას პლენუმის შემდეგ"**. არის სხვა განსხვავებებიც. კრებულში ვკითხულობთ: **"არ ჩაგვივარდეს სამუშაო... ამხანაგ სტალინის გარეშე..."**. ფაქსიმილეზე კი ჩანს, რომ ბერიამ დაწერა: **"არ ჩაგვივარდეს სამუშაო... სტალინის გარდაცვალების შემდეგ..."**. აშკარაა, რომ ან სუხომლინოვი ურევს, ან კრებულის შემდგენელები, რაც დასტურდება დღეების აღრევითაც.

მკითხველის ყურადღება საგანგებოდ მივაპყრე ამ ფაქტზე, რადგან ადრე ამაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. შემდეგ კი დაიწყო სკკპ ცეკას პლენუმი, რომლის თაობაზე ჩვენ შემდგომში ვისაუბრებთ.

გასაგებია, რომ იმ დროს არავის სცალოდა პატიმარ ბერიასათვის. ამიტომ, იგი ახალ წერილს წერს, რომელიც უკანასკნელია მისთვის:

**"სკკპ ცეკას პრეზიდიუმს.**

**ამხანაგებს მალენკოვს, ხრუშჩოვს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს, პერვუხინს, ბულგანინს და საბუროვს. ძვირფასო ამხანაგებო, ჩემთან ანგარიშის გასწორება სურთ გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე (პატიმრობის ხუთი დღის განმავლობაში არცერთხელ არ დავუკითხივართ) გევედრებით ყველას, რომ არ დაუშვათ ამგვარი რამ. გთხოვთ დაუყოვნებლივ ჩაერიოთ, თორემ შემდეგ გვიანი იქნება. საჭიროა ტელეფონით გააფრთხილოთ ყველანი.**

**ძვირფასო ამხანაგებო, გთხოვთ ჩემი საქმიანობის შესასწავლად დანიშნოთ ყველაზე კომპეტენტური და მკაცრი კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან ამხ. მოლოტოვი ან ამხ. ვოროშილოვი. ნუთუ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრი არ იმსახურებს, რომ მის საქმეებში საფუძვლიანად გაერკვნენ, წამომიყენონ ბრალდებები, მომთხოვონ ახსნა-განმარტებები, დაკითხონ მოწმეები. ეს ხომ ყველანაირად სასარგებლო იქნებოდა საქმისა და ცენტრალური კომიტეტისთვისაც. რატომ უნდა გაკეთდეს ის, რაც დღეს კეთდება? ჩასვეს ადამიანი სარდაფში და მორჩა – არავის არაფერს ეკითხებიან. ძვირფასო ამხანაგებო, ნუთუ ერთადერთი სწორი გზა ისაა, რომ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრი და თქვენი ამხანაგი დაიხვრიტოს გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე?**

**კიდევ ერთხელ გევედრებით, განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობდნენ ლენინთანაც და სტალინთანაც, რომელთაც გააჩნიათ დიდი გამოცდილება და სიბრძნე – მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს და მიქოიანს. ლენინისა და სტალინის ხსოვნის პატივსაცემად, გთხოვთ ჩაერიოთ ამ საქმეში და ყველანი დარწმუნდებით რომ ვარ ყოველნაირად სუფთა და უდანაშაულო..."**

წერილში რამდენჯერმე მეორდება სიტყვა **"გევედრებით"**, მაგრამ, ეს არის არა შიშნარევი პატიების თხოვნა, არამედ ობიექტურობისა და სამართლიანობისაკენ მოწოდება.

სამწუხაროდ, უკვე წინასწარ იყო ყველაფერი გაწერილი და ობიექტურობის იმედი ბერიას არ უნდა ჰქონოდა. მას ობიექტურად ბევრი მისი თანამედროვე ჟამთააღმწერელიც არ უყურებს. მაგალითად, ბორის სოკოლოვი, თავის არაერთმნიშვნელოვან წიგნში **"ბერია: ძლევამოსილი სახალხო კომისრის ბედი"**, საქებ სიტყვებს არ იშურებს ლავრენტი ბერიასადმი, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ბერია არ იყო ის ადამიანი, რომელიც **"შეიძლება სამაგალითო იყოს ჩვენთვის"...**

მაგრამ რატომაც არა? ბერია ზუსტად იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სამაგალითონი არიან საზოგადოებისათვის! მით უმეტეს, სოკოლოვი, საკუთარ წიგნში, ხშირად მოდის წინააღმდეგობაში საკუთარ მტკიცებულებებთან იმის თაობაზე, რომ ბერია არ არის სამაგალითო პიროვნება. ვფიქრობ, რომ ბორის ვადიმის ძე სოკოლოვს და ბევრ მის მსგავს ლიტერატორს დათვურ სამსახურს უწევს ინტელიგენტური ანტიკომუნიზმი, რომელიც ჭკვიან ადამიანებსაც კი გონებაჩლუნგებად წარმოგვიდგენს. დასაშვებია, რომ ბუნკერიდან გამოგზავნილი წერილებისადმი სოკოლოვმა სწორედ ამიტომ გამოავლინა საოცარი სულიერი სიბრმავე, როცა დაწერა: **"გამოამწყვდიეს რა მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში, ბერიამ წერილების ქარტეხილი დაატეხა თავს კოლეგებს, რომელშიც იხვეწებოდა შეწყალებას"**.

არა, ბერია შეწყალებას არ ითხოვდა – მის წერილებში ეს აშკარად არ გამოსჭვივის. მან ხომ იცოდა, რომ პარტიისა და სამშობლოს წინაშე უმწიკვლო და უდანაშაულო იყო. იგი მხოლოდ იმას ემუდარებოდა კოლეგებს, რომ საფუძვლიანად გარკვეულიყვნენ მის საქმეში, იგი ობიექტურობას მოითხოვდა. როცა იგი გონიერებისაკენ მოუწოდებდა ამხანაგებს, რომლებიც მუშაობდნენ ლენინთან და სტალინთან ერთად, ამგვარი კატეგორიის ადამიანი პრეზიდიუმში სულ ოთხი იყო და ბერია იქვე კონკრეტულად ჩამოთვლის მათ გვარებს. მხოლოდ მათ ახსოვდათ ლენინისა და სტალინის მუშაობის ცოცხალი სტილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბერიასთან დაკავშირებით, მათ ეს სტილი ვერ გამოავლინეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# წმინდა მამები მარხვასა და თავშეკავებაზე

**რამდენადაც ჩვენ მარხვა არ დავიცავით, განგდებული ვიქმენით სამოთხიდან. ვიმარხულოთ, რათა დავბრუნდეთ.**

### წმ. ბასილი დიდი

მარხვა სხეულისა საზრდელია სულისა.

### წმ. იოანე ოქროპირი

ერიდეთ მარხვა საჭმლისგან უბრალო თავშეკავებით განსაზღვროთ. ისინი, ვინც საჭმლისაგან იკავებენ თავს, მაგრამ შეუფერებლად ცხოვრობენ, ემსგავსებიან ეშმაკს, რომელიც მართალია არაფერს ჭამს, მაგრამ თავს არ ანებებს ცოდვას.

### წმ. ბასილი დიდი

აკრძალვანი, რომელშიც მარხვის დადგენილების შედეგად მოექცევა ჩვენი სხეული, არარაობაა იმ სულიერ სარგებლობასთან, რომელიც შეუძლია მოგვიტანოს მარხვამ.

### წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანინოვი)

სჯულში წერია, რომ ღმერთმა ისრაელის შვილებს უბრძანა, თავისი მონაგებიდან მეათედი შეეწირათ ღვთისათვის. მოციქულებმა კი განსაჯეს და გადაწყვიტეს, ყოველ ქრისტიანს თავისი ცხოვრების წლებიდან შეეწირა მეათედი – წმიდა დიდმარხვის სახით. ღმერთმა ეს წმინდა დღეები იმისთვის მოგვცა, რომ ვინც ეცდება და ყურადღებითა და სიმდაბლისმოყვარეობით იზრუნებს თავის სულზე და შეინანებს, მიეტეოს ყველა ცოდვა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ჩაუდენია.

### აბბა დოროთე

ეცადე ჭამა-სმის უფალი იყო და არა მონა.

### წმ. მაქსიმე აღმსარებელი

ვინც ხორცს არ ჭამს და სხვა საჭმელს გადამეტებულად მიიღებს, ღვინოს უზომოდ სვამს და ხორცს აპოხიერებს, უსარგებლოა მისი მარხვა.

### წმ. მაქსიმე აღმსარებელი

როგორც დასაბამი ნაყოფისა არის ყვავილი, ისე დასაბამი მოღვაწეობისა არის მარხვა.

### წმ. მაქსიმე აღმსარებელი

რომელიც სძლევს მუცელს, იგი მოაუძლურებს ვნებას, და რომელიც ჭამისაგან იძლევა, იგი აღაღორძინებს ბოროტ გულისთქმას.

### წმ. მაქსიმე აღმსარებელი

გარდამოცემა მარხვის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც თვით სამყარო. პირველი მცნება, რომელიც ადამიანს უფლისგან მიეცა, მარხვის შესახებ მცნება იყო.

### წმ. იოანე ოქროპირი

სულს ისე არაფერი აწრთობს, როგორც საჭმლისგან თავშეკავება.

### აბბა პიმენი

გადამეტებული საკვები სხეულს მეტისმეტად გადატვირთულ ხომალდს ამსგავსებს, რომელიც ტალღების მცირეოდენ მოძრაობაზეც კი ფსკერზე ეშვება.

### აბბა ლეონტი

დაიმორჩილე სტომაქი, სანამ მას არ დაუმორჩილებიხარ.




### წმ. იოანე კიბისაღმწერელი

საზრდელის მიღება შეზღუდე მაშინ, როცა კიდევ მცირედის მიღება გსურს.

### წმ. ბასანოფი დიდი და იოანე წინასწარმეტყველი

სხეულს იმდენი საკვები მიაწოდე, რამდენიც სჭირდება და დღეში სამჯერ რომ ჭამო, არ გავნებს.

### წმ. ბასანოფი დიდი და იოანე წინასწარმეტყველი

მშვინვიერ მარხვაზე ნუ წუხარ, ის არაფერს წარმოადგენს სულიერი მარხვის გარეშე.

### წმ. ბასანოფი დიდი და იოანე წინასწარმეტყველი

მარხვის შემსუბუქება საეკლესიო კანონების მიხედვით უძლურთათვის დასაშვებია, და ეს სამართლიანია, რადგან უძლურება თავისთავად გულისხმობს იმ მდგომარეობას (ანუ გრძნობების მოთოკვასა და ხორციელი ვნებების უმოქმედობას), რის მისაღწევადაც საჭიროა მარხვა. აქედან გამომდინარე, უძლურებაში მყოფისთვის მარხვით ხორცის დაოკება კი არ არის საჭირო, არამედ უძლური სხეულის კვებითა და მკურნალობით გაძლიერება, სულის მსახურებისათვის სრულიად უვარგისი რომ არ გახდეს.

### მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი

არცერთ ჭამისმოყვარულ და მძიმე ცხოველს არ შეუძლია ისეთი სწრაფი სირბილი, როგორც მცირედმჭამელ ირემს: ამის მსგავსად გემოთმოყვარე შეუძლებელია ისეთი აქტიური და ღვაწლისმოყვარე იყოს, როგორც მმარხველი.

რაც უფრო მეტია შეშა, მით უფრო ძლიერია ცეცხლი. რაც უფრო მეტია საკვები, მით უფრო მძვინვარეა ვნება.

### აბბა ლეონტი

გაიხსენე, რომ სამოთხეში ადამი შენზე ნაკლები სრულყოფილი არ ყოფილა. წარმოიდგინა, რომ მარხვის გარეშეც შეიძლებოდა ცხოვრება და რა გამოვიდა? ლოთი შუა სოდომში ცხოვრობდა და სათნოებებით იყო განთქმული. სოდომსგარეთ კი მარხვა შეწყვიტა და რა მოხდა.

### ხერსონის მთავარეპისკოპოსი ინოკენტი

მარხვა და ლოცვა განუყრელნი არიან.

### წმ. ნილოს სინელი

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს... ეს იმისთანა განკითხვაა, სადაც თვითონ ბრალეული თავისთავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს.

### წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

წმ. იოანე კიბიაღმწერელი: „მარხვა ბუნებაზე ძალდატანებაა, უარყოფა ყველაფრისა, რაც გემოს ატკბობს; ის სხეულის მხურვალებას აცხრობს, ცბიერ ზრახვებს ამარცხებს, ბილწი სიზმრებისგან გვიხსნის, ის ლოცვის სიწმინდეა, სულის სინათლე, გონების დაცვა, გულის უგრძნობელობის შემუსვრა, ლმობიერების კარი, სიმდაბლის სულთქმა, სიხარულის მომნიჭებელი შემუსვრილება, მრავალსიტყვაობისაგან კრძალვა, უვნებლობის მიზეზი, მორჩილების დარაჯი, აღმამსუბუქებელი ძილისა, სიჯანსაღე სხეულისა, ცოდვათაგან დახსნა, ბჭე სამოთხისა და ზეციური ნეტარება“ (კიბე, სიტყვა 14, სტ. 13)

### ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „გონების მომნიჭებელი“

ხატი, რომელიც არაჩვეულებრივი სახელით - წარმმატებლის, ანუ გონების მომნიჭებელისა და ასევე ფილოფეტის (სიმართლისმოყვარე) სახელითაა ცნობილი, მეტად იშვიათად გვხვდება.

პირველი გამოსახულება ქ. რიბინსკში, მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარშია მოთავსებული. ხატმწერები დღემდე ასრულებენ მის ასლებს. პირველი ხატის შექმნა დაკავშირებულია მართლმადიდებლობის მტკიცე რწმენასთან, რომ ღვთისმშობელი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა და ძისა თვისისა, მაშინ როდესაც იგი ადამიანებს მიჰმადლებს სულიერ და ხორციელ ნიჭებს; მათ შორის გონებისა და გულის ღვთაებრივი ჭეშმარიტების სხივით განათლება უპირველეს ადგილს იკავებს. ამ აზრს სრულიად გამოხატავს ხატი „წმ. სოფია - სიბრძნე ღვთისა“, მაშინ როდესაც „გონების მომნიჭებელი“ მიგვანიშნებს, რომ ვილოცოთ გონებრივი განვითარებისთვის, ვინც სრულიად მოკლებულია გონს, ან ნაკლებადგანვითარებულია. მშობლები, რომლებიც ამჩნევენ, რომ მათი პირმშო რელიგიის საფუძვლების შემეცნებისა და განათლების მიღებისას უგუნურებას ამჟღავნებს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელსა და ყრმა იესოს, როგორც სიბრძნისა და გონიერების წყაროს, მიმართავენ და ბავშვის გონებრივი წარმატებისთვის ლოცულობენ. ხატის გამოსახულება სასურველ მიზანს ზუსტად შეესაბამება. მისი განსაკუთრებულობა შემდეგში მდგომარეობს: ყოვლადწმიდა ღვთისმშობელსა და იესო ქრისტეს თავს სამეფო გვირგვინები ადგათ. ამასთან უფალი იესო მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში სკიპტრა უპყრია. ღვთისმშობელი და ყრმა ღმერთი თითქოს ერთ სამოსში არიან გახვეულნი, მათი თავები ზოლიან მოკვეთილ ელიფსების ზემოთაა გამოსახული და მათ შორის ადგილი ძვირფასი ქვებით, მარგალიტებითა და ნაქარგობითაა შემკული. სარწმუნოა, რომ მთელი ეს მორთულობა მოგვიანებით გაჩნდა, ხოლო თავდაპირველად ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში მთელი სიმაღლით იყო გამოსახული. ორივე მხრიდან ოთხ ღრუბელზე მუხლმოყრილ ანგელოსებს ხელში ანთებული სანთლები უპყრიათ, ღვთისმშობლის ფეხებთან ფრთაგაშლილი ქერუბიმი მოჩანს.

**თარგმნა თინათინ გოგოჩაშვილმა**

**„ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება**
**და მისი სასწაულთმოქმედი ხატების ისტორია“**
**თბილისი, 2001 წ.**

### ლოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისადმი „გონების მომნიჭებელი“ ევედრებიან გონებასუსტი ბავშვებისათვის, ასევე სწავლაში წარმატების მისაღწევად

ამ ხატის წინაშე იმ ბავშვების მშობლები ლოცულობენ, რომელთა შვილები სწავლის ნიჭითა არ არიან დაჯილდოებულნი, ან სარწმუნოებისა და საეკლესიო სწავლების მიმართ ამჟღავნებენ უყურადღებობას. ევედრებიან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელსა და ყრმა იესოს, როგორც უმაღლესი სიბრძნის წყაროს.

### ლოცვა

ყოვლადწმიდაო ქალწულო, სძალო ღმრთისა მამისაო და დედაო საღმრთოჲსა ძისა მისისა ქრისტე იესოჲსა! შენ ხარ დედუფალო ანგელოსთაჲ და კაცთა ცხოვნებაჲ, მამხილებელი ცოდუილთა და დამსჯელი განვრდომილთათვის ღმრთისაგან. შეგვიწყალენ ჩუენცა მძიმედ შემცოდენი და არ აღმასრულებელნი ღმრთისა მცნებისა, დამარღუეველი ნათლობისა აღთქუმათანი და მონოზონობისა აღთქუმისანი და მრავალთა სხუათა, რომელთა აღუთქუ აღსრულებად. რაჟამს სული წმიდაჲ განეშორა მეფესა საულს, მეყსეულად შიში და მოწყინებაჲ მოიწია მას ზედა და წყუდიადი სასოწარკუეთილებისა და სულისა განუხარებელი მდგომარეობაჲ სწყვლიდა



მას. ხოლო აწ ჩუენცა ცოდუათა ჩუენთა გამო მოვაკლდით მადლსა სულისა წმიდისასა. გონებაჲ ამაო იქმნა ამაოჲთა ზრახუითა, ღმრთისა დავიწყებაჲ დააბნელებს სულთა ჩუენთა და აწ შეაიწრებს გულთა ჩუენთა მწუხარებაჲ მრავალგუარი, ნაღუელი, სნეულებაჲ, სიძულვილი, სიბოროტეჲ, აღძურაჲ, შური, სიხარული ბოროტი და სხუანიცა ცოდუანი. და არ მქონებელი სიხარულისა და ნუგეშინისცემისანი, მოგიწოდოთ შენ, დედაო ღმრთისა ჩუენისა ქრისტე იესოჲსაო. ევედრე ძესა შენსა, მოგვიტეოს ყოველნი შეცოდებანი ჩუენდა სული ნუგეშინისმცემელად და განსანათლებლად მათდა საგალობელად შენდა სამადლობელისა გალობისა: გიხაროდენ ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, საცხოვნებელად ჩუენდა მომნიჭებელო გონებისაო.

## 15 აპრილამდე დიდი მარხვაა

დიდი მარხვა 15 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე დასრულდება.

დიდი მარხვა აღდგომამდე 7 კვირით ადრე იწყება და განსაკუთრებით მძიმეა. მარხვის დროს არ შეიძლება ხორცისა და რძის ნაწარმის მიღება, ხოლო თევზით ხსნილი მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულებზეა. გარდა ამისა, მარხვის პირველ კვირაში მორწმუნეები მხოლოდ უზეთო საკვებს მიიღებენ.

**„ეს არის დღეები, რომელიც ამზადებს ქრისტიანებს ბრწყინვალე აღდგომისთვის. მარხვაში ადამიანს ევალება, გააძლიეროს ლოცვა – ილოცოს თავისი მოყვასისა და სამშობლოსათვის. ღმერთი ელოდება ჩვენგან სინანულს, ცოდვათა განცდას და კეთილი საქმეების კეთებას. პირველი დღეები იწყება მძიმე მარხვით – ჩვენ უზეთო საკვებს მივიღებთ. საკვებზე შეზღუდვის დაწესებით ჩვენს სულსა და სხეულს ვასპეტაკებთ. ვუსურვებ ჩვენს საზოგადოებას, რომ უფრო მეტი ლოცვა აჩვენოს უფალს იმისთვის, რათა უფალმა შეისმინოს ჩვენი ვედრება, საქართველო გაძლიერდეს და გამთლიანდეს. თუ არ იქნება კეთილი და ზნეობრივი ცხოვრება, უფრო შორს იქნება მთავარი მიზანი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს გაერთიანება ჰქვია“**, – ბრძანა ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ ჟურნალისტებთან საუბრისას.



# მეგრული საკითხი

***გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონების ვახტანგ გვარმიას და პროფესორ გიორგი ციციშვილის ამავე სახელწოდების წიგნიდან***

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1939 წლის 1 მარტს გახდა შესაძლებელი **"ყაზაყიში გაზეთის"** გამოცემა. მის პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ზუგდიდის ახლა უკვე რაიკომის მდივანი ი. ჟვანია. დაიწყეს აგრეთვე **"ჭითა ჩხორიას"** ცხოვრებაში გამოყენების საკითხის მოგვარება. რაიონებში და სოფლებში, სადაც მოსახლეობა ვერ ფლობდა ქართულ სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენას, შემოიღეს მეგრული ენით ურთიერთობა. ცხადია, რომ ყოველივე ეს ურთიერთმოწინააღმდეგეთა პარტოკრატიული პამპულაობის და პოლიტიკანური თამაშის წინააღმდეგობების დაძლევასთან იყო დაკავშირებული. ამ წინააღმდეგობათა დაძლევის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ი. ჟვანიამ. მან შეძლო სამეგრელოს აუცილებლობაზე დაფუძნებული და უსამართლოდ დამუხრუჭებული ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის 1925 წლის 24 აგვისტოს დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცეკას 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების დაწყება. ამიტომ იყო, რომ ამ მონაპოვარს უკავშირებდნენ ი. ჟვანიას პიროვნებას. ეს კი არ იყო მართალი. როგორც ცნობილია, 1989 წელს საბჭოთა საქართველოში აზვირთებული სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებისა და ეროვნულ ძალთა შემდგომი შეკავშირების მიზნით, ამ მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ **"ლიტერატურულ საქართველოში"** გამოაქვეყნა სპეციალური წერილი (**"სამეგრელოს საკითხი"**. ისაკი ჟვანია და სამეგრელოს ავტონომია. 3 ნოემბერი). ეროვნული ერთიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ავტორმა დაგმო, მისი აზრით, იმ დროს არსებული **"მეგრული პარტიკულარიზმის, ნაციონალიზმის და სეპარატიზმის"** რეციდივი. მან უკიდურესად უარყოფითად შეაფასა ი. ჟვანიას წარსული საქმიანობა და კერძოდ, **"ყაზაყიში გაზეთი"**. ზვიად გამსახურდია მეგრული გაზეთის შესახებ წერს, თითქოს **"ი. ჟვანია ლეგენდებს ავრცელებს ამ გაზეთის გავრცელების მასშტაბებზე, მაგრამ თავად აღიარებს, რომ ეს გაზეთი არავის უნდოდა ჩხოროწყუსა და სენაკში (აბაშაზე საერთოდ დუმს), ვინაიდან იქ ამბობდნენ ქართული ყველამ ვიცით და მეგრული გაზეთი არ გვჭირდებაო"**. იგი **"ყაზაყიში გაზეთის"** მიმართ სამეგრელოს გლეხობის ინტერესებს ისე გვისახავს, თითქოს მკითხველთა რაოდენობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (ანუ ხვედრითი წილი საერთოდ მთელ მოსახლეობაში) მისი უსარგებლობით ყოფილიყოს გამოწვეული.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. შენიშვნა ბატონი ზვიადის ნააზრევისადმი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მისი დიდი ეროვნული თავგანწირულობისა და ღვაწლის გამო, ჩვენთვის უაღრესად საჩოთიროა. მაგრამ ამის და საერთოდ კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე საერთოდ შეუძლებელია ისტორიის სიმართლის დადგენა. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონი ზვიადის მიერ არასწორად ჩამოყალიბებულმა აზრებმა შემდგომ კონკრეტულ სიტუაციაში ასაზრდოვეს და სტიმული მისცეს მომდევნო პუბლიცისტების მიერ **"ყაზაყიში გაზეთის"** არასწორი შეფასებების გამოქვეყნებას. მეგრული **"ყაზაყიში გაზეთის"** და **"ჭითა ჩხორიას"** შემფასებელ ავტორთა ნააზრევის უმართებულობაზე ჩვენ აზრს მკითხველი ქვემოთ დამატებით იხილავს. მაგრამ აქ საჭიროა მოვუხმოთ წყაროს, რომელიც ადასტურებს, რომ მცდარია აზრი, თითქოს სენაკში **"ყაზაყიში გაზეთი"** არავის უნდოდა. ი. ჟვანია საქართველოს კომპარტიის ცეკაში გაგზავნილ 1930 წლის 24 აპრილის ოფიციალურ წერილში აღნიშნავს: **"სენაკში ხელმოწერების სახით ვრცელდება 2.600 ცალი, გვთხოვენ გავაგზავნოთ 5 ათასი, მაგრამ არ შეგვიძლია უქაღალდობის გამო"** (საქართველოს პრეზიდენტის არქივი).

1923 წელს ზუგდიდის მაზრაში ვრცელდებოდა 100 გაზეთი – **"კომუნისტი"**, **"ზარია ვოსტოკა"** და **"რაბოჩაია პრავდა"** (საქართველოს პრეზიდენტის არქივი), რომელსაც კითხულობდნენ მხოლოდ ქართულის და რუსულის მცოდნე ინტელიგენტები, მათ შორის ავტონომისტები და სეპარატისტები.

ერთ-ერთი შემდგომი ივტორი, მწერალი მიხეილ კეკელიძე 1993 წელს, სტატიაში **"შხამი"** წერდა: **"...30-იან წლებში კომუნისტმა ისაკი ჟვანიამ, რომელსაც საკმაოდ დიდი თანმდებობა ეკავა, ძველი გაიხსენა, მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაიწყო..."** მაშასადამე, ქართველმა მწერალმა და ჭეშმარიტმა პატრიოტმა მ. კეკელიძემ მეგრული გაზეთის გამოცემა ისე გაიზიარა, თითქოს ეს იყო **"საქართველოს მტრების"** ძუძუნაწოვი და მოღალატე აშორდიას გზის განგრძობა, აშორდიას **"დაგესლილი ტვინით"** მოქმედება. სინამდვილეში ი. ჟვანიას არ შეეძლო მეგრული გაზეთის გამოცემაში გადამწყვეტი როლის შესრულება. დიახ, არ შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ საქმეში მხარს აქტიურად უჭერდა ზუგდიდის პარტიული ხელმძღვანელობა, უპარტიო ინტელიგენცია და გლეხობის ფართო წარმომადგენლობა. სინამდვილეში, ეს ის დრო არ იყო, რომ არამცთუ ი. ჟვანიას, არამედ თუნდაც ფართო საზოგადოებრივ აზრს არ ძალუძდა, მეგრული გაზეთის გამოცემის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გადაეწყვიტა. როგორც ადრე ვნახეთ მეგრული გაზეთის აუცილებლობასა და საჭიროებას ასაზრდოებდა არა მარტო ი. ჟვანიას და მისი მხარდამჭერი ჯგუფის ჯიუტი თავგამოდება, არამედ ის რეალური აუცილებლობა, რომელსაც მოითხოვდა საბჭოთა საზოგადოებრივი წარმოება, და განსაკუთრებით მწვავედ აყენებდა იმ დროისათვის გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში ქართული ენის არმცოდნე მრავალრიცხოვანი მეგრელი უშუალო მწარმოებლის აქტიური ჩაბმის მოთხოვნილება.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს მოტივი უნდა გაეთვალისწინებინა სტალინს, როცა იგი ი. ჟვანიას დასტურს აძლევდა მთელ რიგ სხვა საკითხებზე და, კერძოდ, მეგრული გლეხური ლიტერატურის გამოცემაზე. მართალია, მეგრული გაზეთისა და გლეხური ლიტერატურის გამოცემას მხარს ჯერ კიდევ 1925 წლიდან პარტიული ცენტრის ბევრი წარმომადგენელი უჭერდა, მაგრამ მოწინააღმდეგეც იმდენი აღმოაჩნდა ამ საქმეს, რომ იგი მთელი ხუთი წლის მანძილზე გაჯანჯლდა. ეჭვსგარეშეა, რომ საქმე კიდევ გაჯანჯლდებოდა და, იქნებ არც არასდროს მოგვარებულიყო, რომ არა სტალინის სანქცია და სათანადო მითითება. მეგრული გაზეთის გამოცემა ი. ჟვანიაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იგი 1925 წელს ზუგდიდის სამაზრო ცენტრის დადგენილების საფუძველზე გამოვიდოდა. ასე რომ, მეგრული გაზეთის გამოცემის საქმეში ი. ჟვანიასადმი, განსაკუთრებული როლისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მიწერა ემყარება 20-30-იანი წლების პრობლემებისა და მოვლენების ავტორიტარული მართვის გაუთვალისწინებლობას და **"ყაზაყიში გაზეთის"** გამოცემის სუბიექტივისტურ გაგებას. მაშასადამე, ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა თ. აშორდიას აზროვნებას. ჩვენი აზრის მოწინააღმდეგეებს თუ ლოგიკურობა უნდათ, მეგრული გაზეთის გამოცემა და თ. აშორდიას და სხვათა მემკვიდრეობის გაგრძელება უნდა დაუკავშირონ არა ი. ჟვანიას, არამედ სტალინს, საქართველოს კომპარტიის ცეკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის იმდროინდელ ხელმძღვანელობას, რომელმაც გაზეთის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამასთანავე, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მეგრული გაზეთი მართლა ეწინააღმდეგებოდა შიდა და გარე სამეგრელოს ქართულის არმცოდნე მოსახლეობის ინტერესებს ან რომ მეგრული გაზეთის მომხმარებელი არ არსებობდა. ამის მტკიცება კი, როგორც სათანადო წყაროები მოწმობენ, ძალზე ძნელი კი არა, არამედ შეუძლებელია.

# SOS „საქინფორმის" ჟურნალისტს თავს დაესხნენ SOS

## „თავისუფალი საქართველო" ჟურნალისტ არნო ხიდირბეგიშვილზე თავდასხმის დაუყოვნებლივ გამოძიებას მოითხოვს

როგორც ცნობილი გახდა, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** მთავარ რედაქტორ არნო ხიდირბეგიშვილზე საქინფორმის რედაქციაში, საპატრულო პოლიციისა და საქინფორმის თანამშრომლების თანდასწრებით, თავდასხმა განხორციელდა, რაც მისი მისამართით სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ძალადობის მუქარაში გამოიხატა, რასაც თავდამსხმელი სისრულეში მოიყვანდა, რომ არა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.

როგორც პატრულის თანამშრომლებმა აუხსნეს არნო ხიდირბეგიშვილს, ეს მისი ჟურნალისტური მოღვაწეობით იყო გამოწვეული. საქინფორმის მთავარი რედაქტორის – არნო ხიდირბეგიშვილის, განცხადებით, მას შემდეგ, რაც მან საჯაროდ მიულოცა ვლადიმერ პუტინს არჩევნებში გამარჯვება, მის მობილურ ტელეფონზე, საქინფორმის საიტსა და სხვადასხვა სოციალურ ქსელში გახშირდა ბინძური, მუქარის შემცველი ზარები, გზავნილები და კომენტარები.

პარტია **„თავისუფალი საქართველო"** გმობს მომხდარს. მივიჩნევთ, რომ თავდასხმის ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოძიებული პროკურატურის მიერ, რომელსაც ბატონმა არნო ხიდირბეგიშვილმა განცხადებით მიმართა და დამნაშავე რაც შეიძლება სწრაფად უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე.

პარტია მოუწოდებს ქართველ ჟურნალისტებს, დაგმონ და გააპროტესტონ მათ კოლეგაზე თავდასხმის ფაქტი. აგრეთვე, მოვუწოდებთ სახალხო დამცველს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს, დაინტერესდნენ მედიის წარმომადგენელზე თავდასხმის ფაქტით.

**თენგიზ ომანიძე,**
**პარტიის პოლიტიკური მდივანი**

## ჟურნალისტებზე თავდასხმა – ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის განცხადება

ჩემს მეგობარსა და კოლეგაზე, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის"** დირექტორ არნო ხიდირბეგიშვილზე თავდასხმა მოხდა მის სამუშაო კაბინეტში რაღაც გაურკვეველი არსებების მხრიდან – საპატრულო პოლიციის თანდასწრებით.

საქმე შემდეგშია: სააგენტო **„საქინფორმის"** კოლექტივმა რუსეთის არჩეულ პრეზიდენტს გამარჯვება მიულოცა, თანაც ამ მილოცვის არგუმენტირება მოახდინა. გასაგებია, რომ საქართველოს მმართველი ზედაფენისათვის, რომელმაც ხელისუფლება **„ვარდების რევოლუციის"** გზით მიიტაცა, პუტინი მტერია. მაგრამ კიდევ არსებობს ქართველი ხალხი, რომლის აზრი შეიძლება, რომ არ ემთხვეოდეს **„ზედაფენის"** აზრს. ხოლო თავად ხალხი, როგორც ცნობილია შედგება ინდივიდუუმებისგან, პიროვნებებისგან, რომელთა შორისაც ასევე შეიძლება, არსებობდეს სხვაობები შეფასებებში. ასე და ამრიგად, **„საქინფორმში"** მომუშავე პიროვნებებმა საქართველოსთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნიეს, გულითადად მიელოცათ რუსეთის კვლავ არჩეული პრეზიდენტ პუტინისათვის, რომელსაც საქართველოსთვის ომი არ გამოუცხადებია, ყოველთვის პატივისცემით და თბილად იხსენიებს ქართველ ხალხს და არ ამბობს უარს მომავალ პოსტსააკაიდურ ხელისუფლებასთან პოლიტიკური დიალოგის შესაძლებლობაზე.

ამ მილოცვის შემდეგ **„საქინფორმის"** დირექტორის ტელეფონზე წამოვიდა ლანძღვითა და მუქარებით აღსავსე ზარების და შეტყობინებების ნიაღვარი, პირადად მისი და მისი ოჯახის წევრების მისამართით. არნო ხიდირბეგიშვილმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც დააფიქსირა ეს სისხლის სამართლის დარღვევის ფაქტი და შესაბამისი აქტის შედგენის პროცესში იყო, როდესაც დირექტორის კაბინეტში ვიღაც გაურკვეველი სააკაიდური ეროვნების პირი შემოვარდა, ყვირილითა და მუქარებით, რომელიც არ ელოდა პოლიციის იქ ყოფნას. ოფისის შესასვლელში მას სხვა ასეთივე არსებები ელოდნენ. პოლიციელების მიერ საქმეში გარკვევისა და გადარეკვების შემდეგ, ეს პირი გაშვებულ იქნა, პოლიცია კი მისი მისამართით სიტყვიერი **„გაფრთხილებით"** შემოიფარგლა.

შეგახსენებთ, რომ ადამიანის სიცოცხლესა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მუქარა, მით უმეტეს ჟურნალისტის მიმართ, სისხლის სამართლით ისჯება. აშკარაა დანაშაულის ფაქტი – განხორციელებული სატელეფონო მუქარები და ჟურნალისტურ სააგენტოზე თავდასხმა, რის მოწმეც გახდა თავად პოლიცია. საქართველოში ხალხს გაცილებით უფრო ნაკლები დარღვევებისთვის სვამენ ციხეში, მაგრამ ეს დანაშაული დაუსჯელი დარჩა. იყო შემთხვევა, როდესაც **„საზოგადოებრივი არხის"** დირექტორმა ელექტრონული ფოსტით მიიღო მუქარის წერილი. პოლიციამ წერილის გამგზავნი იპოვნა და სასამართლომ განაჩენიც გამოუტანა ახალგაზრდა ადამიანს, რომელიც განრისხებული იყო კანონით საზოგადოების კუთვნილი ტელევიზიის ტენდენციურობითა და უპრინციპობით. გამოდის, რომ ქართულ რეალობაში **„იმეილი"** უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ჟურნალისტური ოფისზე თავდასხმისა და ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი რამ უშუალოდ **„კომპეტენტური სტრუქტურების"** ინიციატივით ხდება.

ევრაზიის ინსტიტუტის სახელით საქართველოს ყველა ჟურნალისტს მოვუწოდებ, სოლიდარობა გამოუცხადოს სააგენტო **„საქინფორმს"** იმისგან დამოუკიდებლად, ეთანხმებიან ისინი მის სარედაქციო პოლიტიკას თუ არა. მკაფიო პოზიცია უნდა გამოხატონ აგრეთვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა. ეს ცალსახაა.

მე არ მივმართავ არც საქართველოს ხელისუფლებას, ანუ დამნაშავეებს, არც **„დიპლომატიურ კორპუსს"**. დროა, თავად ვისწავლოთ საკუთარი უფლებების და ჭეშმარიტი სიტყვის თავისუფლების დაცვა.

**გულბაათ რცხილაძე**



# უნდა ითქვას სიმართლე

როცა უპასუხოდ რჩება მაღალტიტულოვანი არმენი მეცნიერის ცრუ ცინიკური განცხადება, არმენ ხალხსაც და ქართველ ხალხსაც, მცირე გამონაკლისის გარდა, ეს სიცრუე ჭეშმარიტება ჰგონია. ამიტომ არმენები ფსიქოლოგიურ უპირატესობას იძენენ, თავიანთი ერის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა უძლიერდებათ და უმტკიცდებათ, ამბიციები უჩნდებათ და, ბუნებრივია, პრეტენზიებს აცხადებენ. ხოლო, როცა ქართული ოფიციალური მეცნიერება ამაზე არავითარ ინფორმაციას არ იძლევა, ქართველთა უმრავლესობას ქართველი ხალხი, მართლაც, უწარსულო და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულ მდაბიო ხალხად წარმოუდგება, რის გამოც სულიერად ეცემა, საღი აზროვნება კი არა, ველური ცხოველივით მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი უვითარდება, გათითოკაცებისაკენ მიდრეკილება უჩნდება, ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა უქრება, ავადდება არასრულყოფილი ერის სინდრომით და, ჩინოვნიკებიდან დაწყებული უბრალო მოქალაქით დამთავრებული, ყველა უმოწყალოდ ჰყიდის ყველაფერს, ვისაც რა შეუძლია, და ასე ნელნელა გვეცლება ხელიდან ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო.

მე მაქვს ჩამოყალიბებული **საერთო ქართულისა** და **ე.წ. მეგრულის** სტატუსი, რომელიც წმინდა ჭეშმარიტებაზეა დამყარებული და არავის ღირსებას არ ლახავს, პირიქით, ეს სტატუსი წმინდად დაიცავს ჩვენი ერის ღირსებას და დღემდე შემონახული საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებებს.

მოგეხსენებათ, აკად, ნიკო მარის სიტყვები: **„ქართული ენა და ქართული დამწერლობა იწოდება ქართულად მისი ისტორიული აღორძინების ერთადერთი მომენტის მიხედვით, ხოლო ნამდვილი და არსებით ახლა იგი არათუ მარტო ქართლურია, არამედ ქართლურ-მეგრულ-სვანური გახლავთ“** (ნიკო მარრი, **„მეგრული ენა“,– „ცნობის ფურცელი“,** 1902, 16-17 მარტი).

დღეისათვის, მაქვს რა მეტი ინფორმაცია, კერძოდ, გაირკვა რა, ეროვნული წარმოშობის ლექსიკური ერთეულების ძირი იბერიულია და მათი ჩასახვის მომენტში კუთვნილ მნიშვნელობებს და შემდგომი განვითარების სურათს ხსნის მხოლოდ და მხოლოდ იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა, ქართულ-მეგრული ენების სტატუსი ასე ჩამოვაყალიბე:

**ჩვენი ერის თანამედროვე სალიტერატურო ენა არის პროტოქართული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენის დიფერენცირების შედეგად ჩამოყალიბებული სვანურის, ქართლურის და საკუთრივ პროტოქართულის ისევ კონსოლიდაციით მიღებული ენა, რომელიც მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთა მიერ აღიარებულია, როგორც საოცრად გრამატიზირებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გამარტივებული ენა და, ამდენად, წარმოადგენს ახალ კლასიკურ ადამურ-იაფეტურ-იბერიულ ენას, ხოლო ე.წ. მეგრული ენა არის, იგივე, ოღონდ ძველი ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, რომელიც ჰომოსაპიენსის ასაკისაა (დაახლოებით 70 ათასი წლისა), მომდინარეობს კაცობრიობის დასაბამიდან და ეს ორი, თითქოსდა, სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.**

მეცნიერებას დღემდე ვერ გაურკვევია ეთნიკური სახელწოდება ქართის წარმოვალობა. ჩვენ კი, ვფიქრობთ, სიღრმისეულად გვაქვს შესწავლილი რის საფუძველზე და როდის შეერქვა მას ეს არასასურველი სახელი, რამეთუ იგი წმინდა იბერიული (ე.წ. მეგრული) ტერმინია და საკმაოდ არასასიამოვნო მოვლენებისა და პროცესის გამომხატველია. ამიტომ ხომ არ აჯობებდა ჩვენი სამშობლოსათვის, მშობლიური ერისა და ენისათვის ლეგენდარულ წინაპართა ისტორიული სახელები – იბერია, იბერები და იბერიული ენა აღგვედგინა. ეს ხომ იბერიულ – კვკასიური მოდგმის ჩრდილო კავკასიელებთანაც გაგვიადვილებდა ძველი ნათესაური ურთიერთობებისა და მტკიცე მეგობრული კავშირის აღდგენას.

ჩემი ხისტი პირდაპირობა, შეიძლება, მეტად მტკივნეული გამოდგეს ბევრისთვის, მაგრამ, მაინც სიმართლის თქმა და აღიარება სჯობია.

ყველა დროის ნათელი გონებების ნააზრევებიდან გამომდინარე, ყველა ჩვენი უბედურებების სხვებზე გადაბრალება არც ობიექტური იქნება და არც გონივრული. ჩვენი უბედურების ძირითადი მიზეზი ჩვენივე აზროვნების დაბალი დონეა. გათითოკაცება, მარტო საკუთარ თავზე და ოჯახზე ზრუნვა ველურთა წესია. ჩვენი შვილები და ოჯახი, თუნდაც, ოქრო-ვერცხლში ცურავდეს და რძეში ბანაობდეს, გათითოკაცებულ და საზოგადოებას მოშორებული, ადამიანები ვერ იქნებიან, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისას ისინი ვერ იქნებიან ბედნიერნი, უბედურთა გარემოცვაში.

დავფიქრდეთ, როგორ ქვეყანას ვუტოვებთ მომავალ თაობებს!

რაკი **„ღმერთმა შექმნა კაცი ხატად თვისად“**, ვალდებულნი ვართ ღმერთი ვეძებოთ ჩვენში და არა ცაში, გავზარდოთ და გავაძლიეროთ ჩვენში ღვთიური თვისებები! ნეგატიურ შედეგებთან ბრძოლას პოზიტიური შედეგები არასდროს მოჰყოლია, ვებრძოლოთ ნეგატიური შედეგების გამომწვევ მიზეზებს! დავეხმაროთ ერთმანეთს ამქვეყნიური დანიშნულების აღსრულებაში!

ავმაღლდეთ პირად ამბიციებზე, დავგმოთ ერთის ჰეგემონობა მეორეზე, გავიხადოთ ერთმანეთი და საერთოდ ადამიანი მიზნად და არა საშუალებად!

გვახსოვდეს მუდამ, ღმერთთან მისასვლელად ყველაზე ჭეშმარიტი, ყველაზე რაციოანალური და უმოკლესი გზა სამშობლოსათვის ღვაწლის გაღება, მისთვის უანგარო მსახურებაა!

## ვინ ვართ ქართ-იბერები და რას გვეუბნება იბერიულ-ქართული ენა?

ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში რამოდენიმეჯერ დავაფიქსირე ჩემი შეხედულება, თანამედროვე საერთო სალიტერატურო ქართული ენისა და მისი წინარე ენის რაობის შესახებ, დამყარებული ეროვნული წარმოშობის ლექსიკის სინქრონულ-დიაქრონული შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, რომ **ჩვენი საერთო სალიტერატურო ქართული ენა არის ძირისეული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენიდან გამოყოფილი – სვანურისა და ქართლურის ამ ძირისეულ ენასთან ისევ კონსოლიდაციის შედეგად მიღებული ენა, მაგრამ უფრო დახვეწილი და გამარტივებული, სრულად განხმოვანებული და საოცრად გრამატიზირებული, ანუ ახალი კლასიკური ადამურ-იაფეტურ – იბერიული ენა, ხოლო ე.წ. მეგრული არის იგივე ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, ოღონდ კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, კლასიკურობამდე განვითარებული, შეუდარებელი ლექსიკური სიმდიდრისა და კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი ენა და, თითქოსდა, ეს ორი სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.**

ეთნიკური სახელწოდებანი – **ქართი** და **მეგრელი,** როგორც ადრე აღვნიშნავდი, არის გარეშე აგრესიული ძალებისა და იბერიის მმართველთა სულიერი დაცემის შედეგად დაპირისპირებულ ქარდთა და იბერთა მიერ ერთმანეთისთვის სპეციალურად დამახინჯებული სახელდებანი: იბერი —- იგერი —-ეგერი —-ეგრი —-ეგრისი — -ეგრ(ის)ელი – ეგრელი —-მეგრელი; ქარდი (აეზარდე) – ქართი (შეუერთდი) (დ-თ-ტ ჰარმონიული ბგერების მიერ სიტყვაში ურთიერთ შეცვლა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა). ეს უკანასკნელი ე.წ. მეგრულში იხმარება ცხოველებთან მიმართებაში და ეთნიკურ სახელწოდებად შეუფერებელია, მაგრამ ამის გაცხადებას დღემდე ვერავინ ვერ ბედავდა, ამიტომ ქართის მნიშვნელობა და ეტიმოლოგია დღემდე დაუდგენელია. (იხ. ჩვენი **ეთნიკური სახელწოდებების ქართის, მეგრელის და იბერის ეტიმოლოგიის შესახებ და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პრობლემა**). ვიმედოვნებ, ეროვნული ისტორიული ეთნიკური სახელწოდების აღდგენისათვის იზრუნებს დღეს ქართველად წოდებული ერი.

გამყრელიძე-ივანოვის გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ იაფეტიდების ღვიძლმა ძმებმა – პირველ სემიტებმა ებრაელ ერად ჩამოყალიბებამდე 13-ჯერ იცვალეს თავიანთი ენობრივი სტრუქტურა, ხოლო იაფეტის მოდგმამ, დღეს ქართველებად წოდებულმა, მხოლოდ ორჯერ და ისიც ნაწილობრივ (იხ. მათი წინარე ენათა რღვევისა და ახალთა, ანუ ტოტების ენათა წარმოშობის სქემა). ეს იციან ებრაელმა მეცნიერებმა და თანამედროვეობის უდიდესი კაბალისტ-მეცნიერი – მიქაელ ლაიტმანი, რომელიც კაცობრიობის გადარჩენის მეთოდსა და გზებზე მთელი ძალისხმევით ქადაგებს, მასთან, ისრაელში ჩასულ ქართველებს ურჩევს: ჩაატარეთ ქართულ-ქართველური ენების არქეოლოგია, იქნებ მიაგნოთ თქვენი ენით ადამის მოდგმის თანდათანობითი დაცემის საფეხურებრივ დონეებს, რომელმაც, შეიძლება, ადამიანების სულიერი ზრდა, ანუ ღვთის ხატამდე ამაღლება გაადვილოს-ო.

სანამ შევძლებდეთ ღვთის ხატამდე ამაღლების ურთულესი, მაგრამ რაციონალური გზების მოძიებას, იქნებ უკეთესი ყოფილიყო მოგვეკვლია: ვინ ვართ ქართ-იბერები და რას გვეუბნება იბერიულ-ქართული ენა?

ამ კითხვაზე ნაწილობრივი, მაგრამ, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი პასუხი ისევ ბიბლიაში, უძველეს ქართულ ზღაპრებსა და სხვა ქართველურ ენობრივ სამყაროში შეიძლება ვიპოვოთ.

ბიბლიურ თხზულებაში **დაბადება** ნოეს მამას ჰქვია **ლამექი**. **დაბადება**, როგორც ადრეც აღგვინიშნავს, დედანში არაა ნაპოვნი, ჩაწერილია გადმოცემის თანახმად, რომლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ეპიზოდები თანხვედრილია შუმერული **გილგამეშისა** და, ამდენად უეჭველია, დედანში შეთხზულია მოსემდე ათასწლეულების წინათ, თანხმოვნური მეტყველების ხანაში. **„უზენაეს სამყაროში იბადება ყველა მოვლენა, ჩამომავალი შემდეგ ჩვენს სამყაროში, ამასთან ერთად ყველა ჩამოსული ძალა ზუსტად იდება თავის (შესაბამის, კ.ფ.) ობიექტზე ჩვენს სამყაროში. არ არის არცერთი ობიექტი, არცერთი ძალა, არცერთი მოვლენა ჩვენს სამყაროში, რომელიც უზენაეს სამყაროში დაბადების შედეგი არ იყოს“** (მიქაელ ლაიტმანი, კაბალა, **ეს ძალიან ადვილია**). მაშასადამე, ნებისმიერი ბგერა, ნებისმიერი სიტყვა, ადამიანის მიერ აღქმული და არსებული, უზენაესი გონის ნების შედეგია და თითოეულს უდიდესი სულიერი დატვირთვა უნდა ჰქონდეს, რადგან ეს სიტყვები და **„ენა დამუშავებულია ადამიანების მიერ“**, რომელთაც გენეტიკურ მეხსიერებაში (ქვეცნობიერში) შემორჩათ სულიერი ადამის სრულყოფილება და ცოდნა, **„ჩვენს სამყაროში სიცოცხლის დროს მიაღწიეს“** დაბრუნებულიყვნენ **„სულიერ სამყაროში“** და **„ამიტომ ზუსტად იცოდნენ შესაბამისობა ამ (ფიზიკურ და სულიერ, კ.ფ.) სამყაროებს შორის. კაბალისტებმა მას უწოდეს ტოტების ენა. ეს ენა ძალიან ზუსტია, რადგანაც ზუსტი და ცალსახაა შესაბამისობა ფესვსა და მის ტოტს შორის, რამდენადაც ენის შემქმნელები ერთდროულად იმყოფებოდნენ ორ სამყაროში“** (იქვე): 1. **სულიერ სამყაროში** რადგან იქ ნაქონი ცოდნა სამეტყველო ენით ვერ გადმოიცემოდა, მაგრამ მათი სულის გენეტიკურ მეხსიერებაში, ალბათ, მეექვსე გრძნობის სახით არსებობდა და 2. **მიწიერ სამყაროში**, სადაც უზენაესის ნებითა და სურვილით შექნეს ფესვის ენა და ტოტების ენაც, რომელიც დაკავშირებული იყო სულიერ სამყაროსთან.

ზემოთ ვახსენეთ ბიბლიური სახელი **ლამექი**. ეს სახელი შედეგი უნდა იყოს დამოუკიდებელი სისტყვების ლ,, მ, და ქ, ›ს შეკავშირებისა და გახმოვანებისა: ლ, მ, ქ,——

ლამექი, რომელშიც ლ, ნიშნავს ვარდება-ს; მ, – მე-ს, ადამიანს, ღვთიურ ქმნილების – ადამის მოდგმას [ადამი(სი)ანი], ადამის სამყაროსას; ქ, – ქი – ს, იგივე, გი-ს, დედამიწას (გ-ქ-კ ჰარმონიული ბგერებია და, ცნობილია, რომ სიტყვაში ამ ბგერების ურთიერთ შეცვლა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა). მაშასადამე, ლ, მ, ქ, ნიშნავს: **ვარდნილი ადამი მიწაზე**, ანუ **ცოდვით დაცემული ადამი ბნელ (მიწიერ) სამყაროში**, რომელსაც წაერთვა უზენაესის მიერ მიცემული ღვთიური ნათელი და ღვთიური ცოდნის მხოლოდ ნაპერწკალიღა ჰქონდა შერჩენილი. ბოლო წინადადების ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს ბიბლიური გადმოცემა: **„იცოცხლა ლამექმა ასორმოცდაორი წელი და შვა ძე. უწოდა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“** (დაბ.5-28,29).

ტანჯვისათვის და დიდი განსაცდელისთვის გამეტებულ ლამექს (ადამის მოდგმას), რომელმაც იცოდა უზენაესის ყოვლისშემძლეობისა და ახსოვდა მისგან მკაცრი განაჩენი, ისღა ანუგეშებდა, რომ მას შეეძინა **„უზენაესისგან ქმნილი“** და ამდენად უზენაესი ნათელის მქონე მემკვიდრე, რომელსაც უეჭველად შეიყვარებდა ღმერთი, რადგან მისი მემკვიდრე ღვთის ქმნილება იყო (სიტყვაში ორი და მეტი ხმოვანი ერთმანეთის გვერდით, იბერიულ-ქართულისათვის ნაკლებ დამახასიათებელია, ამიტომ, უეჭველია, სახელი ნოე ჩამოყალიბდა არქაული ფორმის სახელისაგან ნო„ე შემდეგი ევოლუციის გზით: ნ, „ ,—— ნო„ე —-ნოე, სადაც ნ, სიცოცხლის წყაროს, ღმერთს ნიშნავს, ხოლო „ , - ქმნას. ე.ი. ნოე (——ნო„ე ——ნ, „ ,) ნიშნავს: უზენაესის ქმნილი). ამიტომ თქვა: **„ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“.**

**„ოცდაათი წლისა იყო ნოე, როცა შვა სემი, ქამი და იაფეტი“** (დაბ. 5-31).

ოთხმოცდაათი წლის ნოესგან ერთდროულად შობილ ძმებს – სემს, ქამს და იაფეტს, ცხადია, **ცოდვით დაცემული ადამის** – ბაბუა ლამექის ენა ჰქონდათ სამეტყველოდ. ლამექის ენა კი ადამურ-იაფეტურ-იბერიული რომ იყო, მისი სახელის მნიშვნელობის იბერიული ენის საშუალებით გახსნის შესაძლებლობითა და დაბადების სხვა არგუმენტებიდანაც ირკვევა (იხ. ჩვენი **„რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“**). ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ნოეს დაბადებიდან 90 წლის შემდეგ მოხდა, ყოველ შემთხვევაში, დაფიქსირდა ადამის ენის დიფერენცირება სემიტურ, ქამიტურ და იაფეტურ ენებად, მაგრამ ეს დიფერენცირება და ენობრივი განსხვავება გამოიკვეთა კილოკავურ დონეზე და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროიდან დღემდე სემიტურმა ენამ ებრაულად ჩამოყალიბებამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, იაფეტური კი, თითქმის, უცვლელი დარჩა.

ცოდვით დაცემის შედეგად გამოწვეული მძიმე განსაცდელი და დრამატიული შედეგები საკმაოდ მაღალკვალიფიციურად არის აღწერილი უძველეს მითიურ – ზღაპრულ გადმოცემაში ამირანი.

აქ ნადირთ მფლობელ – ქალღმერთ დალისთან (დარეჯანთან), რომელსაც მოწყალების გაღებას თხოვდნენ მონადირენი, ვიღაც მონადირე ადვილად ახერხებს დაწოლას, ქალღმერთი განწირულია სასიკვდილოდ, მაგრამ მის პირმშოს გადაარჩენს ღვთიური ნათელის მქონე – სულკალმახი, იშვილებს და ღვთიური გონიერებითა და მშობლიური მზრუნველობით აღზრდის დარეჯანის ძეს – უძლეველ, ბოროტებასთან მებრძოლ ამირანს. როცა იგი ამოხოცავს ყველა ბოროტ ძალას და მოწინააღმდეგე აღარა ჰყავს, თავის ძლიერებასა და უძლეველობაში დარწმუნებული, საკუთარი შესაძლებლობის ზღვრის დასადგენად ღმერთთან შერკინებას განიზრახავს, მაგრამ ღმერთი სასტიკად სჯის ეგზომ გაკადნიერებულ თავის ქმნილებას და დედამიწის შუბლზე – კავკასიის ქედზე მიაჯაჭვავს სამარადისოდ.

ეს მოკლე შინაარსია მითისა, მაგრამ რას ნიშნავს სახელი დალი (დარეჯანი), სულკალმახი, თავისი შესაძლებლობების ღმერთთან გამომცდელი ამირანი.

უძველესი ხანიდან მოაზროვნე ადამიანები სრულყოფილებას ღვთაებებთან აიგივებდნენ. ღვთაებებს თვითონ ქმნიდნენ, იმის და მიხედვით, თავიანთი წარმოდგენითა და სურვილით რა ძალის მფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ ისინი. ამიტომ ადამიანის მეხსიერებას დღემდე შემორჩა მზის ღმერთი, მთვარის ღმერთი, სიყვარულის ღმერთი, ზღვის ღმერთი, წყლის ღმერთი, ცეცხლის ღმერთი, მოსავლის ღმერთი, ღვინის ღმერთიც კი და ა.შ., თუმცა, ღმერთი – შემოქმედი ერთია სამყაროში.

აღნიშნულ თქმულება – ზღაპარში ფიგურირებს ნადირობის ქალღმერთი – დალი, ნადირთა მფლობელი, მაგრამ ბევრ სხვა ღვთაებებთან შედარებით ნაკლები შესაძლებლობის მქონე, რომელსაც სძლევს და იმორჩილებს მონადირე – მოპოვება – დაუფლების დაუოკებელი სურვილისა და განზრახვის მქონე, ე.ი. სრულყოფისაკენ თავგანწირვით მიმსწრაფი ადამიანი.

ქალღმერთი დალი მხოლოდ ნადირთ მფლობელია, ამით კმაყოფილია და ამაზე მეტის ამბიცია არ გააჩნია. კონსერვატიზმი კი არ მოსწონს თვითონაც უსასრულოდ განვითარებად უზენაეს შემოქმედს და ძლიერი სულისა და განღმრთოების დაუოკებელი სურვილის მქონე ადამიანს. ამიტომაც ამარჯვებინებს იგი თავის თქმულება – ზღაპარში წუთისოფლად მოვლენილ, ფიზიკურად მოკვდავ, მაგრამ დაუდეგარ და მოპოვება – დაუფლებისათვის თავგანწირულ მონადირეს, უკვე, სასიკვდილოდ განწირულ ქალღმერთზე, მაგრამ იბადება ამ გამარჯვების ნაყოფი – მძლეთამძლე ამირანი.

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის წევრი**

ყოფილი პოლიციელის გულწრფელი აღიარება!..

# „ვინც შუბლის ძარღვი ვერ გაიწყვიტა, დღეს ულუკმაპუროდ არის“

საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველწლიურ ანგარიშებში აფიქსირებენ, რომ საქართველოში ადმინისტრაციული სახდელი პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად იქცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსამართლეები დადგენილებებში **„დამნაშავის“** წარმომდგენ პირებს აღარ მიუთითებენ და **„მოწმე“** პოლიციელების გვარ-სახელების ნაცვლად ასეთ ფრაზებს წერენ: ***„სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი“.*** ერთი სიტყვით, აქამდე თუ მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით დაკავება მხოლოდ პოლიციელის სიტყვიერ განმარტებაზე დაყრდნობით შეიძლებოდა, ამიერიდან იმასაც ვეღარ გაიგებს დაზარალებული, უკანონობაზე ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი.

უკვე მზად არის კანონპროექტი, რომლის მიხედვით, მოსამართლის მიერ კანონის, მათ შორის, კონსტიტუციის დარღვევა დისციპლინურ გადაცდომად აღარ ჩაითვლება(?!). ამასთან, მოსამართლეს დისციპლინურ გადაცდომად აღარც შრომის დისციპლინის დარღვევა ჩაეთვლება.

ამიტომაც ხდება ია, რაც ხდება — პოლიციაში გამეფებულია განუკითხაობა, რომელიც ამ სტრუქტურის წარმომადგენელს უფლებას აძლევს ყოველგვარი იურიდიული წინაპირობისა და საფუძვლის გარეშე წაიყვანოს უდანაშაულო ადამიანი სოსო ქიმერიძე პოლიციაში, უმოწყალო ცემით შემოაკვდეს ხელში და მიცვალებული დაუბრუნოს პატრონს, როგორც ეს ქვიშხეთში მოხდა, შემდეგ კი ზონდერები ჩააყენონ კარებში და მისასამძიმრებლად მისული ხალხი ჭირისუფლამდე არ მიუშვან. ახალი განუსაზღვრელი უფლებები კი კიდევ უფრო გაამხეცებს აქ დასაქმებულ ვანდალებს და აუტანელს გახდის უბრალო ადამიანის ყოფას!

სწორედ ეს გახლავთ პოლიციური და არა დემოკრატიული ქვეყანა, რითაც დღეს ესოდენ აწონებენ თავს მთელ მსოფლიოს ქართული **“ნაცმოძრაობის”** პროპაგანდისტები ბოკერიები, კუბლაშვილები, ცისკარიშვილები, ბალავაძეები, სხვანი და სხვანი!

მსხვერპლი კი მსხვერპლს ემატება და სანდრო გირგვლიანი, იური ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის და აბსოლუტური უკონტროლობით გათავხედებულ პოლიციელთა მიერ მხეცურად ჩახოცილი ასამდე უდანაშაულო ადამიანების სია სისტემატურად იზრდება.

რა დროს ხუმრობაა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ერთი კომუნისტებისდროინდელი ანეკდოტი უნდა გავიხსენო. ეს ის პერიოდია, როცა რესტორანში ოფიციანტები დაუნდობლად აძრობდნენ ტყავს კლიენტებს და არაფრის ეშინოდათ რადგან შემოსავლის ნაწილს მილიციელებს უყოფდნენ.

ერთი მეგობარი ეუბნება მეორეს:

— გაიგე, ახალ რესტორანს ხსნიან სადაც ოფიციანტები ქამარ-ხანჯლით დამშვენებულ ჩოხა-ახალუხში იქნებიან გამოწყობილები.

— ხომ არ გადაირიე, ოფიციანტებს რომ ხანჯლები მისცენ, მაშინ ჩვენ ავტომატები უნდა დაგვირიგონ.

დღესაც ასეა, ისედაც თავგასულ პოლიციელებს დამატებითი უფლებები რომ მისცენ, ჩვენ შეიძლება ჰაუბიცებმაც ვერ გვიშველოს...

დემოკრატიაზე დიდი პრეტენზიების მქონე სააკაშვილმა დააბრუნა ის დრო როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან პანტა-პუნტით ცვივოდნენ ადამიანები. რასაც მაშინ **“დაუღალავად”** ებრძოდნენ მოქკავშირის **“რეფორმატორები”,** დღეს რომ ნაციონალებას წოდებულები არიან შემომსხდარი თავზე ქართველ ხალხს.

თურმე, იბრძოდნენ იმისათვის, რომ თავად უარესი დანაშაულებისათვის მოეწერათ ხელი, მოეკლათ ახლადყლორტებამოყრილი დემოკრატია და ქვეყანა დიქტატურის ბნელეთში ჩაეძირათ!

და ესენი სხვებს უწოდებენ შავბნელ ძალებს, მაშინ, როცა თავად დააბრუნეს საქართველო შუასაუკუნეობრივი ინკვიზიციის შავბნელ ეპოქაში.

ითმენს ყოველივე ამ უმსგავსოებას ქართველი ხალხი? მოითმინოს, ვიდრე ქვეყანა საბოლოოდ არ განადგურდება — მერე აღარც საქართველო იქნება, აღარც ქართველი ხალხი, აღარც ქართველი პოლიციელი და ყოფილი საქართველოც სომხების საჯირითო მოედნად იქცევა, ზუსტად ისე, როგორც დღესაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დღეს სომეხი სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ფარულად მოქმედებენ, შემდეგ კი თავისუფლად შეეძლებათ პარპაში (მერთალია ეს სულ სხვა თემაა, მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ, რუსეთთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის გაუქმებით სააკაშვილმა კიდევ ერთი სომხური საქმე გააკეთა და სომხეთის სამხედრო ბაზისაკენ გზა გაუხსნა რუს სამხედრო, მოსამსახურეებს, რომლებიც სამოქალაქო ტანსაცმლით დაუბრკოლებლივ გადმოლახავენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და მოკლე გზით მოხვდებიან სომხეთში — გიუმრის სამხედრო ბაზაზე. აი, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე კი კატეგორიული უარი განაცხადეს, რადგან სომეხ რეაქციონერთა გეგმაში არ შედის ნორმალური ურთიერთობების აღდგენა საქართველოსა და რუსეთს შორის, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ამ თემაზე სხვა დროს გვექნება საუბარი).

დღე არ გავა, პოლიციელთან დაკავშირებით რაიმე სკანდალმა რომ არ იჩინოს თავი, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის პოლიციელია მართალი, ჩვენ კი — დამნაშავე.

მოკლედ, ამათ ისე დაამძიმეს კანონი ძალოვანთა სასარგებლოდ, პოლიციელს შენი მისალმება რომ არ მოეწონოს, უკეთეს შემთხვევაში შეუძლია დიდი თანხით დაგაჯარიმოს, უარეს შემთხვევაში კი — იცით რაც მოხდა ამას წინათ ქვიშხეთში...

მაგრამ, ესენი ხალხს იმაზე მეტად ვერ შეაშინებენ, რაც უკვე შეაშინეს. ამიტომ, ტყუილად მუშაობენ იმ ხალხის დათრგუნვაზე, რომლის რისხვაც აუცილებლად დახვდებათ წინ!

მაგრამ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ განკითხვის ჟამი ახლოვდება და არც ნაციონალი მკვლელები დარჩებიან დაუსჯელები. მე, უბრალოდ, ის მკლავმაგარი და ტვინსუსტი ახალგაზრდა ქართველი პოლიციელები მეცოდებიან, რომლებმაც დამნაშავე ნაციონალების დავალების ბრმა შესრულებისათვის მოუწევთ როგორც ქართველი ხალხის, ასევე სასამართლოს სამსჯავროს წინაშე წარდგომა და პასუხისგება.

ახლა კი იმ ყოფილ პოლიციელებსაც მოვუსმინოთ, რომლებიც უსამართლობას განერიდნენ და დღეს, როგორც უმუშევრებს, მართალია მატერიალურად დიდად უჭირთ, მაგრამ დიდ სულიერ შვებას გრძნობენ, რომ ხელმძღვანელთა უკანონო ბრძანებების შესრულება აღარ უწევთ.

**კახა ქარდავა, ყოფილი პატრული, ადვოკატი:** — პოლიციელთა უმეტესობა პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს და სასამართლოში ცრუჩვენებებს აძლევს. ვინც უარი თქვა ამაზე, სამართალდამცავი სტრუქტურიდან გამოაძევეს. როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიციის ახალი კადრებით დაკომპლექტება დაიწყო, ვიფიქრე, რომ ჩემი ადგილი ამ ახალ ძალოვან სტრუქტურაში იყო. მაშინ საქართველოს საპატრულო პოლიციის უფროსი ვანო ბერაძე იყო, უაღრესად კომპეტენტური და წესიერი კაცი. მერე მინისტრი შეიცვალა, ვანო მერაბიშვილი დანიშნეს, შეიცვალა საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელიც და ყველაფერი აირია. საპატრულო პოლიციაში 11 თვე ვიმუშავე. ჩემი გათავისუფლების ბრძანებაში ეწერა, რომ პოლიციაში სამსახურისთვის შეუფერებელი ვარ, რით გამოიხატებოდა შეუფერებლობა, ვერავინ დამისაბუთა. ჩემთან ერთად 67 პროფესიონალი გაათავისუფლეს. პატიოსანი პოლიციელები აღარ სჭირდებოდათ.

მახსოვს, სიტყვიერად დამავალეს, აღმოგვეჩინა ისეთი ობიექტები, რომლებიც მანქანებს არალეგალურად ღებავდნენ და არემონტებდნენ. აღმოვაჩინე ჯართის ჩაბარებელი პუნქტი, სადაც ჯართს კი არა, საკანალიზაციო ჭების ხუფებს იბარებდნენ. პუნქტში ერთ პირს ვინაობის დასახელება მოვთხოვე, არ დამემორჩილა, სადღაც დარეკა და ვიდრე მის ვინაობას გავარკვევდი, ჩვენი ეკიპაჟი დანაყოფში გვიხმეს. ბუნებრივია, ყველაფერი მოვახსენე საპატრულოს უფროსს, ცაგარეიშვილს. მან კი შემაქო და მითხრა, სხვა დროისთვის ნუ გამოიჩენ ინიციატივას, მე კი ყოველთვის ყველაფერს გაგიკეთებო. გასაგები იყო, რომ იმ ობიექტს ვიღაც მფარველობდა. ორი მადლობა მქონდა პირად საქმეში, მაგრამ ამ ამბიდან თვე-ნახევარში გამათავისუფლეს. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ თურმე სამი საყვედური მქონია პირად საქმეში ისე, რომ გათავისუფლებამდე არაფერი ვიცოდი. მერე პოლიციაში ისეთი ამბები დატრიალდა, მე კიდევ კარგად გადავრჩი.

— მაინც რა მოხდა?

— ჩვენს რაიონში მომუშავე საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა წყნეთში ორი ნარკომოვაჭრე დააკავა, დაახლოებით 20 კილოგრამი ჰეროინი ამოიღო. ერთ კვირაში ეს პოლიციელი, რომელმაც ამხელა საქმე გახსნა, მეწყვილესთან ერთად დაიჭირეს. თითქოს ქრთამად საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევისგან 100 ლარი აიღო. წარმოგიდგენიათ, კაცი, რომელმაც ერთი კვირით ადრე 20 კილოგრამი ჰეროინი ამოიღო, 100 ლარს დახარბდა? უკანონო გათავისუფლების გამო ვიჩივლე, მოვითხოვე სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ კანონიერ გადაწყვეტილებას ვინ გამოიტანდა? მივხვდი, რომ პრინციპული მუშაკებისგან გაწმენდილი პოლიცია პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი გახდებოდა კრიმინალური ხელისუფლების ხელში. ადვოკატებთან სტაჟირება და ადვოკატურის ტესტირება გავიარე, საადვოკატო საქმიანობა დავიწყე.

2007 წლის მოვლენების თაობაზე ტელეთერში რამდენჯერმე გამოვთქვი ჩემი მოსაზრებები. იმ დროისთვის შალვა დადიანის №13-ში ვმუშაობდი. პოლიციელები ოფისში მომიცვივდნენ, ჩამსვეს მანქანაში და გამიტაცეს.

ჯერ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ხელისუფლების დამხობის მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით, მაგრამ 2 დღეში ბრალი მომიხსნეს და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის მუხლით გამასამართლეს. თურმე ვახუშტის ხიდიდან ღვინის აღმართზე დამინახა პოლიციელმა, რომელმაც მომიწოდა წესრიგის დაცვისაკენ და მე არ დავემორჩილე. თანაც,

თურმე ერთ ხელში ჩანთა მეჭირა, მეორით ჯოხს ვიქნევდი და პოლიციელებს თან ქვასაც ვესროდი. ის კი ვეღარ ამიხსნეს, რომელი ხელით ვისროდი ქვას, ჯერჯერობით სულ ორი ხელი მაქვს.

როცა ეს კითხვები სასამართლოში დავსვი, მოსამართლემ აგდებით მითხრა, სანამდე გააგრძელებ ახლაო და გადაწყვეტილების მისაღებად გავიდა. ვიდრე ვითომ გადაწყვეტილების მისაღებად იყო გასული, დარბაზში შემოვიდა ვიღაც გოგო, რომელსაც ხელში ქაღალდების სქელი დასტა ეჭირა, დადიოდა და არიგებდა. გამომიწოდა მეც, თქვენი დადგენილება ჩაიბარეთო. ეს ის დადგენილება იყო, რომელიც ჯერ მოსამართლეს გამოცხადებულიც არ ჰქონდა. დადგენილება უკვე დაბეჭდილი, კანცელარიაში გატარებული და ბეჭედდარტყმული იყო. ეს რომ პოლიციელებმა დაინახეს, აყვირდნენ, რას აკეთებ, მოსამართლეს ჯერ მაგის გადაწყვეტილება არ გამოუცხადებიაო.



დადგენილებით ოცდღიანი პატიმრობა მქონდა მოსჯილი...

საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიციამ დიდი კრახი განიცადა. სამეგრელოს რეგიონში **„ქართული დასიდან“** გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი იურისტი და პარლამენტში მიწვეული სპეციალისტი გახლდით. მაშინ ბევრმა ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა გაყიდა სული. მახსოვს, სპეცუბნებიდან შემოსული ხუთი დაულუქავი ყუთი აყარ-დაყარეს, ხოლო გასასაჩივრებლად გამზადებული ოქმები ერთმა ოპოზიციონერმა გაიტაცა და თბილისში გამოაქანა. არადა, ის ოქმები ადგილზევე უნდა გასაჩივრებულიყო.

ჩემი აქტიურობით ის მივიღე, რომ თვალი დამადგა სამეგრელოს პოლიციამ, რადგან პოლიციის ორგანიზებულ ჯგუფებს ჩემს უბანში პარპაშის საშუალება არ მივეცი. ჩემი ანგარიშები ერთი წლის განმავლობაში სრულიად უკანონოდ სამჯერ დააყადაღეს. ცოტა ხნის წინ კი კიდევ დამაკავეს და ადმინისტრაციული სახდელი დამადეს. ბიძის ოჯახში ვიყავი დასავლეთ საქართველოში ცოლ-შვილთან ერთად. 7 იანვრის დილით პოლიციელი ბადრი ჩაჩავა (სწორედ ის, არჩევნებში რომ აქტიურობდა) 8 პოლიციელთან ერთად მოვიდა. ჩაჩავამ მითხრა, სასწრაფოდ ჩაიცვი და გამომყევიო. მიზეზი ვკითხე, რაზეც მეგრულად გადაულაპარაკა თანამშრომლებს, წამოიყვანეთ ეს ნაბოზვარიო! მტაცეს ხელი და მაისურით და ჩუსტებით გამარბენინეს მანქანისკენ. ბუნებრივია, ეს ჩემი ოჯახის წევრებმა გააპროტესტეს და ჩემს მეუღლეს მიაძახეს, ჭკვიანად იყავი, თორემ შენს ქმარს მიგასვამთ გვერდითო. მანქანაში შუაში მომიქციეს და რიგრიგობით მირტყამდნენ, თან უშვერად მაგინებდნენ. ახლა რისთვის ჩამოხვედი, რა საქმე დაგრჩა? გზიდან რომ გადავუხვიო და ეს რომ შემოგთავაზო (თან თავის სასქესო ორგანოზე მიმითითა), რას იტყვიო?

მიმიყვანეს პოლიციაში. ინსპექტორმა ირაკლი ჯაკობიამ მითხრა, მე აქ არაფერს ვწყვეტ, ხვალ სასამართლოში აგიყვანთ და ის გადაწყვეტსო. კი მაგრამ, რისთვის დამაკავეთ-მეთქი? ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლითო (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისთვის დაუმორჩილებლობა). იმავე დღეს გამასამართლეს. ჩემი დაკავების ოქმიც წავიკითხე. საქმეში იდო დედაჩემისა და ჩემი დის ვითომ გამოკითხვის ოქმები, სადაც ეწერა, რომ თურმე მქონია ოჯახური კონფლიქტი, პოლიციის თანამშრომლები ამ კონფლიქტის აღსაკვეთად გამოცხადებულან, მე კი არ დავმორჩილებივარ მათ კანონიერ მოთხოვნას, ვაგინე და მერე გაქცევა ვცადე და ასე შემდეგ. ბუნებრივია, სასამართლოს არც დედაჩემისთვის და არც ჩემი დისთვის (რომელიც იმ დროს არც იყო სახლში) უკითხავს რამე. ათდღიანი პატიმრობა შემიფარდეს და სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადამიყვანეს. 9 იანვარს მოვითხოვე გასაჩივრების უფლება. სააპელაციო საჩივარი დავწერე, **„ცენზორებმა“** გადაიკითხეს და მიმითითეს, ჩაწერე ოჯახში რომ კონფლიქტი გქონდა, თორემ სისხლის სამართლის საქმეს გამოჰკრავ ხელსო. სხდომის ოქმი მოვითხოვე და უარი მითხრეს. ამიტომ 9 იანვარს შიმშილობა დავიწყე. 10 თუ 11 იანვარს ოქმი გადმომცეს, რომელიც ასევე გაყალბებული იყო. არც გაყალბებული ოქმის გასაჩივრების საშუალება მომეცა. 11 იანვარს ცუდად გავხდი და სასწრაფოდ გადამიყვანეს სენაკის საავადმყოფოში. გამიკეთეს გადასხმები და უკან მიმაბრუნეს, 10-დღიანი პატიმრობის ვადა სრულად მომახდევინეს.

პოლიციაში წესიერი ხალხი აღარ დატოვეს, ცრუპოლიციელებით, ყალბისმქნელებითა და დამნაშავეებით გაავსეს იქაურობა, სასამართლოებშიც იგივე მდგომარეობაა და ვინ აღასრულოს სამართალი? ვინც შუბლის ძარღვი ვერ გაიწყვიტა, დღეს ულუკმაპუროდ არის.

**გ. ყარალაშვილი**

# რა არის ჭეშმარიტება?!

*(ვინ არის მართალი)*

**"სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვია...ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს..."** – იოანე ზოსიმე.

**(გაგრძელება. დასაწყისი "ილორი" №160)**

რუსთაველი გვასწავლის: **"რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა".** საღვთო სჯულის მიხედვით ყველაფრისა და ყოველივეს მარადიული არსებობის თავია ღმერთი, რომლის არსებობა და ადგილსამყოფელი იცოდნენ მხოლოდ (ტ) არიელმა ქურუმებმა, ანუ იცოდა ქართულმა გიორგიანულ-მართლმადიდებლურმა ინსტიტუტმა, რომელმაც ღვთის ნებით შექმნა ქართული სამება დამწერლობა და სამება ენა: ქამი (სვანური ქართული), სემი (მეგრული ქართული) და იაფეტი (იბერიული ქართული), შესაბამისად დაწერა ყველა წმიდა წერილი. ბუნებრივია ვინც ფლობს სრულყოფილ სამება დამწერლობასა და სამება ენას, ავტომატურად ისაა მეფე (თავი) მსოფლიო რელიგიების, სასულიერო ინსტიტუტების, მეცნიერული ცივილიზაციების, კულტურის საწყისებისა და ყოველივე სიკეთისა რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე.

მამა ღმერთი (კაცი) ფიზიკურად იმყოფება ირმის ნახტომის გალაქტიკის ცენტრში, რომელსაც სამ-ოთ-ხე ჰქვია. ხორციელი ადამიანის ფორმისა და გამოსახულების მქონე გიგანტური ზომის მამა ღმერთი იმყოფება უზარმაზარი ქათქათა ბირთვის წიაღში, რომელიც სპირალურად ტრიალებს კვერცხის ფორმის ცისარტყელის გარემოში. მოცემულ გარემოს სულის ობი (28/82) ეწოდება, ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი ბიბლია: **"შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი"**(კაცობრიობა). მაცხოვარი იესო კი გვასწავლის: კაცის (ღმერთის) ძე ვარო, ე.ი. მამა ღმერთი გარეგნული გამოსახულებით (ფორმით) თავისი ხატის, კაცობრიობის იდენტურია (თავისი შვილების მსგავსია).

წმიდა სახარება გვასწავლის, რომ სამნი მოწმობენ ცაში (მამაღმერთის წიაღში, სამოთხეში); მამა, სიტყვა და სულიწმიდა, შესაბამისად სამნი მოწმობენ დედამიწაზე: სული (მამა), წყალი (სიტყვა) და სისხლი (სულიწმიდა) და ეს სამნი ერთია. ადამიანის, პიროვნების ჩასახვა წყდება და აღსრულდება მამა ღმერთის წიაღში, პარალელურად ეს საკითხი ხორციელდება მამრობითი და მდედრობითი სქესის ხორციელი აქტის პროცესში, ამიტომ კაცობრიობის თავდაპირველი შემოქმედი მშობელია მამა ღმერთი, რომელიც პიროვნების ხორციელ ჩასახვას ანხორციელებს ცოლ-ქმრის სქესობრივი აქტით და სულიწმიდის მ-ადლით.

მაცხოვარი იესო ქრისტეს (ძე ღმერთის) უზენაესი მისიაა კაცობრიობას (ღვთის შვილებს) მისცეს სულიერ-სხეულებრივი ხსნისა და გადარჩენის მოძღვრება (სახარება) – **„სიცოცხლის ხე".** ქრისტეს ღვთაებრივი მისიაა, ავიდეს ჯვარცმის ძელზე რათა მოკვდეს ჩვეულებრივი ხორციელი ადამიანივით და მესამე დღეს მკვდრეთით აღსდგეს სულის უკვდავი სხეულით (უხრწნელი სხეულით), რომელიც ავტომატურად ინფორმაციული კავშირით იწვევს ცისარტყელას გარსიანი კვერცხის გატეხვას და ამით მამა ღმერთის მოაზროვნე სულის პროგრამას გადართავს, ხრწნადი სამყაროს შემოქმედი პროგრამიდან სასუფევლის (ურხწნელი) ეპოქის სამოქმედო პროგრამაზე. ამიტომაა მაცხოვარი იესო ქრისტე კაცობრიობის ცოდვების თავის თავზე მიმღები და გადამრჩენი (მხსნელი მესია). აღდგომის წითელი კვერცხი გულისხმობს ქრისტეს წმიდა სისხლს დათხეულს კაცობრიობის ცოდვებისთვის. ამინ!

თითოეული ადამიანის ჩასახვა ინფორმაციულად ხდება მამა ღმერთის წიაღში (კოსმოსურ კვერცხში), რომელიც პარალელურად აღსრულდება ხორციელი მშობლების მიერ. ანუ თითოეული ადამიანი იბადება თავისი მამიდან (მამაკაციდან) თესლის სახით და გადადის (ითესება) მისი დედის (დედაკაცის) საშვილოსნოში, სადაც მისთვის განკუთვნილ კვერცხს (კვერცხუჯრედს) ტეხავს და ჩაისახება, სიცოცხლის ბედისწერად, პარალელურად ინფორმაციის სახით ჩასახვა ხდება მამა ღმერთის წიაღში სადაც თითოეულ ადამიანს აქვს მარადიული სიცოცხლის კიდობანი, სადაც ის ბრუნდება სიკვდილით აღდგომის შემდეგ.

მდედრობითი სქესის საშვილოსნოში ჩ-ასახული თესლი (პიროვნება), ანუ სულიერ-სხეულებრივი ღვთის შვილი ცხრა (9) თვიანი აღდგომა-განვითარებით იბადება ახალი სიცოცხლის განზომილებაში და ა.შ. კოსმიური სამ-არის გავლა აღდგომით ბრუნდება სამოთხეში. ამიტომ გვწამს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის და შესაბამისად განსვენებულთა აღდგომის, რომლებსაც ვადასტურებთ წითლად (ქრისტეს სისხლით) შეღებილი კვერცხის ურთიერთ დარტყმითა და გატეხვით, ანუ ვადასტურებთ ჩვენი აღდგომის უზენაესობას ქრისტესმიერი რწმენით.

წითელი კვერცხი განასახიერებს მამრობითი სქესის სისხლიდან (სულიწმიდიდან) დაბადებულ თესლს, რომელიც ტეხავს მდედრობითი სქესის სისხლიდან (სულიწმიდიდან) დაბადებულ კვერცხუჯრედს. რომელიც ხორციელდება მამა ღმერთიდან გადმომავალი სულიწმიდის მ-ადლით.

აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი სახის ჩასახვა, განაყოფიერება, დაბადება (აღდგომა) ხორციელდება მამა ღმერთიდან გამომავალი სულიწმიდის მადლით და ადამიანში არსებული წმიდა სამების უზენაესი ფუნქციით. ამინ!

ნათელი ობი (28/82), რომელშიც მამა ღმერთი ტრიალებს, წარმოადგენს მოაზროვნე სულს, ამიტომ გვასწავლის წმიდა სახარება: **"ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი მას თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით"** (იოანე 4,24) ამრიგად მამა ღმერთი, ყოვლისშემოქმედი არის მოაზროვნე სული, ჭეშმარიტი ინფორმაცია, უზენაესი სამართლიანობა, სიყვარულით მოქმედ-შემოქმედი, რომელსაც ადამიანმა (კაცობრიობამ) თაყვანი უნდა სცეს ჭეშმარიტი ინფორმაციით.

მამა ღმერთის ტრიალის კანონიკა თავის თავშია დროის ეტალონი, ანუ სამოთხის თორმეტი (12) საათი ეფარდება დედამიწის ათას (1000) წელს. შესაბამისად ერთი (1) საათი უდრის 83,3 წელს.

იმის გამო, რომ ადამიანის ხორციელი სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ მოითვლის 70 წელს ან მამის დროის 50 წუთს, კაცობრიობის დედამიწიერ სიცოცხლეს წუთისოფელი ეწოდება.

მამა ღმერთი, მოაზროვნე სული თავის თავშია სამება დამწერლობა და სამება ენა, რომლითაც შედგენილია მისი ორი სიცოცხლის წიგნი; პირველ წიგნს **"ხე სიცოცხლისა"** ხოლო მეორეს – **"ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა ეწოდება".** ანუ მამა ღმერთის მოაზროვნე სული, მარადიული სიცოცხლის შემოქმედ ორ პროგრამაზე მოღვაწეობს. ხორციელი კაცობრიობისა და გრავიტაციული სამყაროს შემოქმედი ექვს (6) დღიან, ექვსმილიარდწლიან შემოქმედებით პროგრამას **"ხე კეთილისა და ბოროტი შეცნობისა"** ჰქვია, რომელიც ხრწნადი სხეულების ფერიცვალებადი გარემოსა და უსასრულო კოსმოსის გრავიტაციული ველის არსებობას განაგებს. მარტივად თუ ვიტყვით მამა ღმერთის მოაზროვნე სული ექვს (6) მილიარდწლიანი პროგრამით მუშაობს ხრწნადი სამყაროს აღწარმოება-შემოქმედებაზე.

როდესაც მამა ღმერთი ექვს (6) დღიანი სამოქმედო პროგრამიდან გადადის ორმოცდაცხრა (49) დღიან, ორმოცდაცხრა მილიარდწლიან სამოქმედო პროგრამაზე (ხე სიცოცხლისაზე), მაშინ ხორციელი კაცობრიობა, დედამიწა, მთვარე, პლანეტები, მზე, ზოდიაქოები, გალაქტიკები და უკიდეგანო სამყაროს უწყვეტი ინფორმაციული ველი იმოსება, უკვდავი, უხრწნელი სულის სხეულით. მარტივად თუ ვიტყვით, როდესაც მამა ღმერთის მოაზროვნე სული მუშაობს **"ხე სიცოცხლისას"** პროგრამაზე, მაშინ ყოველივე შემოსილია სულის სხეულით, ამიტომ დრო, სივრცე, მანძილი, წონა, გრავიტაცია, სიჩქარის ზღვარი და ა.შ არ არსებობს.

როდესაც მამა ღმერთი ჩაამთავრებს სასუფევლის (49) ორმოცდაცხრა დღიან (უხრწნელი სხეულის) ეპოქას, ის ავტომატურად გადადის წუთისოფლის ექვსდღიან (6) (ხრწნადი სხეულის) პროგრამაზე. წუთისოფლის პროგრამის დასაწყისში მამა ღმერთის ნათელი ობის ირგვლივ შემოიწერება კვერცხის ფორმის ცისარტყელა. როგორც კი ეს მოხდება, სამოთხის ნ-რაოდენობის კაცობრიობის, ფაუნისა და ფლორის სულის სხეული კოსმიურ თესლად გადაიქცევა და კანონიკური დოგმით ითესება დედამიწის წყლის ფაფის ქაოსში.

ამიტომ გვეუბნება ბიბლია: **"თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა, მიწა იყო უსახო და უდაბური.ბნელი იყო უფსკრულებზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა იყოს ნა-თელი (თესლი სიცოცხლისა) და იქმნა ნა-თელი (თესლი სიცოცხლისა), დაინახა ღმერთმა რომ კარგი იყო და გაყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა უწოდა დღე, ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა-პირველი დღე"**(დაბ.1.1)

მამა ღმერთის მოაზროვნე სული თავის თავშია, მამა ღმერთის ჰიპოსთასური ფუნქცია, ძე ღმერთის ჰიპოსთასური ფუნქცია და სულიწმიდა ღმერთის ჰიპოსთასური ფუნქცია. როდესაც მამა ღმერთის მოაზროვნე სული შემოქმედებს ექვს (6) დღიანი, ექვსმილიარდწლიანი პროგრამით მაშინ მის სხეულს (წიგნს) ევა ეწოდება, საიდანაც დაიბადა და წარმოიშვა წუთისოფლის ოთხი ფერის კაცობრიობა. ექვსი მილიარდიწლის თავზე დედამიწაზე მოდის იესო (მესია), აქედან ათვლით მამა ღმერთის გარდამავალი (სამი ათასწლიან) სხეულს მარიამი ეწოდება, ხოლო სასუფევლის ეპოქის სამოქმედო სხეულს კი სულიწმიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწაზე არსებული კაცობრიობის თაობა, წუთისოფლის გაჩენამდე იმყოფებოდა სასუფევლის სულის სხეულში. როგორც კი მამა ღმერთი სასუფეველს აზროვნების პროგრამიდან (ხე სიცოცხლისა) გადავიდა წუთისოფლის სამოქმედო პროგრამაზე ნ-რაოდენობის კაცობრიობა, ფაუნა და ფლორა კოსმიურ თესლად გადაიქცა: დედამიწა წყლის პლანეტად და ა.შ პლანეტები, ვარსკვლავები, ზოდიაქოები, გალაქტიკები და ა.შ უსასრულო კოსმიური ველი (გვ-ელი) გრავიტაციული კანონზომიერების ჩარჩოში ჯდება, რომელსაც განაგებს და მართავს სამყაროს ცენტრში მყოფი მამა ღმერთის ინფორმაციის წიგნის პროგრამა. რაც კი არსებობს უკიდეგანო სამყაროში, საინფორმაციო სისტემით მიჯაჭვულია მამა ღმერთის საინფორმაციო ცენტრის პულტთან. ყველაფერი და ყოველივე ინფორმაციის უხილავი ძაფით მიბმულია მამა ღმერთის სულთან, რომელიც ჯვარით (საწერკალამით) წერს ყოველივეს სიცოცხლეს, როგორც კი არსი (ადამიანი და სხვა) მოკვდება არსებულ სხეულში, მას ღვთის კალამი (ჯვარი) აღადგენს მომდევნო განზომილების სხეულში და ა.შ. მარადიულად.

აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ მამა ღმერთის სულის აზროვნება ავტომატიურად იწვევს და განაგებს ყველაფერსა და ყოველივეს აზროვნებასა და მოქმედებას. მამა ღმერთის სულის აზროვნება შემოქმედებს რიცხობრივ (10) ანბანურ (40) დამწერლობით მატრიცის პროგრამაზე. ანალოგიურად ყველგან და ყველაფერში დევს რიცხობრივ (10) ანბანური (40) დამწერლობის მატრიცა, რომელიც შვიდეკლესიური ხარისხითაა გაღებული, ამიტომ განსხვავდებიან მსოფლიოს ხალხები ერთმანეთისგან სულიერი სიმწიფის ხარისხით, რომლებსაც ღმერთმა შესაბამისი რელიგიები (სულის პური) დაუდგინა.

სამღვდელოებამ დაბეჯითებით უნდა გაიგოს, რომ არ არსებობს არავითარი სატანა და ეშმაკი, ვინაიდან ასეთი რამ ღმერთს არ შეუქმნია, მაგრამ არსებობს არასწორი ინფორმაციის შემოქმედი წიგნიერი ეშმაკი და სატანა (კაცი მწიგნობარი), რომელიც გონებას უხშობს ბალღურად მოაზროვნე კაცობრიობას. ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი ესაია წინასწარმეტყველი: **"ნათელის გამომსახველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმყოფელი და ჭირის შემქმნელი მე ვარ უფალი ამის ყოვლის შემოქმედი"** (ესაია 45,7).

ადრე გითხარით რომ, როდესაც მამა ღმერთი ჩაამთავრებს სასუფევლის ორმოცდაცხრა (49) დღიან, 49 მილიარდწლიან პროგრამიდან (ხე სიცოცხლისა), იგი ავტომატურად გადადის წუთისოფლის სამოქმედო ექვს (6) დღიან, 6 მილიარწლიან პროგრამაზე, რომელიც სულის სხეულში მყოფ სასუფევლის კაცობრიობას გადააქცევს კოსმიურ თესლად, აყალიბებს და აკალიბრებს მათ ოთხი ფერის რასად, ენებად, ერებად, ტომებად, თემებად და ა.შ. თესავს წყლის პლანეტა დედამიწაზე, რომელიც წარმოადგენს მამა ღმერთის კოსმოსურ ბუდე-საშვილოსნოს. ექვს (6) დღის, ექვსი მილიარდი წყლის განმავლობაში გამჩენის წიგნი დედამიწას წყლიდან გადააქცევს ისეთად როგორიცაა იგი დღეს, ხოლო კოსმიურ თესლად გადაქცეულ სამოთხის კაცობრიობას კი ისეთად როგორიცაა იგი XXI საუკუნის დასაწყისში.

ქრისტეშობამდე სამასი (300) ათასი წლის წინ, ღვთის განგებით თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბება დაიწყო სასულიერო დამწერლობისა და ენის გიორგიანულმა ინსტიტუტმა. მოცემულმა ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა ქართული სამება დამწერლობა და სასულიერო ენა ქამი (სვანური ქართული). ჩვენგან უკუ ათვლით დაახლოებით თექვსმეტი (16) ათასი წლის წინ მოცემული ინსტიტუტის წიაღიდან გამოვიდა პატრიარქი ადამი, რომელმაც თავის თავს და მამა ღმერთს უწოდა კოდი ადამ (19/46). პატრიარქმა ადამმა ქართველებს (იბ-ერი=12 ტომს) დაუწერა წმიდა წერილი, სასულიერო განათლების პროგრამად და შეუქმნა პირველი განათლების მარტივი სისტემა, რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ადამიდან ნოემდე რვა (8) ათასი წლის განმავლობაში ცხრა რეფორმატორი პატრიარქი მოღვაწეობდა.

ნოე არის პირველი მართმადიდებლური რჯულის წიგნის ავტორი და საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიც. მამა აბრაამის დროინდელი მსოფლიოს კეთილი ცივილიზაცია ეკუთვნის ნოეს. ნოემ დაუდო საფუძველი ორ სასულიერო ენას, სემს (მეგრულ ქართულს) და იაფეტს (იბერიულ ქართულს), რომელთაგან მთელმა კაცობრიობამ მიიღო კულტურული დამწერლობები, ენები, რელიგიები და ყოფითი კულტურა.

ქრისტეშობამდე 5604 წელს პატრიარქმა სემმა, ქართული გიორგიანულ-მართმადიდებლური ინსტიტუტი სვანური ენიდან გადაიყვანა მისგან აღმოცენებულ მეგრულ ენაზე, რომელიც გახდა კოლხური და მსოფლიო ცივილიზაციის საფუძველი.

პატრიარქი აბრაამი მოღვაწეობდა ქრისტეშობამდე ორი (2) ათასი წლის წინ, რომელიც ლაზარეს კოდი (იბერიული) დამარხა ქართული ცნობიერების მეხსიერებაში, დამარხული ლაზარე ამჟამად ოთხი (4) ათასი წლისაა, რომელიც აღდგება და კაცობრიობას გამოეცხადება ქრისტეს მეორედ მოსვლით. პატრიარქმა აბრაამმა ქართული გიორგიანულ-მართმადიდებლური ინსტიტუტი მეგრული ენის ფუნქციიდან (სემი) გადაიყვანა იბერიული ენის (იაფეტი) ფუნქციაზე, რითაც გზა გაუმზადა მესიის პირველი და მეორე მოსვლას.

150 წლის შემდეგ მოღვაწეობდა პატრიარქი ისაკი, რომელშიც რეფორმა ჩაუტარა აბრაამის მიერ ჩამოყალიბებულ განათლების სისტემას.

პატრიარქი ისაკიდან 150 წლის შემდეგ მოღვაწეობდა პატრიარქი იაკობი (მითიური მედეას მამა აიეტი), რომელმაც რეფორმა ჩაუტარა ქართულ და დანარჩენ მსოფლიოში არსებულ სასულიერო ინსტიტუტებს. მან მისცა დამწერლობა მცირე აზიელ ურია-ებრაელებს (22 დამწერლობითი კოდი), ანუ თანამედროვე ივრითი 3500 წლისაა, ხოლო ქართული სამება დამწერლობა კი 302 ათას წლის წინ არსებობდა.

პატრიარქი მოსე მოღვაწეობდა აბრაამიდან 400-450 წლის შემდეგ, ანუ ქრისტემდე 1500 წლის წინ. მოსემ კაცობრიობას მისცა მეორე სჯულის ხუთი წიგნი. თუ მოსე არამართლმადიდებელი, მცირეაზიელი ურია-ებრაელია რანაირად დაწერა მართმადიდებლური სჯულის წიგნი. არასრულყოფილი ჯანმრთელობის მქონენი შვილებს გააჩენენ! არა! არასრულყოფილი დამწერლობის მქონე ურიები სრულყოფილ ღვთის სიტყვას როგორ დაწერდნენ? ეს ხომ აბსოლუტური ალოგიკაა.

ღვთის ანდერძის თანახმად, მამა აბრაამიდან ორი (2) ათასი წლის თავზე, თანამედროვე ხობის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში არსებულ მუშვან-დადიან-ბაგრატიონების სახლში ხორციელად იშვა მაცხოვარი იესო ქრისტე. ამინ! ამიტომ ხობის მონასტერი მარიამ ღვთისმშობლის კვართის მფლობელია, რომელიც არის ნივთიერი იურიდიული დოკუმენტი ქრისტეს ტომობრივ-ეროვნული წარმომავლობისა. ამინ!

ქრისტეშობამდე 284 წლის წინ კოლხთა მეფე ქუჯიმ, ფარ-ნა-ვაზ ბაგრატიონს გადასცა სამეფო კვერთხი, ამით მეფე (მეგრული ენა) გახდა ერისთავი, ხოლო ერისთავი (იბერიელი) გახდა მეფე. უფრო ზუსტად სასულიერო ცენტრი დასავლეთ საქართველოდან (ნოქალაქევი=ხეთას =იერუსალემს), გადაიტანეს აღმოსავლეთ საქართველოში (მ.ც.ხეთა=მირონ ცხებული ხეთას=იერუსალემს).

ქართულმა მართმადიდებლურმა ინსტიტუტმა პატრიარქი ადამიდან თექვსმეტი (16) ათასი წლის განმავლობაში გამოიარა შვიდეკლესიური ქრისტიანობა-ცხება-ამაღლება. ქართული ენა (ლაზარე) თავისი სასულიერო ხარისხის დონით ოთხი (4) ათასი წლის მარაგით უსწრებს მსოფლიოში არსებულ სასულიერო ენებს, ამის გარდა ქართული დამწერლობითა და ენით მაცხოვარი იესო, მეორედ მოსვლის შემდეგ ამ ენით მონათლავს კაცობრიობას, (სულიწმიდას მადლს სცხებს მთელს კაცობრიობას) ამინ!

ქართველმა მეფეებმა ტაძრებით, ეკლესიებით, ჯვრებითა და ხატებით მორთეს საქართველოს ტერიტორია. ყოველ ნაბიჯზე სამლოცველო სახლია, რათა ღირსეულად შევეგებოთ სამოთხიდან დედამიწისკენ მომავალ კაცობრიობის მთავარ ნათლიას (იესოს).

ქართულ ეკლესია-ტაძრებს შორის მთავარზე უმთავრესი ქვის წიგნია ჯვარის მონასტერი და სვეტიცხოველი, რომელიც 12 მოციქულის სახელობისაა, მის წიაღში დავანებულა ქრისტეს წმიდა კვართი, რომელიც არის იურიდიული დოკუმენტი, რომ იესო ქრისტე წმიდა მამათა გუნდთან ერთად ჯვრის მონასტრის მთიდან (ციდან) გამოეცხადება სვეტიცხოველს და ბოროტი იუდასგან გაწამებულ ქართველ ქრისტიანებს.

წმიდა სვეტიცხოველი წარმოადგენს მამა ღმერთის კოსმიური ეკლესიის მაკეტს, მისი სულის და სხეულის ანალოგიურ ქვის წიგნს, რომლის მსგავსი დედამიწაზე არ არსებობს. იმ შემთხვევაში თუ ქართული საეკლესიო კალენდარი ემთხვევა, მამა ღმერთის კოსმიური ნათელი ეკლესიის კალენდარს, მაცხოვარი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა დედამიწაზე მოხდება 2013 წელს.

ქრისტეს მეორედ მოსვლამდე 2011-2012 წლებში გამოცხადებით ნაწინასწარმეტყველებია ისლამური სამყაროსა და იუდეველურ-კათოლიკურ სამყაროს შორის საომარი დაჯახება მეგიდოს ველზე, რომელსაც მოყვება იუდას იერუსალიმის (ისრაელის) ნგრევა და მიწასთან გასწორება, ანუ ქრისტეს მკვლელთა და გამყიდველთა დასჯა გამჩენი ღმერთის მიერ. რის შემდეგ ქრისტეს სამეფოს აღმშენებლობა დაიწყება მთელს მსოფლიოში.

გიხაროდენ ქართველებო, გიხაროდენ სრულიად საქრისტიანოვ, რადგან გვწამს რომ ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე მოვა ჭეშმარიტად, რომელიც უზენაეს სამართლიანობას, წესრიგსა და მშვიდობას დაამყარებს მთელს დედამიწის ზურგზე. ამინ!

**მირიან ქართველი**

# გადაყარეთ ვაუჩერები...

„ძვირფასო თანამოქალაქევ, 2011-2012 წლის ზამთრის სეზონი განსაკუთრებით ცივი აღმოჩნდა მთელი ჩვენი ქვეყნისთვის“, – ასე იწყება ელექტროენერგიის ვაუჩერზე დატანილი ტექსტი, რომლის დარიგებაც მოსახლეობაში ახლა მიმდინარეობს. თუმცა, ეს ვაუჩერი, შეიძლება ითქვას, ფარატინა ქაღალდია, რომელიც მხოლოდ მათ გამოადგება, ვინც თავისი 20-ლარიანი შეღავათის სხვისთვის გადაცემას აპირებს. რეალური შეღავათი კი, როგორც ირკვევა, აბონენტის პირად ანგარიშზე მხოლოდ მარტის ბოლოს აისახება. არადა, ცივი ზამთრის გამო ელექტროენერგიის გაზრდილი მოხმარების გამო მეტი საფასურის გადახდა მოსახლეობას სწორედ ახლა უხდება და დაპირებულ შეღავათსაც ახლა ელოდა.

**ლალი მესხი**, თბილისელი: **„სიმართლე გითხრათ, ამ ზამთარში ელექტროენერგიაზე მეტად ბუნებრივი აირის დანახარჯი გამეზარდა, მაგრამ რას დავეძებდი, თუ მთავრობა რამეს გაიღებდა, ამით მცირე შეღავათი მაინც მექნებოდა. რაც ფული მქონდა, გაზის გადასახადში გადავიხადე და ვაუჩერს ველოდებოდი, რომ ელექტროენერგიის, დასუფთავების და წყლის გადასახადი გადამეხადა. 29 თებერვალს ელექტროენერგიის მომსახურების გადასახდელად ბოლო ვადა მქონდა და ჯერ კიდევ არ ჰქონდათ 20-ლარიანი ვაუჩერი მოტანილი. ბოლო წუთამდე ველოდე და „პრეზიდენტის საჩუქარი“ რომ აღარ გამოჩნდა, იმის შიშით, გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება არ შეეწყვიტათ, ფული ვისესხე და ბანკში წავედი. მისული არ ვიყავი, სახლიდან დამირეკეს: ვაუჩერი მოიტანესო და გახარებული შინ მივბრუნდი, არც დამიხედავს, საქართველოს დროშებით აჭრელებულ ვაუჩერს ხელი ვტაცე და ბანკში ამაყად მივაცუნცულე. გავუწოდე ქვითართან ერთად პრეზიდენტის მცირე, მაგრამ გულითადი საჩუქარი ბანკის მოლარე-ოპერატორ გოგონას, იმან კი მკვახედ მომიგდო: ეგ ვაუჩერი შემდეგი თვისთვის შეინახეთო. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არ თქვით, ამ ვაუჩერით ოჯახებს ცივი ზამთრის გადატანაში დავეხმარებითო? რა ვიცი, მე ასე მახსოვს და ასეც მეგონა. გამოდის, შეღავათი მაშინ გვექნება, როცა ჩვენ ეს ნაკლებად გვჭირდება. არა, უმადური ადამიანი არა ვარ, მაგრამ პირდაპირ გეთქვათ, ახლა როგორმე თავი გაიტანეთ და მარტის ბოლოს დაგეხმარებითო. ჩემსავით 20-ლარიანი შეღავათის იმედი ბევრს ჰქონდა“.**

**ნუგზარ სანაძე**, თბილისის მკვიდრი: **„მარტოხელა პენსიონერი ვარ და ეკონომიის მიზნით ზოგჯერ სახლში გათბობასაც არ ვრთავდი. ამ ზამთარში კი ისეთი ყინვა დაიჭირა, ელექტროგამათბობელი რომ არ ჩამერთო, გავიყინებოდი. ქვითარი რომ მოვიდა, გულზე შემომეყარა, ჩემს გამათბობელს იმდენი დაეწერა, რომ ნახევარი პენსია ელექტროენერგიის გადასახადში უნდა გადამეხადა. გამიხარდა, როცა პრეზიდენტის გამოსვლა მოვისმინე: ამ ზამთარში ხალხს დავეხმაროთო, მერე ვაუჩერების შესახებაც გამოაცხადეს. 20 ლარით გახარჯული ელექტროენერგიის ნახევარს გადავიხდიდი. ვიფიქრე, ყინვასაც გადავურჩი და ახლა ერთი თვე შიმშილით სიკვდილიც აღარ მემუქრება-მეთქი. შენც არ მომიკვდე! ბანკიდან უარით გამომისტუმრეს, ეგ თქვენი ვაუჩერი შემდეგ თვეში შეგეშველებათო. რა უნდა ვქნა, არ ვიცი. ამათი იმედით პენსიაც დავხარჯე, წამლები ვიყიდე, ვეღარც ელექტროენერგიის გადასახადს ვიხდი. ამ დღეებში გადაუხდელობის გამო დენსაც ჩამიჭრიან და თუ გადავრჩი მარტამდე, ამათი 20-ლარიანი ვაუჩერი ჯარიმის ფულადაც არ მეყოფა, რომ ელექტროენერგიის მიწოდება აღმიდგინონ“.**

დეტალებში გასარკვევად ჩვენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს ცხელ ხაზს დავუკავშირდით, სადაც განგვიმარტეს, რომ 20 ლარის ოდენობის შეღავათი სააბონენტო ქვითარზე მხოლოდ მარტის ბოლოს აისახება. **„ვიდრე ქვითარზე არ ნახავთ, რომ 20-ლარიანი ვაუჩერი აისახა, მანამდე ელექტროენერგიის სრულად გადახდა მოგიწევთ“**,– გვითხრეს ცხელ ხაზზე და ისიც დასძინეს: თვითონ ვაუჩერი, თუკი ვინმესთვის თქვენი 20-ლარიანი შეღავათის დათმობას არ აპირებთ, არაფერში გჭირდებათ; მხოლოდ ჩუქების შემთხვევაში ავსებთ შესაბამის გრაფას და ვაუჩერს გადასცემთ სხვას, რომელიც მას სადისტრიბუციო კომპანიაში წარადგენს, რომ თავის 20 ლარს ანგარიშზე ეს 20 ლარიც დაუმატოსო.

ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ცივი ზამთრისთვის დაპირებულ შეღავათს გაზაფხულისთვის დაველოდოთ.




# რამდენი პოლიციელია საქართველოში

პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ **„საქართველოში ჩატარებული პოლიციის რეფორმით მსოფლიოს არაერთი ქვეყანაა დაინტერესებული“**, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის აზრით, **„ჩვენს პოლიციაზე მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ლეგენდებს ჰყვებიან“**. თუმცა, **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ პოლიცია, მისი მაღალჩინოსნები არაერთ სკანდალში გაეხვივნენ, სანდრო გირგვლიანის სასტიკი მკვლელობიდან დაწყებული, ახლახან სოსო ქიმერიძის, შსს-ს მტკიცებით, **„პოლიციის შენობის კიბიდან გადმოვარდნით“** დამთავრებულიყო. საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, **„fridom haus“**-ის მიერ ჩატარებული კვლევით, საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალი ქვეყნების სიაშია, სადაც ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. არის თუ არა საქართველო პოლიციური ქვეყანა? რამდენი პოლიციელია ქვეყანაში? არის ძალოვანი სტრუქტურები დეპოლიტიზებული? – ამ კითხვებით მივმართეთ ლევან იზორიას, **„თავისუფალი დემოკრატების“** გამგეობის წევრს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ყოფილ რექტორს:

– ოფიციალური ინფორმაცია, რამდენი პოლიციელია საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმდენი დეპარტამენტია, თანამშრომლების რიცხვი, ცხადია, დიდი იქნება. შს სამინისტროში გაერთიანებულია უშიშროების არაერთი სამსახური, რაც ასევე ანომალიაა. არათუ დემოკრატიულ, დიქტატორულ ქვეყნებშიც კი არ არის ერთ სამინისტროში კონცენტრირებული პოლიციისა და უშიშროების უწყებები. ამგვარი რამ საბჭოთა კავშირშიც კი არ ხდებოდა!

**– არის თუ არა პოლიცია დეპოლიტიზებული, როგორიც უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუციით?**

– არ არის. 2004 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებით მიღებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში პირდაპირ არის განსაზღვრული მინისტრის ფუნქცია, საიდანაც ჩანს, რომ ქვეყნის პირველი პოლიციელი პოლიტიკური ფიგურაა. ანუ, საპოლიციო და პოლიტიკური ფუნქციები გამიჯნული არ არის. გარდა ამისა, სამინისტროს, სამოქალაქო სტრუქტურას წმინდა საპოლიციო ამოცანების განხორციელება ევალება. დღეს კვლავ მოქმედებს ძველი კანონი **„პოლიციის შესახებ“**, რომელიც 1993 წელს არის მიღებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში 16 დეპარტამენტია, რაც ანომალიაა ამგვარი პატარა ქვეყნისთვის. მაშინ, როცა 4-5 დეპარტამენტი სრულიად საკმარისი იქნებოდა, ასევე ხდება სხვადასხვა დეპარტამენტის მიერ ფუნქციების დუბლირება.

***P.S.* *რამდენი პოლიციელია საქართველოში? – ამ კითხვით მივმართეთ შინაგან საქმეთა პრესსამსახურის უფროს ზურაბ გვენეტაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ საქართველოში პოლიციელთა რაოდენობა 26-27 ათასამდეა.***

***ცნობისათვის***

***რუსეთში 1000 კაცზე 9,7 პოლიციელი მოდის, უკრაინაში – 8,4, ისრაელში-3,5, აშშ-ში – 2,7, დიდ ბრიტანეთში – 2,3, საფრანგეთში – 2, იაპონიაში – 1,9. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხვი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 4,3 მილიონია (არაოფიციალური მონაცემით – 3,2 მლნ), მაშინ ჩვენს ქვეყანაში 1000 კაცზე დაახლოებით 6,2 პოლიციელი მოდის (არაოფიციალური მონაცემით – 8,4).***

# ლუკაშენკო: სჯობს დიქტატორი იყო, ვიდრე ჰომოსექსუალი...



ბელორუსის მმართველმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ ღიად და საზოგადოდ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება თუ აზრი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვესტერველის მიმართ: **„სჯობს დიქტატორი იყო, ვიდრე ჰომოსექსუალი“**,– აღნიშნა მან. ამ ინფორმაციას გაზეთი **„di velTi“** ავრცელებს.

ზემოთაღნიშნული ფრაზით, ბელორუსიის ავტორიტარმა მმართველმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ, საკუთარ კრიტიკოსებს ევროკავშირიდან, საშუალება მისცა კიდევ ერთხელ ჩაეხედათ მის სულიერ სამყაროში.

ლუკაშენკოს ყურადღება კიდევ ერთმა პოლიტიკოსმა, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინსტრმა, რადოსლავ სიკორსკიმაც დაიმსახურა. ლუკაშენკომ უბრალოდ აღნიშნა რომ ვესტერველი არ მალავს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, მაშინ, როცა სიკორსკის ცოლი და ორი შვილი ჰყავს.

ევროკავშირმა გასულ სამშაბათს ბელორუსიაში ადამიანის უფლებების მკვეთრი დარღვევების გამოვლინების გამო, ამ ქვეყნის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების გატარება გადაწყვიტა. ამის საპასუხოდ, მინსკმა ევროკავშირში ბელორუსიის წარმომადგენელი, მაირუ მორა გამოიწვია.

შედეგად კი, ევროკავშირმა ბელორუსიდან ამ გაერთიანებაში მყოფი თითოეული ქვეყნის ელჩი გაიწვია. ამ მომენტისათვის, ბელორუსის 229 მოქალაქის სახელი და გვარია დაფიქსირებულია იმ ადამიანების სიაში, რომლებსაც არ შეუძლიათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვიზების მიღება.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვესტერველემ ლუკაშენკოს **„სამყაროს უკანასკნელი დიქტატორი“** უწოდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა ლუკაშენკოს მხრიდან, გერმანელ მინისტრზე, მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, საჯარო თავდასხმისა.

2011 წლის თებერვალში, ლუკაშენკომ ვესტერველეს ურჩია **„ნორმალური ცხოვრების წესი აერჩია“**. ამ შეხვედრას სიკორსკიც ესწრებოდა. მოგვიანებით, ლუკაშენკომ აღნიშნული ფრაზისთვის მოიბოდიშა, მაგრამ ამავდროულად დასძინა, რომ არ უყვარს ჰომოსექსუალები.

ლუკაშენკო რომ ანგელოზი არ არის და ბელორუსია რომ საბჭოთა დიქტატურის საშოში შეათრია, ეს სადავო არ არის, მაგრამ იმაში კი ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ, რომ **"ევროპული ღირებულებების"** მტკიცე მიმდევარს, ბიოლოგიურ მამაკაცს გიდო ვესტერველეს, რომელიც კაცზეა გათხოვილი, ნამდვილად არა აქვს ზნეობრივი გაკვეთილის ჩატარების უფლება თუნდაც ყველაზე პირწავარდნილი დიქტატორისათვისაც კი. საქმე ბევრად უფრო სასაცილოდ გამოიყურება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის მღვდელი, გვარად გაუკი, რომელიც გერმანიის გაერთიანებამდე დემოკრატიულ სექტორში ცხოვრობდა. მისი ცოლშვილი მისგან მალულად გადაიპარა ფედერაციულ რესპუბლიკაში. მღვდელმა მეუღლესთან გაყრა ვეღარ მოასწრო და გაიჩინა მეგობარი ქალი, რადგან კათოლიკური ეკლესია მღვდელს ოჯახის შექმნას არ უკრძალავს. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, არც იურიდიულადაა გამართლებული და არც ზნეობრივად, მაგრამ, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მღვდელი გარე ფაქტორებმა გახადეს იძულებული, რომ, ამ ნაბიჯზე წასულიყო.

ამას წინ კი ტელევიზიით გამოვიდა გიდო ვესტერველე და განაცხადა, რომ მღვდლის ცხოვრების წესი ამორალურია და მას უფლება არა აქვს კენჭი იყაროს გერმანიის პრეზიდენტადო.

მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – ჰომოსექსუალი, რომელიც მამაკაცზეა გათხოვილი, ნატურალ მამაკაცს ამორალურად უთვლის ქალთან მეგობრობას!

თუ ეს არის ჭეშმარიტი **"ევროპული ღირებულება"**, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, წინაპართა ტრადიციების ერთგულ ქართველებს, გვინდა კი, რომ ჩვენს ოჯახებში შემოაბიჯოს ამგვარმა ღირებულებებმა?

იქამც ჰქონიათ!

# ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტია

რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, სადაც ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინმა, რომელიც უკვე მესამედ იკავებს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლის ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები საუბრობენ არჩევნების შედეგების ტოტალურ გაყალბებაზე, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები და უცხოელი ექსპერტები ერთხმად აღიარებენ რუსეთში გამართული არჩევნების ლეგიტიმურობას და მიულოცეს კიდეც ვლადიმერ პუტინს საპრეზიდენტიო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება. ჩვენთვის მთავარია სტაბილური რუსეთი, რადგან დღეს, როცა მსოფლიოს მრუმედ აწევს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე, აუცილებელია, რომ საქართველოს ყველა მეზობელი სახელმწიფო იყოს მდგრადი, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, რაც თავისთავად შეუქმნის საქართველოს უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს.

ამასთან, საქართველოსა და რუსეთის ისტორიული მეგობრობისა და თანაარსებობის თაობაზე უნდა იცოდნენ არა მხოლოდ უბრალო მოქალაქეებმა, არამედ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებმაც. ვლადიმერ პუტინი კი ის კაცი გახლავთ, რომელმაც კარგად იცის, რომ რუსეთი მაშინ იდგა მყარად ფეხზე კავკასიაში, როცა იგი მყარად იდგა ფეხზე საქართველოში!

ვულოცავთ ბატონ ვლადიმერ პუტინს პრეზიდენტად არჩევას, ვუსურვებთ, ჯანმრთელობას, სამშობლოსადმი უანგარო ღვწას და ბედნიერებას. ამავე დროს, ვთხოვთ მას, არ დაივიწყოს ცნობილი რუსი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე გულწრფელად ნათქვამი სიტყვები: **"არავინ იფიქროს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გადაუჭრელი პრობლემააო"!**



**გურამ ჯიქია**

*პოეზია*

### ჯიმაკოჩანა

ბჟა მუშ ლაზიშა მის გიაწური,
მუჭო შილებე ვარა მოჩალას?!
თაში დიხას ჟი მუთუნ ვაწური:
რინას, ოროფას, ჯიმაკოჩანას!

ქო, და დო ჯიმა ჟინიშ მარდი რე,
დო, ოროფათი მუთ სი გარდენი;
მინშა ჯიმაშა ვართი განდინე,
ნამუთ ჯიმაკოჩს ოკო განდენი.

ჯიმაკოჩანას ვარექ ხვალახე,
მიქ ჯიმალურო სქანდა ინჭუნი,
მისით ოროფა გურსუ ალახე
დო ჯიმაშნერო სქანო იჭუნი.

უმოს უჯგუშო მა მუ მაჩინე,
მის სქანი რინა ენატრებუნი.
ჯიმაკოჩანა თაში მარჩქილე;
სქანდე ბჟალარა ელანტებუნი.

გილექინენსი გური შხანკოლას,
რინას სიმონკას სქანო ათორე,
მუდგაქ მოხვადას, მუდგაქ ვამკოლას,
ჯიმაკოჩანას ირო ართო რე.

კოჩიქ ჯიმაკოჩს ვარა მუ ვენდას,
მის რე ვაუჩქუ მათი ვაბთქუე...
ოღონდა კიდირს გური გურენდას,
სით თიშ სიტიბა ქაგინაფუე.

თურიშ „ოროფა ხორც დო ზისხირით,
ენა ტვინიში თოლით ჯინა რე.
ვართი მენათხი, ვართ ნასისხირი,
ჯიმაკოჩანა გურით ჯიმა რე.

თე ჯიმალობა ბრელი გებშუ მათ
დო მოკო ბთქუე ხვალე ამენი!
ათე „ოროფათ მეტო ვებშუმათ,
გიობი, მოკო გეგნორხვამენი!

### აბა მუჭო მუოსკიდა?!

*(ბების)*

კოჩი, რინა დაჭყაფუ რე:
ორანი დო სია ნანა!
მეტი კოჩი აბა მუ რე,
თოლსინთე დო სიამბარა!

მოთას ბებიშ ხე ოჭამუ,
მართალი რე ენა ვარა
დო მოთაშა ბრელ უჩამუ
ლუკა შურიშ მენაბარა.

მოთას მუთუნ ვემშუძუდუ,
ნახაჩქა დო ვართ ნაბარა.
„უდეს ბებიშ დაჩხირ რძუდუ,
ნახანდილა, ნაცხვაბარა.

მოთას ვაუჩქ ბები მუ რდუნ,
სქუათ ვაურდ გენანგარათ
დო თიცალი მოთა ურდუ,
მეუჩამუ სიამბარა.

მოკო ღორონთს ვეჩიენი,
ბგორუნქ, ვაბძირი ცაში კიდა.
ბები ჩხორო ვერჩქინენი,
აბა მუჭო მუოსკიდა?!

დიდა-მუმა მი„ორს მორეთ,
ჯიმალეფი, უმოსის და...
არძო ბებიშ ნარდი ვორეთ,
აბა მუჭო მუოსკიდა?!

ორადადეთ ორე ეფი:
ბებიჯგუა სო რე დიდა?!
ჟირ ხე მიღუ, ჟირ თოლეფი,
აბა ნამუს მუოსკიდა?!

ბები მუჭო ვამი„ორდას,
ქიანაშა ვაბთირენი...
ათე გური სქანი ქორდას,
ჩქიმოთ ხოლო ართი რენი.

# ქსენოფობია მხოლოდ სუსტების იარაღია

ინტერნეტში უკვე მერამდენე დღეა, **„იუთუბიზე“** ტრიალებს ქსენოფობიური ვიდეორგოლი საქართველოს პრეზიდენტის თითქოსდა სომხური წარმომავლობის შესახებ. რგოლის ავტორად პორტალზე **„ფეისბუქზე“ „ქართული ოცნების“** გვერდია მითითებული.

**„მიშა, შენ სომეხი ხარ! ნუ მალავ სიმართლეს!“** – ასეთი წარწერაა კლიპის ბოლოს, **„ქართული ოცნების“** ემბლემის გამოჩენამდე.

ვიდეოს ავტორად პორტალზე მითითებულია **“გეორგიან დრეამ“**, რომლის **„ფეისბუქზე“** გვერდის ბმული იქვეა მითითებული და სოციალურ ქსელზე დარეგიტრირებულია, როგორც **„ქართული ოცნების რეგიონული გვერდი“.**

ამ კლიპთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ივანიშვილის გარემოცვის მხრიდან უკვე გაკეთდა და გამოქვეყნდა ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ხელმძღვანელის ნონა ყანდიაშვილის განაცხადება, რომ **„ქართული ოცნების“** სახელით **„იუთუბზე“** სააკაშვილის **„სომხურ წარმომავლობაზე“** გამოქვეყნებულ ვიდეორგოლს საზოგადოებრივ მოძრაობა **„ქართულ ოცნებასთან“** კავშირი არ აქვს.

სხვა საკითხია, რომ ეს პროვოკაცია სპეციალურად არის **“შემოგდებული”** ინტერნეტსივრცეში, მაგრამ ის მაინც ვერ გაგვიგია, სომეხს რომ სომეხი უწოდო, ეს ქსენოფობიური განცხადება რატომ უნდა იყოს?

მაგალითად, როგორ შეიძლება ქსენოფობად შევრაცხო მე ის სომეხი ან რუსი, რომელიც, თუნდაც ირონიულად იტყვის ჩემზე – ქართველიაო. სხვა საკითხია, რომ დაეწერათ: **“შენ სომეხი ხარ და ამიტომაც ხარ უვარგისი ადამიანი და ქართველი ხალხის მტერიო”.**

**აი, ეს კი ნამდვილად იქნებოდა ქსენოფობიური განცხადება!**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორია უხვადაა გაჯერებული ღალატით, როგორც ქართველთა, ისე არაქართველთა მხრიდან, საერთო გასაჭირის ჟამს ქართველები და სომხები მაინც ძმურად ვიდექით ერთმანეთის გვერდში და მცირე ლუკმასაც კი ვიყოფდით. გადამთიელ რეაქციონერ დაშნაკთა მიერაა შემოგდებული ის თემა, რომ ქართველს სომეხი არ უნდა უყვარდეს და პირიქით, თორემ, უბრალო მოქალაქეები საუკუნეთა მანძილზე ძმობდნენ და მეგობრობდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება, **“ქართულ ოცნებს”**, მას არასოდეს გაუჟღერებია ქსენოფობიური განცხადებები და ეჭვსგარეშეა, რომ **„იუთუბზე“** დატრიალებული ის ავადსახსენებელი ვიდეორგოლი გახლავთ სწორედ დამფრთხალ ხელისუფალთა მიერ დაქირავებული ბინძური ძალების პროვოკაციული სვლა, რათა რეალური ოპოზიციური ძალის მიმართ უარყოფითად განაწყონ სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით კი ჯავახეთის სომხური მოსახლეობა.

ერთმა ჩვენმა ჯავახელმა სომეხმა მეგობარმა ერთხელ გულწრფელად მითხრა: **“სულელი, ან ორივე ხალხის მტერი უნდა იყოს ადამიანი, ჯავახეთის სომხეთთან შეერთება რომ მოინდომოს, რადგან დღეს ჩვენს სიკეთეზე ორი სახელმწიფოს – საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლება ზრუნავს. ჩვენ რომ სომხეთის შემადგენლობაში შევიდეთ, სომხეთის ხელისუფლებას თავისი მთიანი მოსახლეობის დიდი ნაწილიც კი ვერ დაუკმაყოფილებია სურსათსანოვაგითა და სხვა სოციალური მოთხოვნილებებით, ჩვენ ხომ საერთოდ შიმშილით ამოგვძვრება სულიო. ეს მთელი დავიდარაბა იმ “ჯავახკელი” დაშნაკი სომხების მიერაა ატეხილი, რომლებმაც საზოგადოებაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს, თავიანთი შვილები ერევანსა და სომხეთის სხვა ქალაქებში გაგზავნეს სასწავლებლად, თავად კი ასეთი ნაძირალური განცხადებებით უნდათ მოაწონონ თავი სომხეთის ხელისუფლებაში მოკალათებულ დაშნაკებსო...”.**

მართლაც ბრძენი ადამიანის ნათქვამია, იმ სომეხი კაცისა, რომელსაც საქართველო მეორე სამშობლოდ მიაჩნია და მასზე გული შესტკივა.

უმრავი სომეხი მეგობარი მყავს, ჯარში რომ წამიყვანეს, ერევანში ვმსახურობდი – იქაური ბიჭები ლამის ხელის გულზე გვატარებდნენ, ოჯახებში გვიწვევდნენ და გულუხვად გვიმასპინძლდებოდნენ. მაშინ არავის ახსოვდა: ვინ ქართველი იყო, ვინ – რუსი და ვინ – სომეხი. ჩვენ ერთმანეთისათვის ჩვენი ეროვნება არასოდეს დაგვიმალავს და ხუმრობითაც კი არ წამოვაძახებდით ერთმანეთს, შე სომეხო, ან შე ქართველოო.

ჩვენთვის მთავარი ღირებულება ადამიანური თვისებები, უღალატობა და სულიერი სიმტკიცე იყო და არა ეროვნება...

აბო ტფილელი არაბი იყო, მაგრამ ქართველ წმინდან წამებულთა გვერდით ღირსეული ადგილი უკავია!

სადუნ მანკაბერდელი ქურთი ეროვნების იყო, მაგრამ საქართველოს ისტორიამ მას სათანადო პატივი მიაგო ჩვენი ქვეყნის მიმართ დამსახურებისათვის.

**ქართულ-სომხური ძმური ურთიერთობის სიმყარის დასტურად თუნდაც ოვანეს თუმანიანის მოხმობა შეიძლება, რომელმაც 1918 წლის ავადსახსენებელი საქართველო-სომხეთის ომის დროს სომხურ ჯარში სანიტრად გამწესებულ თავის ქალიშვილებს მისწერა: “საქართველოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობას თუ მიიღებთ, დაგწყევლით და სამუდამოდ შეგაჩვენებთო”.**

ან, თავად მიხეილ სააკაშვილის მამის მამა, სულგანათლებული მიხეილ სააკაშვილი (სააკოვი) ავიღოთ, გორში დაბადებული და აღზრდილი ძირძველი სომეხი ადამიანი, რაფინირებული ინტელიგენტი, საქართველოს პატრიოტი, ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი, პროფესორი, შესანიშნავი პედაგოგი, რომელმაც ღირსეულ თაობათა მთელი პლეადა აღუზარდა საქართველოს.

ამ დიდებულ პიროვნებას ეამაყებოდა, რომ სომეხი იყო და კარგად იცოდა ქართული ენა. უფროს კოლეგათა მონათხრობიდან ვიცი – მიხეილ სააკოვს (პაპას) თავისი სამეცნიერო ნაშრომი მიუტანია დიდებულ მოქართულე პოეტ ხუტა ბერულავასთან, რომელიც მაშინ გამომცემლობა **“განათლების”** დირექტორი იყო. **“ძალიან ბევრი გრამატიკული შეცდომაა შენს ნაწერებშიო”** – უთქვამს ბატონ ხუტას. **“ხუტა, როგორ არა გრცხვენია, სომეხმა კაცმა ქართულ ენაზე ნაშრომი დავწერე, შენ კი გრამატიკას მიწუნებო!”**– გულწრფელად უსაყვედურა თურმე მხცოვანმა პროფესორმა გამომცემლობის დირექტორს.

**იაკობ გოგებაშვილს როგორღა შევედავოთ, რომელმაც თავის ისტორიულ მოთხრობაში “ამბავი თევდორე ხუცესისა”, აღგვიწერა ქართლში მოღვაწე სომეხი ტერტერა სააკაშვილის საგმირო საქმე, რომელმაც გლეხებს ხიდი ააშლევინა და ასე იხსნა ქართლი ოსმალოთა შემოტევისაგან.** ნაცვლად იმისა, რომ განგვედიდებინა ეს გმირი და სანიმუშო მაგალითად წარგვედგინა იგი ბავშვებისათვის, რაც კიდევ უფრო დააახლოებდა ერთმანეთთან ქართველ და სომეხ ხალხებს, სწორედ მიხეილ სააკაშვილის საამებლად, სასკოლო პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს ეს ნაწარმოები, ფრაზა **“სომხის მღვდელი სააკაშვილი”**-ს გამო. რა არის ეს, თუ არა მტრობა როგორც ქართველი, ასევე სომეხი ხალხის მიმართ? (მართლაც ამოუხსნელია ცხოვრების ამოცანა – ერთმა სომეხმა სააკაშვილმა შეიძლება საქართველო დაღუპვას გადაარჩინოს, მეორე სომეხმა სააკაშვილმა კი იგი დაღუპოს!).

გაბრიელ სუნდუკიანცმა ძმობის ურღვევი ხიდი გასდო ქართველებსა და სომხებს შორის.

აღარაფერს ვამბობ ეროვნებით აზერბაიჯანელ ხუდია ბორჩალოელზე, რომელიც ხმლით ხელში იცავდა საქართველოს თავის თანამორჯულეთა მუდმივი შემოსევებისაგან და მეფე ერეკლეს ლაშქარში უბადლო და უღალატო ვაჟკაცად მიიჩნეოდა. ბოდიშს მოვიხდი, თუ ეთნიკურად არაქართველების ქართველებისადმი პატივისცემის (და პირიქით) სხვა უამრავი მაგალითი ვერ მომყავს.

კი ბატონო, აფხაზეთში იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ ასევე ავადსახენებელი, დაუნდობლობითა და სისასტიკით გამორჩეული **“ბაგრამიანის ბატალიონი”**, მაგრამ ის თუ იცით, რომ ამ ომში ქართველების მხარდამხარ მრავალი სომეხი იბრძოდა და დაიღუპა.

რა ვქნათ ახლა, მათი სულების წირვისას იმქვეყნად გადასულები რომ სომხებად მოვიხსენიოთ, ეს ქსენოფობია იქნება?

ან ზემოდხსენებულ ინტერნეტგანცხადებაში რაა ქსენოფობიური – ადამიანი რომ სომეხი იყოს, მალავდეს და სიმართლის აღიარებას თხოვდე?! ქსენოფობია საკუთარი ეროვნების დამალვა უფროა, ვიდრე შენი ამრჩევი ხალხის მიერ საკუთარი ეროვნების აღიარების მოთხოვნა!

**აი, ზურაბ ჟვანიას ეყო იმის ვაჟკაცობა, რომ ამდგარიყო და საჯაროდ განეცხადებია: “მე ვამაყობ, რომ დედა სომეხი მყავსო”!**

იმიტომ, რომ ჭკვიანი ადამიანი იყო და საკუთარი სომხობის არ ეშინოდა!

ალბათ ამიტომაც მოუსწრაფეს სიცოცხლე არაკაცებმა, რომელთათვისაც ერთნაირად საძულველია მათი ავადმყოფური აზრების უარმყოფელი ქართველიცა და სომეხიც.

საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურად არაქართველს უფლება აქვს საქართველოზე მეტად უყვარდეს თავისი **“ოდაბადე”** (პირველი სამშობლო), მაგრამ მას უფლება არა აქვს ზიზღს ან სიძულვილს ამჟღავნებდეს მისი მეორე სამშობლოს – საქართველოს მიმართ, რადგან იგი საქართველოს მოქალაქეა. მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულებას კი, საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, სიყვარულსა და პატივისცემას ნამდვილად ვერ დაარქმევ!

მთავარია არა ის, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნები, არამედ ის, თუ რას აკეთებ იმ ქვეყნისათვის, რომელსაც სამშობლოს უწოდებ. აქ კი, უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ სააკაშვილი დაშნაკ რეაქციონერთა საქმეს უფრო აკეთებს, ვიდრე საქართველოსათვის სასარგებლოს.

მაგალითად, განა აღასი ხანჯიანის მისწრაფება არ გახლდათ ის, რომ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადაეტანათ, თბილისი კი ამიერკავკასიის (იგულისხმეთ – სომხეთის) დედაქალაქად ექციათ?

საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანით სააკაშვილი ხომ თანდათან აგუებს საქართველოს მოსახლეობას იმ მავნებლურ აზრს, რომ ჩვენი დედაქალაქად ქუთაისი უნდა გახდეს!

ქართული სულიერების მოშლაგანადგურება და მდიდარი ეროვნული ტრადიციების მეხსიერებიდან ამოგლეჯა ხომ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნა, რამაც საქართველოდან მისი მოსახლეობის ლამის ნახევარი შორეთში გადახვეწა ლუკმაპურის საძებრად, როგორ ფიქრობთ, ვის სასარგებლოდ იმუშავებს, თუ არა საქართველოს გაყლაპვის მოსურნეთა?

ახლა ამას ნახევარმილიონიანი ქალაქი ლაზიკა დაუმატეთ, რომელიც, ეჭვსგარეშეა, ქართველთა დეფიციტის გამო უცხოტომელებით შეივსება, განა მალამოდ არ მოეცხებათ გულზე საქართველოს დაუძინებელ მტრებს?

მოკლედ, საითაც გაიხედავ, ყველგან ყველაფერი საქართველოს საზიანოდ და დაშნაკთა სასარგებლოდ კეთდება!

**სირცხვილი სომხობა კი არ არის, სირცხვილია ის, რომ ქართველობდე და ფარულად კი დაშნაკების საქმეს აკეთებდე საქართველოს საზიანოდ, როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი სჩადის!**

ამდენად, ჩვენ სააკაშვილი განა იმიტომ არ გვიყვარს, რომ იგი სომეხია, არ გვიყვარს იმიტომ, რომ იგი საკუთარ სომხობას ემალება და დაშნაკ რეაქციონერთა მრავალსაუკუნოვან საოცნებო საქმეს აკეთებს საქართველოში. ასე რომ, ფრაზები – **“შენ ხარ სომეხი”, “შენ ხარ საქართველოს მტერი, იმიტომ რომ ხარ სომეხი”** და **“რომელიც გსურს, იმ ეროვნებისა იყავი, მაგრამ შენ საქართველოს მტერი ხარ”**, – ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული მცნებებია! ძლიერი და ჭკვიანი (შესაბამისად – წესიერი) პოლიტიკოსები არასოდეს აკეთებენ ქსენოფობიურ განცხადებებს ხალხის ყურადღების მისაპყრობად. ავიღოთ თუნდაც ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც უამრავი პუბლიცისტური მასალები აქვს გამოქვეყნებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ საკითხებზე, მაგრამ მის ნაშრომებში ქსენოფობიურს იოტისოდენასაც კი ვერ იპოვნის ადამიანი. მან შეიძლება სახელმწიფოები გააკრიტიკოს მცდარი პოლიტიკური კურსის გამო, მაგრამ არასოდეს მოიხსენიებს უდიერად ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს.

**სწორედ ეს გახლავთ მაღალი პოლიტიკური კულტურა!**

აქედან გამომდინარე, ივანიშვილს რომ სააკაშვილის გაშავება სდომოდა, არსენალში ისედაც უამრავი ბრალდება მოეპოვება და ასეთ საძრახის მეთოდს არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა.

**ამიტომ, რაც შეეხება ფეისბუკში “ქართული ოცნების” ეგიდით გამოქვეყნებულ ინფორმაციას, როგორც ამ სიბინძურის შემსრულებლებმა, ასევე მათმა დამკვეთებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და ახალი პოლიტიკური ძალის მზარდ ავტორიტეტს ამით ვერაფერს დააკლებენ!**

**როლანდ ჯალაღანია,**
**“ფაზისის” და “აიას”**
**აკადემიების ნამდვილი წევრი**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ჩვენი ფეხბურთელები უცხოეთის კლუბებში

## გიორგი ლორია: კარგი კლუბები მიწვევდნენ, მაგრამ თბილისის „დინამოში“ დავრჩი

ბოლო ერთი წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატში დაიწყო პროცესი, რომელიც თითქოს უხილავი ჯადოსნური ჯოხით იმართება: ქართულმა გუნდებმა ჯერ მიზერული დაფინანსება შეინარჩუნეს, ამ სტაბილურობას კი შემდეგ გაზრდილი ბიუჯეტები და უცხოეთიდან ცნობილი ქართველი მოთამაშეების ჩამოყვანა დაემატა.

უფრო ამბიციური ხდება თბილისის **„დინამო“** და გულშემატკივრისთვისთვის სასურველ **„კონტურებს“** ოდნავ მაინც უახლოვდება.

**„დინამოში“** უცხოეთიდან ჩამოიყვანეს გოგიტა გოგუა და გიორგი მერებაშვილი. ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელების დამატება გუნდისთვისაც წინგადადგმული ნაბიჯია და მთლიანად, ეროვნული ჩემპიონატისთვისაც.

**„დინამოს“** წინსვლას ხალხიც ხედავს, პირველი სამი მატჩი მოვიგეთ. **„დინამოს“** კლასი სულ ჰქონდა, მაგრამ გოგუამ და მერებაშვილმა გუნდი უფრო გაზარდეს.

**„დინამოსთან“** აუტსაიდერებიც გაათმაგებული მონდომებით თამაშობენ, ყოველთვის მაქსიმუმს ავლენენ და ვერც ერთ მეტოქესთან ვერ მოვდუნდებით. აქედან გამომდინარე ჩვენთვის ყველა გუნდთან თამაში ფინალივით არის, ფინალის თამაში კი ყოველთვის ძნელია.

**“წელს ეს წინააღმდეგობა უფრო გაიზარდა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ქართული გუნდების საერთო დონე გაიზარდა“,** – ამბობს თბილისის **„დინამოს“** კაპიტანი გიორგი ლორია.

**„დინამოს“** კაპიტნის სანაკრებო თამაშების შემდეგ ყველა ელოდა, რომ ლორია კარიერას უცხოეთში გააგრძელებდა. შევიტყვეთ, რომ 25 წლის ქართველით ვარშავის **„ლეგია“**, ლვოვის **„კარაპატი“** და ჩვენთვის უცნობი ერთ-ერთი იტალიური კლუბიც დაინტერესდა. თუმცა გიორგიმ **„დინამოსთან“** კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და ამ ლაპარაკს წერტილი დაუსვა:

**„გუნდის პრეზიდენტთან შევთანხმდი, რომ გუნდში კიდევ ერთი წელი ვითამაშებ. მერე კი შევხედავ სიტუაციას. მაგრამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, შესაძლოა, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გადავიდე.**

**მართლა კარგი კლუბებიდან მქონდა მიწვევები, მაგრამ დაკონკრეტება არ მინდა. ყველაფერი ზაფხულში გაირკვევა“.**

## ოტო რეჰაგელის გამარჯვების ფორმულა – სამკლავური ლევან კობიაშვილს

გასულ უქმეებზე რამდენიმე ევროპული ჩემპიონატი განახლდა, საიდანაც ჩვენს ყველაზე დიდ ინტერესს რუსული და უკრაინული პრემიერლიგები იწვევს – ამ ორ ქვეყანაში ხომ ქართველები კვლავაც საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ლეგიონის მიმოხილვაც სწორედ ამ თემით დავიწყოთ.

რუსეთში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი 5 მარტს გაიმართება – საბა კვირკველიას **„რუბინი“** ჯანო ანანიძის **„სპარტაკს“** უმასპინძლებს. შესაძლოა, ორივე მათგანი სათადარიგოთა სკამზე დარჩეს და **„ქართული დერბიც“** ვერ შედგეს, თუმცა, მინიმუმ, ჯანოს მოედანზე ხილვის იმედი ნამდვილად გვაქვს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მაღალ დონეზე ჩატარებულმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ანანიძე სეზონის განახლების მომენტს კარგ ფორმაში მყოფი ხვდება და მოსკოველთა ძირითადში დამკვიდრების არცთუ ურიგო შანსი აქვს. 5 მარტსვე ნუკრი რევიშვილს ოფიციალური დებიუტი ექნება **„კრასნოდარის“** შემადგენლობაში. დავით სირაძე კი ნალჩიკის **„სპარტაკისთვის“** კვლავ საჭირო ფეხბურთელია.

**„კარპატის“** მაისურით პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა ბუბა დაუშვილმა, თუმცა იმის მიუხედავად, რომ მოედანზე პირველივე წუთებიდან იყო, ეს შეხვედრა ტკბილად ნამდვილად არ მოაგონდება.

**„კრივბასში“** ქართველებს კვლავაც სრული ნდობა აქვთ. სათამაშო პრაქტიკა არც დავით თარგამაძესა და ალექსანდრე კობახიძეს აკლიათ. იმედია, მალე ათამაშდება ჯაბა ლიპარტიაც.

ლევან კობიაშვილმა **„ჰერტას“** უკაპიტნა, რაც ამ სეზონში პირველად არ მოხდა. კობის ეს პატივი იმიტომ ერგო, რომ ბერლინელთა ახალმა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა სათადარიგოთა შორის გაამწესა გუნდის ხორვატი კაპიტანი ანდრე მიატოვიჩი.

**„ჰერტამ“** წელს პირველი მატჩი მოიგო და გასავარდნი ზონა დატოვა, კობიაშვილი კი ამჯერადაც საყრდენი ნახევარმცველი იყო და, როგორც ჩანს, ამ პოზიციაზე უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მარცხენა მცველის ამპლუაში. **„შპორტალმა“** მას 3-იანი დაუწერა, რაც **„ჰერტას“** შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა.

**„დედიჩმა და კომპანიამ ნიკა გელაშვილს უჩვენეს, როგორ უნდა გატანა“,** – ეს სათაური **„კიკერმა“** **„ბოხუმისა“** და დრეზდენის **„დინამოს“** შეხვედრის მიმოხილვას მიუძღვნა. უკვე გაცნობეთ, რომ ამ მატჩში, რომელშიც **„ბოხუმი“** სტუმრებს თამაშის ხარისხით არაფერში ჩამორჩა, გელაშვილმა არაერთი რეალური საგოლე მომენტი გააცუდა.

**„ბოხუმის“** ქართველ ახალწვეულს მას შემდეგ, რაც თავის ახალ გუნდს სადებიუტო მატჩში გატანილი გოლით მოაგებინა, აღარ გაუტანია, თუმცა მწვრთნელები კვლავ ენდობიან და იმედია, ნავსსაც მალე გატეხს.

ალექსანდრე იაშვილის **„კარლსრუეს“** მდგომარეობას კი უკვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია, კატასტროფული ვუწოდოთ. თუ ამ კლუბმა კრიზისს თავი დროულად ვერ დააღწია, მომავალ სეზონს მესამე ბუნდესლიგაში დაიწყებს. იაშვილმა სეზონში მეათე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიკაციის გამო მომავალი ტური გაუცდება.

იტალიაში **„ჯენოამ“** ზედიზედ მეხუთე შეხვედრა ვერ მოიგო, მაგრამ კახა კალაძის გუნდმა ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულა, რაც მცირედი პროგრესის მანიშნებელი უნდა იყოს. ლევან მჭედლიძემ კი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდა, საქართველო-ალბანეთიდან მატჩიდან სამ დღეში **„ემპოლის“** ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში...



## იუმორი

* * *

– რატომ მოდის პრეზიდენტი პარლამენტში, თუ იცი?

– რატომ და, მთელი თვე ბევრი იარა, საავადმყოფოები გახსნა, ხალხს შეხვდა, დაიღალა და დასვენება უნდა...

* * *

ჭიჭიკია ისეთი მშიერი იყო, ქუჩაში შიშველი გავარდა, სირცხვილს მაინც ვჭამო.* * *

ქმარი სამსახურიდან მშიერი მოდის:

– ქალო, მშია!

– თხოვნას შენი ჯადოსნური სიტყვა დააყოლე!

– მალე, შენი დედა!..

* * *

ნარკომანი დილით იღვიძებს, ქუჩაში გადის და გამვლელს ეკითხება:

– ბიძაჩემო, დღეს ოთხშაბათია?

– არა, დღეს კვირაა.

– გუშინ იყო ოთხშაბათი?

– არა, გუშინ შაბათი იყო.

– აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?

– არა, ხვალ ორშაბათია.

– ვაა! ვერ გავიგე, ოთხშაბათი, რა, აღარ იქნება?

* * *

ზუგდიდელი მეგრელი თბილისელ მეგრელს ეკითხება:

– მეგრული იცი, შენ?

– არ ვიცი, ბატონო!

– რა იყო, ბიჭო, ტყეში დაიბადე და გაიზარდე?

***

ჩინელი თბილისში იყო და სამშობლოში დაბრუნდა.

– აბა, რა მოგეწონა საქართველოში და თბილისში?

– ძალიან მომეწონა, ცოტა ხალხია, მეტროშიც და ბაზარშიც თავისუფლებაა.

# ქალბატონი ნუცა ჭაჭია 96 წლისაა!

### ქალბატონო ნუცა!

გაზეთ **“ილორის”, შემოქმედებითი კოლექტივი** მოწიწებით გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, რათა მხნედ გადალახოთ სიცოცხლის ასწლიანი მიჯნა.

თქვენ, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი მოგიტანიათ ადამიანებისათვის, უდავოდ იმსახურებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა იმის ცოცხალი მაგალითი იყოთ, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა წუთისოფელი, სადაც, სამწუხაროდ, სიკეთესთან ერთად ბოროტებაც ხარობს ხოლმე, მაგრამ იქ, სადაც თქვენნაირი ადამიანები დგანან, სიბოროტეს არაფერი ესაქმება... თქვენ, როგორც ექიმი, სიცოცხლეს უხანგრძლივებდით იმედგადაწურულ და ჯანგატეხილ ადამიანებს, რაც უკვე თავისთავად დიდი გამარჯვებაა ბოროტებაზე!

ქალბატონო ნუცა! ალბათ დღესაც გიჭირთ სამამულო ომის მძიმე დღეების გახსენება, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ მომავალ თაობებს მოვუთხროთ თქვენს იმ ვაჟკაცურ შემართებაზე, რომელიც გამოავლინეთ მაშინ, როცა თქვენი ჰოსპიტალი ქერჩის საბედისწერო ბრძოლებში მონაწილეობდა. როცა იქ მდგომარეობა დამძიმდა, საბჭოთა მთავარსარდლობამ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად აქაური ფრონტი უნდა დაეტოვებინათ ჰოსპიტალების ექიმ ქალებს და ისინი უსაფრთხო ადგილზე უნდა გადაეყვანათ. წინა ხაზზე უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ ის ქალები, რომლებიც წერილობით თხოვნას დაწერდნენ ამის თაობაზე. მიუხედავად სიკვდილის რეალური საფრთხისა, თქვენ მაშინ არ მიგიტოვებიათ თანამებრძოლები, ტყვიების წვიმაში დარჩით მათ გვერდით, გადაარჩინეთ უამრავი სიცოცხლე, მაგრამ, სამწუხაროდ, მეომართა უმეტესობას უკან დაბრუნება აღარ ეწერა. სამწუხაროდ, მაშინ ჯარისკაცებთან ერთად, ბევრი ქალბატონი ექიმი, მედდა თუ სხვა სამხედრო მოსამსახურე ქალიც შეეწირა ქერჩის სასაკლაოდ ქცეულ ფრონტს!

ნათელში იყოს მათი სულები!

გარდა იმისა, რომ ხართ დიდი სამამულო ომის ვეტერანი, თქვენ ასევე ბრძანდებით რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელიც მიუხედავად ამგვარი სიჭარმაგისა, ეწევა აქტიურ ცხოვრებას, დაინტერესებულია პოლიტიკით, ეკონომიკით, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებით, რომელსაც ეცნობით მასმედიის საშუალებებით. მაგრამ ყველაზე მეტად გვახარებს ის, რომ თქვენ ბრძანდებით გაზეთ **“ილორის”** აქტიური მკითხველი, რისთვისაც კიდევ ერთხელ მოგიძღვნით დიდ მადლობას!

ქალბატონო ნუცა, წლები ყოველთვის კი არ ამძიმებს ადამიანს, იგი ზოგჯერ მის სულსა და გონებასაც აწრთობს, მდგრადობას და ენერგიას სძენს, და თქვენც სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნით.

თქვენ, ოჩამჩირეში დაბადებულმა ასულმა თბილისში დაამთავრეთ სამედიცინო ინსტიტუტი და პირველი გამოშვების ექიმი გახდით, რის შემდეგაც თავდაუზოგავად იდექით ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. თქვენ ხართ ქართული პათოლოგოანატომიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, იმ სკოლისა, რომელმაც არაერთი ღირსეული ადამიანი და პროფესიონალი აღუზარდა სამშობლოს. ათეული წლების განმავლობაში თქვენ ერთდროულად ხელმძღვანელობდით პათოლოგოანატომიურ განყოფილებებს როგორც თბილისის მე-9 საავადმყოფოში, ასევე **“არამიანცის”** საავადმყოფოდ წოდებულ ქალაქის პირველ კლინიკაში, რაც თავისთავად მეტყველებს თქვენს უშრეტ ენერგიაზე, საქმისადმი თავდადებასა და უანგარო მეცნიერულ ღვწაზე.

ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო ნუცა, რათა ოჯახის სალოცავ კუთხეში მუდამ კიაფობდეს თქვენი მეუღლის, შესანიშნავი აფხაზი ვაჟკაცის, აფხაზ დიდებულთა ღირსეული შთამომავლის ვალერიან მარღანიას სულის მოსახსენებლად თქვენი ხელით დანთებული კელაპტარი!

გისურვებთ, რომ ჯანმრთელად შეეგებოთ თქვენი შვილთაშვილის გაბედნიერებას!

პატივისცემითა და დედაშვილური სიყვარულით,

გაზეთ “ილორის” რედაქცია



ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული

სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge